ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

„ახალი თაობა"+ ნობელი
8 ლარი
6 დეკემბრიდან



ოთხშაბათი, 7 დეკემბერი, 2011 №290 (5670) ფასი: 30 თეთრი

# რა შეუთვალა ზურაბ ადეიშვილმა ივანიშვილს?





გვ. 2

## რატომ უნდა გაეფრთხილებინა სააკაშვილს ივანიშვილი

ბიძინა ივანიშვილის ადვოკატებმა თავიანთი სტრატეგია გაამხილეს

## საპარლამენტო ოპოზიცია ერთმანეთს დაერია



გაწევ-გამოწევა სხდომათა დარბაზში გვ. 2

## პეტრე მამრაძე: „შევარდნაძე კორუმპირებული არასდროს ყოფილა" გვ. 5





გვ. 5

## კალაძე ხელისუფლებისგან ივანიშვილის ბანკზე ზეწოლის შეწყვეტას მოითხოვს

## ცხინვალში გენპროკურორის სახლი დაცხრილეს



გვ. 4

ალა ჯიოევა ახალ მთავრობას ქმნის და თავშესაფარს ითხოვს



გვ. 6

## „დემოკრატიულმა მოძრაობამ" ხელისუფლებას 10-პუნქტიანი გეგმა დაუწუნა

## ჯონ მაკკეინი: „ძვირფასო ვლად, არაბული გაზაფხული გიახლოვდებათ"

გვ. 11

## გიორგი პერტაია: „თუ ყველამ ვიძახეთ, რომ ბიზნესი შეშინებულია, მაშინ, რა თქმა უნდა, ბიზნესი შეშინებული იქნება"

გვ. 4



## მანანა მანჯგალაძე: „ახალი ქალაქი აუცილებლად აშენდება!"

გვ. 6



ISSN 1987-9385

3 რეფერენდუმით მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა არ შეიძლება

6 ხე-ტყის მოპოვებასთან დაკავშირებული ჯარიმების ნაწილზე ამნისტია გამოცხადდა

6 პარლამენტმა 45-დან 60 წლამდე ასაკის პირების დასაქმების ხელშეწყობის გადაწყვეტილება მიიღო

8 ქეთი მელუა მილიონერთა სიაშია

# რა შეუთვალა ზურაბ ადეიშვილმა ივანიშვილს?

ქეთი ხომერიკი

ყოფილი პროკურორის, ლაური ჯანაშიას ოჯახში ზონდერების მივარდნისა და ყაჩაღობის ინსცენირების თემა პრესითა და ტელევიზიებით, პრაქტიკულად, არ გაშუქებულა, თუმცა უკვე მეორე კვირაა, რაც მთელი ქალაქი ჩურჩულით ამ ინციდენტზე ლაპარაკობს.

საქმე ის გახლავთ, რომ ლაური (ლავრენტი) ჯანაშია დედაქალაქში საკმაოდ კოლორიტულ ფიგურად ითვლება, მას ყველა, დიდი თუ პატარა, იცნობს და შეუძლებელია, რომ მის ოჯახში ნიღბიანების ვიზიტს, კონდახების ტრიალსა და ნეკნების მტვრევას, ფართო რეზონანსი არ მოჰყოლოდა.

„ახალი თაობის“ კომპეტენტურმა წყარომ, რომელიც ქალაქური ისტორიების ერთგვარი მემატიანეა, გულისტკივილით აღნიშნა, რომ თურმე, ლაური ჯანაშია პირველად არ გამხდარა შეიარაღებული ხალხის მხრიდან ფიზიკური ტერორის მსხვერპლი.

ჯერ კიდევ შორეულ და ხიფათიან 1992 წელს, „ზეიკიძის ბიჭებს“, ე.წ. „სვარშიკებს“ გაუტაცებიათ თბილისის ზღვაზე და უმოწყალოდ უცემიათ, რადგან ეჭვი შეჰპარვიათ, რომ იგი პოლიციელის მკვლელობაში ეჭვმიტანილი კრიმინალური ავტორიტეტის, ავთანდილ ბაქრაძის პასუხისმგებლობიდან დაძვრენას ცდილობდა, რადგან დამნაშავის მამა თავად პოლიციის მაღალჩინოსანი და ნაძალადევის რაიონის მაშინდელი პროკურორის – ლაურ ჯანაშიას მეგობარი იყო.

90-იანი წლების განგსტერული ისტორიებით ახლა ვერავის გააკვირვებ, რადგან მაშინ, რომ „ბნელი და უკუნი“ იყო, ამაზე დღეს აღარავინ დავობს, მაგრამ დღევანდელ თბილისში, როდესაც ორგანიზებული დანაშაული ხერხემალშია გადატეხილი, კრიმინოგენული სიტუაცია კი იმგვარად გამოსწორებული, რომ ავტომანქანის „უგონი“ და „ვაზვრატიც“ კი – სხვა, წინა ცხოვრების მწარე მოგონებადღა შემოგვრჩა, – შეიარაღებულ ადამიანთა ჯგუფის ქალაქში გადაადგილება და ბაგებში მდებარე სახლზე დაუსჯელად თავდასხმა, ძალიან დიდ ეჭვებს იწვევს.

მარჩიელობას რომ თავი დავანებოთ, ამ ამბავს ერთი ისეთი პიკანტური დეტალი ახლავს თან, რომ ძნელია, ეს ინციდენტი ბანალური ყაჩაღობის რანგში გაიყვანო.

საქმე ის გახლავთ, რომ ლაური ჯანაშია თბილისის საკრებულოს წევრის, ნაციონალი მაჟორიტარი დეპუტატის – გიორგი ჯანაშიას მამაა. გიორგი ჯანაშია კი, რომელსაც სახელისუფლებო იურისტთა წრეში „სინგაპურას“ მეტსახელით იცნობენ, საქართველოს იუსტიციის ყოვლისშემძლე მინისტრის – ზურაბ ადეიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრია, წლების განმავლობაში მის მოადგილედ მუშაობდა და, როგორც ამბობენ, სახელისუფლებო ინტერესებს წარმოადგენდა კიდეც არაბულ „რაკიინში“.

ეს კი, სწორედ ის „რაკიინია“, ფოთის პორტი და ტელეკომპანია „იმედი“ რომ ვითომ იყიდა (მერე გაყიდა) და, რომლის კუთვნილი, თუმცა კი დაუმთავრებელი ჰიპერმარკეტი გახსნა სააკაშვილმა ვარდების რევოლუციის მე-8 წლისთავზე.

მოკლედ, „სინგაპურას“ მამის დატერორების ერთადერთი და უტყუარი მიზეზი, ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ისევ და ისევ ბიძინა ივანიშვილსა და მის პოლიტიკაში შემოსვლას უკავშირდება თურმე.



მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალები კატეგორიულად ამტკიცებენ, ივანიშვილი ვერაფერს დაგვაკლებს და ვერც ვერანაირ რყევებს ვერ გამოიწვევს გუნდშიო, როგორც ჩანს, არც მთლად ასეა საქმე:

წყაროს ინფორმაციით, მერაბიშვილის ყურამდე მიუღწევია უტყუარ ცნობებს, რომ ზურაბ ადეიშვილი ბიძინა ივანიშვილთან მისასვლელ გზებს ეძებს და ასეთ დელიკატურ საქმეში, სხვას რომ ვერავის ენდო, „სინგაპურას“ თბილისურ ოჯახზე შეაჩერა არჩევანიო.

უფრო მეტიც, სწორედ ლაური ჯანაშიას პირით შეუთვლია ადეიშვილს ივანიშვილისთვის, არ სთხოვო სააკაშვილს მოქალაქეობის მინიჭება, სასამართლოს მოგაგებინებ და ისე აღგიდგენ მოქალაქეობასო.

შეუტყვია ეს ამბავი მერაბიშვილს, მაგრამ ადეიშვილთან პირდაპირ და უშუალო კონფლიქტს მორიდებია, შემოვლითი გზა აურჩევია და ლაური ჯანაშიასთან ზონდერების მიგზავნით, გამაფრთხილებელი მესიჯი გაუგზავნია ადეიშვილისთვის – ყველაფერი ვიცი, ყველაფერს ვაკონტროლებ და იცოდე, არ დაგინდობო.

„ახალი თაობა“ ზონდერების მიერ ნაცემ-ნაბეგვ ლაური ჯანაშიას დაუკავშირდა, რომელმაც თავდასხმის ფაქტი დაადასტურა.

ლაური ჯანაშია:

– დიახ, საქმე აღძრულია, ვაკის პირველ ქვეგანყოფილებას აქვს. რა ეტაპზეა გამოძიება და რა ხდება, არ ვიცი, ვერაფერს ვერ გეტყვით, ჩამი-ჩუმი არ ისმის, მათ ჰკითხეთ. ძალიან ვარ დაზარალებული, დალეწილი ვარ. ივანიშვილს თუ ვის, ან რას უკავშირდება ეს, არ ვიცი, ფაქტია, დალეწილი ვარ.

როგორც ხედავთ, დაზარალებულმა, თუ ვინ და რატომ დაესხა თავს, არ იცის, ჩვენი წყაროს თქმით კი, ეს ფაქტი ივანიშვილს უკავშირდება, თუმცა, ვინ იცის...

გამოგიტყდებით, არც მერაბიშვილის „გზავნილების“ და არც შეთქმულების თეორიების, მაინცდამაინც, არ გვჯერა, მაგრამ ჩვენი ინტერესი ამ, ერთი შეხედვით დაუჯერებელმა, ისტორიამ იმით მიიპყრო, რომ უკვე თვე ხდება, რაც ივანიშვილის ადვოკატებმა გამოაცხადეს, დღე-დღეზე მივმართავთ პრეზიდენტს ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების თხოვნითო, მაგრამ დღემდე საეჭვოდ ითრევენ ფეხს.

როგორც შევიტყვეთ, არც ვაკის პოლიცია ცდილობს მაინცდამაინც საქმის გახსნას.

მოკლედ, ჩვენც და მკითხველსაც ისღა დაგვრჩენია, ყურადღებით ვადევნოთ თვალი ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების თუ მოქალაქეობის აღდგენის იურიდიულ პერიპეტიებს, სასამართლო იქნება ეს თუ სხვა ინსტანციები და თავად გამოვიტანოთ მოვლენებიდან სათანადო დასკვნები.

დავაკვირდეთ, მოითხოვს თუ არა ივანიშვილი მოქალაქეობის მინიჭებას სააკაშვილისგან და სასამართლოს ვერდიქტსაც დაველოდოთ – ფაქტები თვითონ გასცემენ პასუხს ყველანაირ ეჭვს და ვერსიას.

წინ რომ საინტერესო ამბები გველის, ეს კი ნამდვილად უდავო ჭეშმარიტებაა.

# რატომ უნდა გაეფრთხილებინა სააკაშვილს ივანიშვილი

## ბიძინა ივანიშვილის ადვოკატებმა თავიანთი სტრატეგია გაამხილეს

შალვა ჯოხაძე

**სასამართლო დავა „ივანიშვილი სააკაშვილის წინააღმდეგ" თბილისის საქალაქო სასამართლოში 8 დეკემბერს, 14 საათზე განხილდება. მანამდე კი ბიძინა ივანიშვილის ადვოკატებმა ამ დავის შესახებ რამდენიმე საინტერესო ინფორმაციაზე გააკეთეს აქცენტი. აღსანიშნავია, რომ ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს 5 ადვოკატი: ეკა ბესელია, არჩილ კბილაშვილი, ზაქარია ქუცნაშვილი, ალექსანდრე ბარამიძე და შალვა თადუმაძე იცავენ.**

ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილსა და მის მეუღლეს მოქალაქეობა უკანონოდ ჩამოერთვათ.

**არჩილ კბილაშვილი:**

– საქართველოს კანონმდებლობა ორმაგი მოქალაქეობის შეწყვეტას არ ითვალისწინებს და მოქალაქეობის შესახებ კანონის 32-ე მუხლი საგამონაკლისო წესით მიღებულ მოქალაქეობის დაკარგვას არ ეხება. 32-ე მუხლის მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღება საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძველია, თუმცა, ეს არ ეხება საგამონაკლისო წესით მიღებულ ორმაგ მოქალაქეობას.

როგორც პრეზიდენტის ბრძანებულებაშია მითითებული, პრეზიდენტმა ისარგებლა მოქალაქეობის შესახებ 32-ე მუხლით. ოთხი შემთხვევაა, როდესაც პირი საქართველოს მოქალაქეობას კარგავს – როდესაც უცხო ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკურ ორგანოში სამუშაოდ შედის; როდესაც პირი საკონსულო აღრიცხვაზე არ დგება; გააყალბებს საბუთებს და უცხო ქვეყნის მოქალაქეობას მიიღებს.

ამ შემთხვევაში ეს ბოლო რეჟიმი იყო გამოყენებული. მინდა, სისტემურად შევხედოთ საკითხს. შეიძლება, საგამონაკლისოზე ეს რეჟიმი ვრცელდებოდეს. რამდენი ორმაგი მოქალაქეა, რომელიც უცხო ქვეყნის პოლიტიკური ან სამხედრო ორგანოს წევრია. მსგავს შემთხვევებს რომ ვეძებდით, მოვნახეთ ისრაელის მოქალაქე, ვინმე ტატიანა ავერბოხი, არანაირად ცნობილი, არანაირად განსაკუთრებული, რომელიც თავისი ქვეყნის, ისრაელის კანონმდებლობიდან გამომდინარე, ალბათ, იხდის კიდეც სამხედრო ვალდებულებას.

შეიძლება, მას საქართველოს მოქალაქეობა ჩამოვართვათ იმის გამო, რომ ისრაელის კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებას ასრულებს? მიხეილ არკადიევს, ცნობილ რუს დირიჟორს რომ მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა, როგორ წარმოგიდგენიათ, საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება ჩამოერთვას, რადგან ეს ადამიანი საქართველოს საკონსულოს აღრიცხვაზე არ დადგება. ეს ხომ აბსურდია. მესამე საფუძველი, როდესაც პირი ყალბი დოკუმენტებით იძენს ორმაგ მოქალაქეობას. მოქალაქეობას დამსახურებისთვის იძენს. განა შეიძლება, ადამიანმა გააყალბოს თავისი დამსახურება სახელმწიფოს წინაშე? ეს შეუძლებელია. მეოთხე, როდესაც პირი სხვა ქვეყნის მოქალაქეობას იღებს, ეს ეხება ერთჯერადი მოქალაქეობის მქონეებს და არა საგანონაკლისო წესისას, რომლის ჩამორთმევის საფუძველი კანონით გაწერილი არ არის.

კბილაშვილის ინფორმაციით, თუკი სახელმწიფო კანონით უშვებს, რომ პირი ერთდროულად იყოს რამდენიმე სახელმწიფოს მოქალაქე, მაშინ დამატებითი სახელმწიფოს მოქალაქეობა არ ეწინააღმდეგება არანაირ პრინციპს, რადგან იმთავითვე აღიარებ, რომ შენ უცხო ქვეყნის მოქალაქე გყავს.

ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით, მოსამზადებელ სასამართლო სხდომაზე ითხოვდნენ თუნდაც ერთი მაგალითის დასახელებას, როდესაც ორმაგი მოქალაქეობა პრეზიდენტს ჩამოერთმია პირისთვის, რომელმაც სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო, თუმცა, ასეთი მაგალითი ვერ წარმოადგინეს.



ადვოკატი ალექსანდრე ბარამიძე საერთაშორისო პრაქტიკაზე საუბრობს. ბარამიძის განცხადებით, ლოგიკა არ არის იმაში, თუ პირს ორმაგ მოქალაქეობას ანიჭებ და უშვებ, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქეცაა, დამატებით კიდევ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემდეგ ჩამოართვა ორმაგი მოქალაქეობა. ამაში ლოგიკა რომ არ არის, საერთაშორისო სამართლის დოქტრინაც, ნორმებიც, პრაქტიკაც მეტყველებს.

**ალექსანდრე ბარამიძე:**

– ევროსაბჭოს კონვენციით, მოქალაქეობის შესახებ ე.წ. მულტიმოქალაქეობა განმარტებულია, როგორც ერთი პირის მიერ ორი ან მეტი სახელმწიფოს მოქალაქეობის ქონა, ანუ ერთი და იმავე ტერმინის მულტიმოქალაქეობის ქვეშ თავსდება ორი და მეტი ქვეყნის მოქალაქეობა. ორმაგი მოქალაქეობა მულტიმოქალაქეობასაც მოიცავს. ორი ქვეყნის მოქალაქე იქნები, სამის თუ მეტის, საერთაშორისო პრაქტიკიდან და მეცნიერებიდან გამომდინარე, ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ადამიანის უფლებათა კონვენცია საარჩევნო უფლებას უზრუნველყოფს. ხელისუფლება როდესაც ართმევდა მოქალაქეობას ივანიშვილს, ამის დანიშნულება იყო, რომ არ მიეღო მონაწილეობა საარჩევნო პროცესში.

ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის იურისტთა ჯგუფის წევრ შალვა თადუმაძის განცხადებით, ივანიშვილისთვის მოქალაქების ჩამორთმევის შესახებ აქტი არაუფლებამოსილმა პირმა გამოსცა.

**შალვა თადუმაძე:**

– პრეზიდენტს არ ჰქონდა უფლება, საქართველოს მოქალაქეობა ჩამოერთმია პირისთვის, რომელსაც ის საგამონაკლისო წესით მიენიჭა, ვინაიდან მსგავს შემთხვევას შიდა კანონმდებლობა არ იცნობს.

ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში აღნიშნულია, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირი მიუკერძოებელი უნდა იყოს. სააკაშვილმა აქტი დაჩქარებული წესით ბიძინა ივანიშვილის მიერ 7 ნოემბერს გაკეთებული განცხადების შემდეგ გამოსცა. ამასთან, მას ჰქონდა ვალდებულება, მიემართა ივანიშვილისათვის და გაეფრთხილებინა, რომ თუ ის უარს არ იტყოდა საფრანგეთის მოქალაქეობაზე, საქართველოს მოქალაქეობას დაკარგავდა და მოესმინა მისი პოზიცია. მსგავსი რამ შესაბამის ორგანოს არ გაუკეთებია. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააკაშვილს აქტის გამოცემის დროს პირადი და პარტიული ინტერესი ამოძრავებდა და ის არ იყო მიუკერძოებელი.

მოკლედ, ივანიშვილის იურისტთა ჯგუფი ადმინისტრაციული სარჩელით ერთადერთ მოთხოვნას აყენებს – სააკაშვილის მიერ გამოცემული აქტი გაუქმდეს. შეგახსენებთ, რომ 5 დეკემბერს ბიძინა ივანიშვილისა და ეკატერინე ხვედელიძის სარჩელთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამზადებელი სხდომა ჩატარდა.

სხდომაზე მოსარჩელე მხარის წარმომადგენლებმა ოთხი შუამდგომლობა დააყენეს, რომელთაგან მოსამართლემ ნაწილი არ დააკმაყოფილა, ნაწილი კი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე შოთა გეწაძე იხილავდა. მან არ დააკმაყოფილა მოსარჩელის წარმომადგენლების შუამდგომლობა საქმეზე ექსპერტებად ევა გოცირიძისა და ვახტანგ ხმალაძის დაკითხვასთან დაკავშირებით. მოსარჩელე მხარე მათ დაკითხვას სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნინო კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# საპარლამენტო ოპოზიცია ერთმანეთს დაერია

თეა მარხვაიძე

## გაწევ-გამოწევა სხდომათა დარბაზში

პარლამენტში პოლიტიკური ტემპერატურა ნელ-ნელა მატულობს. ნაციონალებსა და ოპოზიციას შორის კამათი ახლა აქტუალური აღარ არის. ახლა მოდაში ოპოზიციური დაპირისპირებაა. ამ ზაფხულს შექმნილი ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ და საპარლამენტო უმცირესობა ერთმანეთს დიდად არ სწყალობენ. ღია ომი კი 2 კვირის წინ გამოუცხადეს ერთმანეთს.

2 კვირის წინ დაწყებული დაპირისპირება გუშინაც გაგრძელდა. ამჯერად ოპოზიცია ერთმანეთს სხვა თემაზე დაუპირისპირდა. მათ შორის კამათმა უფრო მწვავე სახე მიიღო და გაჩაღებული კამათის გამო პარლამენტის სხდომა რამდენიმე წუთით შეჩერდა.

ალიაქოთი დიმიტრი ლორთქიფანიძის გამოსვლას მოჰყვა. ისე, ხმამაღალი შეძახილები მანამდეც ისმოდა დარბაზში. განსაკუთრებით ნაციონალები აქტიურობდნენ. მათ ნერვები ჯონდი ბაღათურიამ მოუშალა, რომელიც ხელისუფლების თავდადებასა და ნაკეთებ საქმეებს არად აგდებს. ქვეყანაში მისი მოსაწონი ძეგლიც კი ვერ დადგეს. ძეგლები ბაღათურიამ გუშინაც დაიწუნა. მან მმართველ გუნდს ამ ზაფხულს ბათუმში გამომცხვარი გიგანტური ხაჭაპურიც წამოაძახა, თავი კი სააკაშვილის ახალი იდეის გამო გაინერვიულა.

მოგეხსენებათ, რომ მიხეილ სააკაშვილი ახალი ქალაქის ლაზიკას აშენებას აპირებს. ეს ქალაქი ყულევსა და ანაკლიას შორის უნდა აშენდეს. ამ იდეით მთელი საზოგადოება გადარეულია. აღფრთოვანება მარტო ნაციონალებს ეტყობათ.

ჯონდი ბაღათურიამ მიხეილ სააკაშვილი ბარონ მიუნჰაუზენადაც კი მოიხსენია, რამაც ნუგზარ წიკლაური აღაშფოთა. ის შეეცადა, თავისი ომახიანი შეძახილებით ჩაეხშო ჯონდის ხმა, მაგრამ ბაღათურია ამ დაბრკოლებას არ შეუშინდა და სათქმელი ბოლომდე თქვა.

დეპუტატმა ახალი ქალაქის მშენებლობას სისულელე უწოდა. მისი აზრით, ეს იქნება ასეულობით მილიონი დოლარის გაფლანგვა. ის ხელისუფლებას ურჩევს, ფული სამეგრელოს რეგიონში მცხოვრები გაღატაკებული მოსახლეობის სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად გამოიყენოს. სხვათა შორის, ხელისუფლებას ეს იდეა ქდმ-მაც დაუწუნა.

ახალი იდეის დაწუნების შემდეგ ბაღათურია ეროსი კიწმარიშვილზე გადავიდა. მან ხელისუფლებას მოსთხოვა, როგორც შეაგზავნეთ კიწმარიშვილი „მაესტროში“, ისევე გამოიყვანეთო.

ამასთან, მას ძალიან აინტერესებს, რატომ არ აპატიმრებენ ეროსი კიწმარიშვილს. დეპუტატმა გაიხსენა „კავკასიაში“ მომხდარი ინციდენტი, რომლის დროსაც მართლმადიდებლური კავშირის წევრები დააკავეს და პატიმრობა მიუსაჯეს.

ეროსისთან დაკავშირებით ბაღათურიას სხვა კითხვაც აქვს. დეპუტატი კიწმარიშვილის 25-კაციანი დაცვით არის დაინტრიგებული.

— ამ კაცს „მაესტროში“ შესვლის დროს თან ახლდა 10 კაცი. მერე მათ კიდევ დაემატა 15 ადამიანი, რომლებიც ვითომ მისის დაცვის წევრები არიან. ძალიან მაინტერესებს, რომელი პარტიის ლიდერი დადის 25-კაციანი დაცვით. ასევე მაინტერესებს, რატომ აძლევენ ეროსის დაცვის წევრები მითითებებს პატრულს და ისინიც ასრულებენ ამ მითითებებს?— იკითხა ბაღათურიამ.

მისი ინტერესი მოგვიანებით გოკა გაბაშვილმა დააკმაყოფილა. მისი განცხადებით, „მაესტროში“ ატეხილ წივილ-კივილთან ხელისუფლება არაფერ შუაშია.

თავის გამოსვლაში ოპოზიციონერი ბოლო დროს ძალიან აქტუალურ თემას — დეპუტატების რიცხოვნობის გაზრდასაც შეეხო.

„ქართული დასის“ ლიდერი დეპუტატების 150-დან 190-მდე გაზრდის გადაწყვეტილებას უკანონობად მიიჩნევს და საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას ამ უკანონობის შეჩერებისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, დეპუტატების რაოდენობის გაზრდა კონსტიტუციის იგნორირებაა.

ბაღათურია ამბობს, რომ მას აქვს დოკუმენტები, სადაც წერია, რომ დეპუტატების რაოდენობის შემცირების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებები სწორედ კანონმდებლობაში რეფერენდუმის შედეგების ასახვის მიზნით მოხდა.

— იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი უპასუხისმგებლოდ იქცევა, როდესაც 2003 წლის რეფერენდუმს უკანონობას უწოდებს. კუბლაშვილს თურმე 8 წლის მერე აღმოუჩენია, რომ ეს რეფერენდუმი უკანონო იყო. თუ საზოგადოება პავლე კუბლაშვილს დაუჯერებს, გამოდის, რომ დღევანდელი პარლამენტიც სრულიად უკანონოა, — განაცხადა დეპუტატმა.



მისი განცხადებით, თუ საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა არ შეჩერდება, ჯონდი ბაღათურია საზოგადოებას დაჰპირდა, რომ იმ დეპუტატების სიას გამოაქვეყნებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს საკონსტიტუციო ცვლილებას, რომლითაც დეპუტატების რაოდენობა 150-დან 190-მდე უნდა გაიზარდოს.

ამავე თემაზე გააგრძელა გამოსვლა ბაღათურიას თანაფრაქციელმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ და ამით ქრისტიან-დემოკრატების დიდი რისხვა დაიმსახურა. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან მან ქრისტიან-დემოკრატებს გონზე მოსვლა ურჩია და უსუსური არგუმენტების მოყვანა დასდო ბრალად.

ლორთქიფანიძის განცხადებით, ძალიან სამწუხაროა, რომ დეპუტატების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებულ ინიციატორებს შორის მთელი საპარლამენტო უმცირესობაა.

— მივმართავ ქრისტიან-დემოკრატებს, იზიარებენ თუ არა იმ მორალურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ ტვირთს, რაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა პირდაპირ აჰკიდა მათ.

პრეზიდენტმა თქვა, რომ ერთგული რჩება რეფერენდუმის შედეგებისა და 2005 წელს სწორედ რეფერენდუმზე დაყრდნობით მოახდინა საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირება და რომ არა ოპოზიციის ერთი ნაწილის დაჟინებული მოთხოვნა, მხარს არ დაუჭერდა დეპუტატთა რაოდენობის გაზრდას, — განაცხადა ლორთქიფანიძემ.

მისი განმარტებით, საზოგადოების უდიდესი და უმძლავრესი ნაწილი პოლიტიკური სპექტრისა მხარს არ უჭერს ამ ინიციატივას და ეს აქტი არის უკანონო.

— საზოგადოებასთან შეხვედრებში უმრავლესობა არ აქტიურობს და მათგან არ ისმის დაჟინებული მოთხოვნა დეპუტატების გაზრდისა. სანამ დროა, გონს მოეგეთ, რადგან ძალიან დიდია ის ტვირთი პასუხისმგებლობისა, რომელსაც საზოგადოება თქვენ უკვე გაკისრებთ. ამას ნიშნის მოგებით ნამდვილად არ ვლაპარაკობ, — განაცხადა დეპუტატმა.

მან ორშაბათს გამართული ფრაქციის გაფართოებული სხდომაც გაიხსენა, რომელზეც ქდმ-ც ყოფილა მიწვეული, მაგრამ ისინი იქ არ მივიდნენ.

ლორთქიფანიძემ დეპუტატების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით ქრისტიან-დემოკრატების არგუმენტებიც გააკრიტიკა და უსუსური და სევდიანი უწოდა მათ მცდელობას, გამკლავებოდნენ საზოგადოებას.

მის შემდეგ დავით დარჩიაშვილი უნდა გამოსულიყო. დარჩიაშვილმა თავისი გამოსვლა ბაღათურიას კრიტიკით დაიწო, მაგრამ ვინ აცალა. ქდმსა და „ერთობა სამართლიანობისთვის“ შორის ფიცხელი კამათი ატყდა.

ისე, ამ დეპუტატებმა მანდატურების მადლი მოისხეს, რომლებმაც უსაქმურობისგან აღარ იციან, რა ქნან. გუშინ მათ ძლივს მოუწიათ პროფესიული მოვალეობის შესრულება.

ლორთქიფანიძის გამოსვლამ, როგორც ჩანს, მარტო ქდმ არ გააღიზიანა. აღშფოთება ნუგზარ ერგემლიძემაც გამოხატა. ის დიმიტრი ლორთქიფანიძესთან მივიდა და ჰკითხა, რაში ადანაშაულებდა ეს უკანასკნელი იმ დეპუტატებს, რომლებმაც საკონსტიტუციო ცვლილებებს მოაწერეს ხელი.

ლორთქიფანიძემ ერგემლიძეს განუმარტა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირებაზე პირველად ერგემლიძეს ჰქონდა ხელი მოწერილი. მათ შორის შელაპარაკება მანდატურის სამსახურის თანამშრომლებმა გაანეიტრალეს.

ამის შემდეგ კამათი ლევან ვეფხვაძესა და „ერთობა სამართლიანობისათვის“ წევრ თამაზ დიასამიძეს შორის გაგრძელდა.

— შე ნაძირალა! — უყვირა თამაზ დიასამიძემ ლევან ვეფხვაძეს.

შეურაცხყოფილ ვეფხვაძეს უფროსი კოლეგისთვის საპასუხო სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებია. ვეფხვაძემ დიასამიძეს გაჩუმებისაკენ მოუწოდა.

მანდატურების ტრიალმა და დავით ბაქრაძის ზარის წკრიალმა ვითარება განმუხტა და გამოსვლებიც გაგრძელდა.

დავით დარჩიაშვილის შეფასებით, ჯონდი ბაღათურიასა და ოპოზიციას არ აინტერესებს, რა ხდება რეალურად და მხოლოდ იმის თქმას ცდილობს, რომ ქვეყანაში ცხოვრება „ოცნებების კორიანტელში მიდის“.

— ბაღათურიას აინტერესებს, „საით მიაფრენს ხელისუფლება ქვეყანას“. მთავრობა მიაფრენს ქვეყანას ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმებისკენ, — განაცხადა დარჩიაშვილმა.

დარჩიაშვილის თქმით, ევროკავშირიდან გაცხადდა, რომ ამ საკითხზე მოლაპარაკებები დაიწყო, რასაც სტრატეგიები და დიდი საკანონმდებლო მუშაობა უძღოდა წინ.

— ეს თქვენ არ გაინტერესებთ, თუმცა, ათეულობით ათას ადამიანს ახალ პერსპექტივას უქმნის. ოპოზიციას ასეთი ოცნება არ აქვს, რადგან მისი ოცნებები სუროგატულ ოცნებებს უკავშირდება და ამას „ქართულ ოცნებას“ ეძახიან. „ქართული ოცნება“ კი „გაზპრომის“ ოცნების გამეორებაა და ოპოზიციას ამ ოცნებაში წილი სურს. ეს ოცნებები აღარ ახდება. რაც გინახავთ, ვეღარ ნახავთ. საქართველო ევროკავშირთან ინტეგრაციის პირობებში განვითარდება, — განაცხადა დავით დარჩიაშვილმა.

მას მხარი თანაპარტიელმა აკაკი მინაშვილმაც აუბა, რომელმაც ოპოზიცია უძლურებასა და უუნარობაში დაადანაშაულა.

— პარტიას, რომელიც ქვეყნის განვითარებას ეწინააღმდეგება, ამ ქვეყანაში შანსი არ გააჩნია. ეს ქალაქი, რომელზეც საუბარი იყო და რომლის აშენების პირობა ხელისუფლებამ დადო, მოდერნიზაციის, განვითარებისა და დასაქმების სიმბოლოა. უამრავი ადამიანი დასაქმდება და უამრავი ტურისტი ჩამოვა. ის საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი ცენტრი იქნება. ეჭვი არავის ეპარება, რომ ეს ხელისუფლება საკუთარი პირობების შესრულებასა და მსგავსი პროექტების ბოლომდე მიყვანაშია ეჭვმიტანილი, — აღნიშნა აკაკი მინაშვილმა.

მთავრობა ბოროტი ოპოებისგან სხვა ნაციონალებმაც დაიცვეს. უმრავლესობის მიერ კბილებით დაცული ხელისუფლება ქდმ-საც შემოეკრიტიკა.

ამის გარდა, ქდმ-მ ოპოზიციაც გააკრიტიკა. საუბარია აბეზარ ფრაქციაზე, რომელიც უმრავლესობას და უმცირესობას ნერვებს უშლის.

სწორედ ამ ფრაქციის საპასუხოდ გააკეთა ვეფხვაძემ საგანგებო განცხადება. მისი თქმით, ქრისტიან-დემოკრატები პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის შეჩერების ინიციატივით გამოდიან.

ლევან ვეფხვაძის განაცხადებით, აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით მმართველი გუნდი და ოპოზიცია უნამუსოდ იქცევიან.

— ხელისუფლება ცდილობს, ოპოზიციის გარკვეულ ნაწილს აჰკიდოს პარლამენტის რიცხოვნობის გაზრდის პასუხისმგებლობა, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ ეს პოპულარული თემა არ არის და საზოგადოების ნაწილისთვის მიუღებელია. პოლიტიკური კონსენსუსი უფრო მაღლა უნდა დადგეს, ვიდრე ახლა საზოგადოების ინტერესი, რათა ხვალ და ზეგ ისევ საზოგადოების ინტერესები იყოს უფრო დაცული, — განაცხადა ვიცე-სპიკერმა.

თავის გამოსვლაში ვეფხვაძემ მულტიპარტიული დემოკრატიის მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

— საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, პატარა პარტიებს, როგორიცაა ბაღათურიასა და ცაგარეიშვილის პარტია, შესაძლებლობა ექნებოდათ, სხვა დიდი პარტიებთან ერთად პარლამენტში აღმოჩენილიყვნენ. როგორც ჩანს, მათ ეს არ უნდათ. კი ბატონო, დავტოვოთ ისე, როგორც არის — 150-კაციანი პარლამენტი. ბევრი ის ადამიანი, რომელიც თავის დროზე „რვიანის“ ფორმატში ითხოვდა დეპუტატთა რაოდენობის გაზრდას და ამის საჯაროდ თქმის თავი არ ჰქონდა, ახლა მის პოლიტიკურ ძალას აკრიტიკებს, მოვა და შეეხვეწება. ისინი ბიძინა ივანიშვილის ფსიქოლოგიური ექსპერიმენტების ეგზემპლარებად იქცევიან. მათ ჰყავთ ახალი ლიდერი, რომელიც ატარებს ექსპერიმენტებს თვითგადარჩენის ინსტინქტზე და კარგი ეგზემპლარები არიან ამ ექსპერიმენტებისთვის. დარწმუნებული ვარ, ბევრი აქაური ჩემი კოლეგა კარგი მასალაა ამისთვის, — განაცხადა ოპოზიციის მიერ გულნატკენმა ვეფხვაძემ.

თავისი პოზიცია ფრაქცია ქრისტიან-დემოკრატების თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანმაც დააფიქსირა. მისი მტკიცებით, ოპოზიციის ნაწილს დღეს „ერთი ადგილი“ აღარ აქვს, რათა აღიაროს, რომ თავის დროზე ამაზე თანახმა იყო.

— თუ ოპოზიციის ნაწილი ვერ ხვდება, რომ 150 დეპუტატისთვის 40-ის მიმატება პარლამენტში მრავალპარტიული სისტემის შექმნას შეუწყობს ხელს, ეს მათი პ რ ო ბ ლ ე მ ა ა . სამწუხაროა, რომ ზოგიერთ კოლეგას, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სხვა საკითხებზე მსჯელობისას ადეკვატურნი იყვნენ, თურმე „საწყალობლად“ მოეჩვენა ჩემი არგუმენტი, რომ დეპუტატების რაოდენობის გაზრდა სწორედ ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის გაძლიერებისთვის გადადგმული ნაბიჯი იყო. დიახ, ხელისუფლებას ის რეალობა არ ეხატებოდა გულზე, რომელიც 190-კაციან პარლამენტს უკავშირდებოდა. დეპუტატების 75-75-ზე განაწილების პრინციპი იმას ნიშნავს, რომ მომავალი ხელისუფლებაც ამ ბერკეტს ყოველთვის გამოიყენებს და 75 მაჟორიტარი პარლამენტის ნახევრის ბედს ყოველთვის გადაწყვეტს, 150-კაციანი პარლამენტი სწორედ ხელისუფლებას აძლევს ხელს, — ამბობს ახვლედიანი.

ამ საკითხთან დაკავშირებით პოზიცია ნაციონალებმაც დააფიქსირეს. სათქმელი დავით ბაქრაძემაც თქვა. მისი მტკიცებით. ოპოზიცია ითხოვდა დეპუტატების რაოდენობის გაზრდას. ბაქრაძის განცხადებით, დეპუტატების რაოდენობის 150-დან 190-მდე გაზრდასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ცვლილებები ძალიან ხანგრძლივი კონსენსუსის შედეგია. როგორც მან ამ საკითხზე გამართული დებატების შემდეგ განაცხადა, ცვლილებების ინიციატივა ოპოზიციურ პარტიებთან მიღწეული კონსენსუსიდან გამომდინარეობდა, მაგრამ, თუ მათ ახლა აღარ სურთ ეს შეთანხმება, ძალას ვერავინ დაატანს.

— მინდა მოგიწოდოთ, რომ შეთანხმების ნებისმიერი ფორმით გადახედვა ასევე კონსენსუსისა და შეთანხმების საფუძველზე მოხდეს, ინიციატივის გადახედვის საფუძველი პოლიტიკური დებატების დროს ცხელ გულზე გაკეთებული განცხადება არ გახდეს. უმრავლესობასაც და უმცირესობასაც გთხოვთ, თქვენი უფლებაა, მას გადახედოთ. მაგრამ, იმის გამო, რომ ეს არის პოლიტიკური პროცესის შედეგი, ნუ მოხდება დებატების დროს ცალმხრივი და ხშირად ცხელ გულზე გაკეთებული განაცხადების რევიზირება. რაც შეეხება შეთანხმების ფორმატს, ეს მთლიანად პარტიებზეა დამოკიდებული, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

## რეფერენდუმით მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა არ შეიძლება



„დემოკრატიული მოძრაობა“ დეპუტატთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით პარლამენტში გუშინ გამართულ დებატებს ეხმაურება.

როგორც პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ამ საკითხთან დაკავშირებით საპარლამენტო ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მიმდინარე ურთიერთბრალდებები ისევ ხალხის მიერ მიღებული გადაწყვეტილების იგნორირება და კონსტიტუციისა და რეფერენდუმის შესახებ კანონის უგულვებელყოფაა. „დემოკრატიული მოძრაობა“ კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ რეფერენდუმით მიღებული ცვლილების პარლამენტის გადაწყვეტილებით შეცვლა დაუშვებელია და მხოლოდ რეფერენდუმის გზით არის შესაძლებელი.

განცხდებაში ასევე მოყვანილია პარტიის ლიდერის, ნინო ბურჯანაძის კომენტარი, რომელიც მან 2011 წლის 27 ივნისს გააკეთა, სადაც აცხადებს, რომ მისთვის გაუგებარია, დღეს რატომ თანხმდებიან „ახალი მემარჯვენეები“ პარლამენტში დეპუტატების რაოდენობის გაზრდას ყოველგვარი რეფერენდუმის გარეშე, როდესაც თავის დროზე, ისინი ამის გამო პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტთან შიმშილობდნენ.

ინტერპრესნიუსი

# ცხინვალში გენპროკურორის სახლი დაცხრილეს

## ალა ჯიოევა ახალ მთავრობას ქმნის და თავშესაფარს ითხოვს

თეა მარხვაიძე

**ცხინვალში ვითარება უკვე კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა. გუშინ დილით აქაური გენპროკურორის ბინას ესროლეს. ედუარდ კოკოითი დამნაშავეების დასჯით იმუქრება. ალა ჯიოევა კი თავის მთავრობას ქმნის და ინაუგურაციისთვის ემზადება.**



გუშინ გამთენიისას, სამხრეთ ოსეთის გენერალური პროკურორის, თეიმურაზ ხუგაევის საცხოვრებელ ბინას ტანკსაწინააღმდეგო ტყვიამფრქვევიდან ესროლეს. ხუგაევის ინფორმაციით კი, ინციდენტი 05:10 საათზე მოხდა, არავინ დაშავებულა, თუმცა მის და მეზობლების ბინებში მინებია ჩამსხვრეული.

ხუგაევის დაცვის ერთ-ერთი თანამშრომლის მტკიცებით, გასროლა მეზობელი სახლიდან განხორციელდა.

ოსური მედიის ცნობით, ედუარ კოკოითიმ მომხდარ ფაქტს კარგად დაგეგმილი პროვოკაცია უწოდა. ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ გარკვეულ ძალებს სურთ, რომ ოპოზიციასთან მიმდინარე დიალოგი სამართლებრივი ველიდან გამოვიდეს, რასაც ხელისუფლება არ დაუშვებს. კოკოითი პირობას დებს, რომ ყველა დამნაშავე სათანადოდ დაისჯება.

გენპროკურორის სახლის დაცხრილვიდან რამდენიმე საათში ცნობილი გახდა, რომ სამართლადამცავებმა ოპოზიციის ლიდერის ჯიოევას 2 მომხრე დააკავეს.

– 6 დეკემბრის დილით ორი ადამიანი დავაკავეთ, რომელთაგან ავტომატური იარაღი, ყუმბარები და დიდი ოდენობით საბრძოლო მასალაა ამოღებული, – განაცხადა სახლდაცხრილული გენპროკურორის მოადგილემ ელდარ კოკოევმა.

მან აღნიშნა, რომ დაკავებულები ალა ჯიოევას მომხრეები არიან, თუმცა არ დაუკონკრეტებია, არის თუ არა მათი დაკავება კავშირში გენპროკურორის თეიმურაზ ხუგაევის ბინის დაცხრილვასთან.

ამ ამბებიდან რამდენიმე საათში „ინტერფაქსმა“ გაავრცელა საინტერესო ინფორმაცია სააგენტოს ცნობით, ოპოზიციის ლიდერი ალა ჯიოევა რუსეთისთვის პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნას აპირებს. ეს ინფორმაცია ჯიოევას შტაბმა გაავრცელა.

მისი შტაბის ინფორმაციით, ჯიოევა რუსეთისთვის პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნას არა მარტო თავისთვის, არამედ საკუთარი მომხრეებისა და ამომრჩევლებისთვის აპირებს.

გუშინ ცხინვალში კიდევ ერთი ამბავი მოხდა. სამხრეთ ოსეთის უზენაესმა სასამართლომ ჯიოევას განაჩენი კიდევ ერთხელ გამოუტანა. კონკრეტულად კი უზენაესმა სასამართლომ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

სასამართლოს თავმჯდომარის აცამაზ ბიჩენოვის განცხადებით, სასამართლომ მისივე გადაწყვეტილების ძალაში დატოვება გადაწყვიტა და 27 ნოემბრის არჩევნების შედეგები კვლავ ბათილად ცნო.

იქამდე კი ოპოზიციის ლიდერი ალა ჯიოევა სარჩელის გამოტანას აპირებდა, თუმცა ველარ მოასწრო.

– მათ უბრალოდ დრო გაიყვანეს, თუმცა ჩვენ სასამართლოს მეტად აღარ მივმართავთ. ვაპირებთ, ინაუგურაცია გავმართოთ, შემდეგ კი ჩვენი ხელისუფლება ჩამოვაყალიბოთ, – აცხადებდა ჯიოევა.

გუშინვე კოკოითიმ რუსეთთან საზღვრის ჩაკეტვა გადაწყვიტა. რუსული მედიის ცნობით.

სამხრეთ ოსეთმა რუსეთის ფედერაციასთან არსებული სახელმწიფო საზღვრის დროებით ჩაკეტვის გადაწყვეტილება მიიღო.

– აღნიშნული ზომა განპირობებულია რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობით და პროვოკაციების თავიდან აცილებას ისახავს მიზნად. ეს ზომა დროებითი ხასიათისაა და მოქალაქეებმა, რომლებიც საზღვრის გავლით დადიან, დროებით მგზავრობისგან თავი უნდა შეიკავონ, – განმარტავემ ოსი სამართალდამცავები.

# რატომ უნდა გაეფრთხილებინა სააკაშვილს ივანიშვილი

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ბით ითხოვდა, თუმცა, მოსამართლემ განმარტა, რომ სასამართლოს აქვს სპეციალური ცოდნა ამ საკითხთან დაკავშირებით და სპეციალისტებისა და ექსპერტების მოწვევას არ საჭიროებს.

მოსამართლემ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ადვოკატების შუამდგომლობა მასალების გამოთხოვასთან დაკავშირებით. მან არ დააკმაყოფილა საგარეო საქმეთა, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებიდან მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობა. მოსამართლემ მოთხოვნა მხოლოდ სამოქალაქო რეესტრის ნაწილში დააკმაყოფილა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დაავალა, რომ წარადგინოს ადმინისტრაციული წარმოების მასალები, რომლებიც საფუძვლად დაედო ეკატერინე ხვედელიძისა და ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის გადაწყვეტილებას.

ადვოკატები ითხოვდნენ სტატისტიკურ ინფორმაციას პრეზიდენტისა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსგან იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენ პირს შეუწყდა ორმაგი მოქალაქეობა, რითაც სურდათ იმის დადგენა, არის თუ არა ხვედელიძესა და ივანიშვილთან მიმართებით პრეზიდენტის გადაწყვეტილება უპრეცედენტო და უნიკალური, თუმცა, პრეზიდენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს ინფორმაცია ამ სახით მათთან დაცული არ არის.

მოსამართლემ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დაავალა, რომ ეს სტატისტიკური ინფორმაცია სასამართლოს წარუდგინოს.

მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ადვოკატების შუამდგომლობა ეკატერინე ხვედელიძის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს წარმომადგენლის მიერ მის საფრანგეთის მოქალაქეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის საფრანგეთის საელჩოსგან მიღებას.

ადვოკატები ამბობდნენ, რომ ტელეფონის საშუალებით ინფორმაციის მიღება არაკომპეტენტური პირისგან არ შეიძლებოდა მტკიცებულებად ჩათვლილიყო და აქედან გამომდინარე აყენებდნენ შუამდგომლობას, თუმცა, მოსამართლემ ეს შუამდგომლობაც არ დააკმაყოფილა.

ბუნებრივია, ისევე, როგორც ბევრი სხვა სასამართლო პროცესი საქართველოში, „ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგაც“ პოლიტიზებული გამოდის. ამის საშიშროება რომ აშკარა იყო, სწორედ ამიტომ განაცხადა ადვოკატმა ეკა ბესელიამ ჩვენთან საუბრისას:

– თუ სასამართლო არ იქნება პოლიტიზებული, დამოუკიდებლად და კანონზე დაყრდნობით მიიღებს გადაწყვეტილებას, რასაკვირველია, უნდა გააუქმოს სააკაშვილის მიერ გამოცემული უკანონო აქტი მოქალაქეობის ჩამორთმევის თაობაზე. თუ ის იქნება პოლიტიზებული, როგორც აქამდე ხდებოდა და მიიღებს პოლიტიკურ დავალებას, მოიქცევა ისე, როგორც მიხეილ სააკაშვილი ისურვებს.

არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში დიდი ხანია გაიგეს, სააკაშვილმა ივანიშვილს მოქალაქეობა იმიტომ ჩამოართვა, რომ მილიარდერმა მისთვის პოლიტიკური ოპონირება ვერ შეძლოს.

ბიძინა ივანიშვილისათვის, მისი მიზნების განხორციელებისათვის საქართველოს მოქალაქეობის დაბრუნება ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია. ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობის არქონა ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკური პარტიის დაარსების, დაფინანსებისა და არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას ართმევს. ამიტომაცაა, რომ, იურისტების განცხადებით, ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის შეწყვეტა იყო ოპონენტის წინააღმდეგ პოლიტიკურად მოტივირებული და სამართლებრივი პროცედურების დარღვევით მიღებული გადაწყვეტილება, მათ შორის იმის გამოც, რომ ამ პროცედურის განხორციელებისას ივანიშვილს არ მიეცა შესაძლებლობა, დაეცვა საკუთარი პოზიცია და უფლებები.

# გიორგი პერტაია: „თუ ყველამ ვიძახეთ, რომ ბიზნესი შეშინებულია, მაშინ, რა თქმა უნდა, ბიზნესი შეშინებული იქნება“

ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენის შემდეგ, „ქართუ ბანკში“ შექმნილ ვითარებასა და ამავე ბანკის მიერ გავრცელებულ განცხადებაზე „ინტერპრესნიუსი“ საქართველოს ბიზნეს-ომბუდსმენს, გიორგი პერტაიას ესაუბრა.

***– ბატონო გიორგი, „ქართუ ბანკის“ ხელმძღვანელობა ხელისუფლებას ბანკის მიმართ სადამსჯელო ოპერაციების განხორციელებაში ადანაშაულებს. „ქართუ ბანკის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ხელისუფლებამ 14 იურიდიულ და ფიზიკურ პირს დაუყადაღა 100 მილიონი ლარის ქონება, რითაც არაუზრუნველყოფილი დატოვა 70 მილიონი ლარის საკრედიტო ვალდებულებები. იმავე განცხადებაში საუბარია იმაზე, რომ დაყადაღების საფუძველი არ არსებობდა და დაყადაღება უკანა რიცხვითაა აღმოჩენილი. თქვენი აზრით, რამდენად კანონიერია არარსებული დარღვევების უკანა რიცხვით აღმოჩენა და, საერთოდ, რამდენად სამართლიანია ხელისუფლების მისამართით „ქართუს“ ხელმძღვანელობის პრეტენზიები?***




– პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს იმ ცვლილებაზე, რომელიც სულ ახლახან შევიდა საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლში და სააღსრულებო წარმოების 82-ე მუხლში. ამ ცვლილებებით, მთავრობას, ამ შემთხვევაში საგადასახადოს, უფლება აქვს, ბანკზე ადრე იყოს პირველი იპოთეკარი. ჩემი აზრით, ეს ცვლილებები კარგი არ არის, მაგრამ უკვე მიღებულია და პრობლემები, რომელზეც ბანკი „ქართუ“ საუბრობს, ამ ცვლილებებმა განაპირობა.

ბანკ „ქართუს“ განცხადებაში ბევრი ისეთი რამ წერია, რაზეც დოკუმენტების შესწავლის გარეშე საუბარი შეუძლებელია. მაგრამ, თუ ისევ საგადასახადო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებს დავუბრუნდებით, უნდა ითქვას, რომ ეს ცვლილებები ყველა ბანკს ეხება და ყველა ბანკისთვის პრობლემატურია. ამით ბანკებს ეზრდებათ რისკები, რამაც შესაძლებელია, გავლენა იქონიოს ეკონომიკის დაფინანსებაზე საბანკო სექტორის მხრიდან.

ბანკ „ქართუს“ მიერ გაკეთებულ განცხადებებზე საუბარი რთულია დოკუმენტების შესწავლის გარეშე. ჩვენთან უამრავი ბიზნესმენი მოდის თავისი პრობლემებით, მაგრამ ამ საქმეების შესწავლის შემდეგ ხშირად ვითარება არ არის ისე, როგორც ბიზნესმენები ვარაუდობდნენ.

***– თქვენ რა მექანიზმები გაქვთ განცხადებაში მოყვანილი ბრალდებების დასაზუსტებლად? და კიდევ, რა შეიძლება გააკეთოთ „ქართუს“ ინტერესების დასაცავად? თუნდაც იმის გასარკვევად, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს განცხადებები, რომ მათ წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები „პოლიტიკურად მოტივირებულია“ . . .***

– იმის გარკვევა – პოლიტიკურად მოტივირებულია თუ არა, ეს აბსოლუტურად არ გახლავთ ომბუდსმენის საქმე. ჩვენი საქმე იმის დადგენაა, დაირღვა თუ არა კანონი, საგადასახადო კანონმდებლობა ან სხვა ბიზნესის მარეგულირებელი კანონი. კანონის შესაბამისად, ბიზნესმენებმა ჩვენ უნდა მოგვმართონ, განცხადების შემოსვლის შემდეგ ვსწავლობთ პრობლემას და ამის შემდეგ მთავრობას ვაძლევთ რეკომენდაციას დარღვეული უფლებების აღდგენის თაობაზე. ჩვენ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო არა ვართ. განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით „ქართუ“ ბანკმა ჩვენ უკვე მოგვმართა. „ქართუ“ ბანკის წერილში არის ასახული განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით მათი ხედვა და არანაირ პოლიტიკური შეფასებებს არ შეიცავდა. ისინი ამ საკითხის პოლიტიზირებას არ ახდენდნენ და აღნიშნული იყო, რომ ეს არა მხოლოდ „ქართუ“ ბანკს ეხებოდა, არამედ მთელს საბანკო სფეროს. ჩვენ შესაბამისად დავეთანხმეთ მათ მოსაზრებებს. ჩვენ ამ საკითხებზე შევიმუშავეთ ჩვენი წინადადებები მთავრობისთვის და როგორც ბიზნესისათვის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, ასევე ამ საკითხთან დაკავშირებით რეგულარულად ვმართავთ შეხვედრებს მათთან. იმედი მაქვს, რომ საგადასახადო კოდექსში და სააღსრულებო წარმოებათა კანონში განხორციელებული ცვლილებები ადრე თუ გვიან შეიცვლება.

***– იმ შემთხვევაში თუ ხელისუფლებამ „ქართუ ბანკის“ მიმართ დამოკიდებულება არ შეცვალა, თუ ეროვნულმა ბანკმა „ქართუში“ თავისი ქმედებები არსებულ რეჟიმში გააგრძელა, როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესები და, სავარაუდოდ, რით შეიძლება დასრულდეს ეს ყველაფერი?***

– ამის თქმა გამიჭირდება, მაგრამ ერთი რამ ცალსახაა, როცა ბანკის მფლობელი და ბიზნესმენი პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს და პოლიტიკაში მოდის, ძალიან დიდი რისკია, რომ ისეთი საკითხები, რომლებიც საერთოდ არ არის პოლიტიკური, პოლიტიკურად მოტივირებულად ჩაითვალოს. კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება პოლიტიკურად მოტივირებული არ იყო. ამ ცვლილებების განხორციელების საკითხი დღის წესრიგში 2 წლის წინაც იდგა, მოგეხსენებათ, მაშინ ივანიშვილი პოლიტიკურ არენაზე გამოსული არ გახლდათ.

საგადასახადოს უნდა, თავისი რისკები შეამციროს და ბანკსაც იგივე სურვილები აქვს, ამაში გასაკვირი არაფერია და მათ შორის ეს დავა ძალიან ბევრ ქვეყანაში არსებობს. ყველა ქვეყანაში ეს საკითხი სხვადასხვაგვარად წყდება. სამწუხაროდ, ამ ცვლილებების განხორციელების შემდეგ საგადასახადო უფრო კარგ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე საფინანსო ორგანიზაციები. ძალიან დიდი რისკია, რომ ისეთი საკითხები, რომლებიც პოლიტიკასთან საერთოდ არ არის კავშირში, ანგაჟირებული თემა გახდეს, რაც ბიზნესის განვითარებისთვის ძალიან ცუდია. ამაზე ბევრი ბიზნესმენი საუბრობს. იმისათვის, რომ სხვა ბიზნესი არ დაზარალდეს, უნდა გაიმიჯნოს, სად არის ბიზნესი და სად – პოლიტიკა.

ძალიან კარგი მაგალითები არსებობს განვითარებულ ქვეყნებში, სადაც, ისევე როგორც ჩვენთან, მიმდინარეობს პოლიტიკური აქტივობები, მაგრამ ეს არ ეხება ბიზნესს. ბიზნესმენი, რომელიც წარმოებითაა დაკავებული, გადასახადებს იხდის და მოგებაზე მუშაობს, ასეთი ბიზნესმენის გაპოლიტიზება შეუძლებელია, რადგან მისი მთავარი ფუნქციაა მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური მოგების ნახვა.

***– ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ „ქართუს“ განცახდებაში ნათქვამია, რომ მათ წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებების შემდეგ ბანკმა თავის პორტფელის 20% დაკარგა. თუ ასე გაგრძელდა, ბანკ „ქართუსგან“ რა დარჩება? არა მგონია, ქვეყანას ისე ულხინდეს, რომ მეტ-ნაკლებად წარმატებული ბიზნეს-სტრუქტურებისთვის პრობლემების შექმნა ხელისუფლების ინტერესში იყოს...***

– კი ბატონო, მაგრამ მთავარია, კანონი ირღვევა თუ არა. კანონი შეიცვალა და ის, რომ საგადასახადო ორგანო არის პირველი იპოთეკარი და არა ბანკი, ეს დარღვევა არ გახლავთ. რაც შეეხება ბანკის ლიკვიდურობას, რამდენადაც ვიცი, ეროვნულმა ბანკმა გამოთქვა მზადყოფნა, რომ „ქართუ ბანკს“ გარკვეული თანხები მისცეს, მაგრამ „ქართუს“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მათ ფულის პრობლემა არა აქვთ.

***– რამდენადაც ვიცით, თბილისში თავისი ოფისები აქვთ საერთაშორისო სავალუტო ფონდს, მსოფლიო ბანკს, ევროპის განვითარების ბანკს და სხვა საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს. ცნობილია, რომ ეს ორგანიზაციები „ქართუ ბანკში“ მიმდინარე პროცესებზე ინფორმირებული არიან, მაგრამ ჯერჯერობით არანაირი ოფიციალური განცხადება ამ თემაზე არ გაუკეთებიათ. თქვენი აზრით, რატომ?***

– მე ზუსტად ვერ გეტყვით, რატომ არ აკეთებენ ისინი განცახდებებს.

***– თქვენი აზრით, როგორ იმოქმედებს საინვესტიციო კლიმატზე „ქართუ ბანკთან“ დაკავშირებით განვითარებული პროცესები?***

– თუ ბიზნესი პოლიტიკისგან გაიმიჯნება, ეს ბიზნესის განვითარებას წაადგება. თუ პოლიტიკოსები შეეცდებიან ბიზნეს საკითხების პოლიტიზირებას, ეს ბიზნესს მხოლოდ აზარალებს. პოლიტიკოსებისაგან ხშირად გაიგონებთ, რომ ბიზნესმენების უმეტესობა დაჭერილია და ასე შემდეგ. ასეთ განცხადებებს არანაირი საფუძველი არა აქვს. ამას წინათ ჩვენ კვლევა ჩავატარეთ, უამრავ ინფორმაციას ვფლობთ, ზუსტად ვიცით, თუ რამდენ ბიზნესმენს ჰქონდა პრობლემა საგადასახადოსთან და ახლა რამდენს აქვს. ჩვენ აუცილებლად უნდა მივიდეთ იმ ვითარებამდე, როგორც განვითარებულ ქვეყნებშია. ამ ქვეყნებშიც არის საკმაოდ დიდი პოლიტიკური აქტივობები, მაგრამ ისინი ბიზნეს-საკითხების პოლიტიზირებას არანაირად არ ახდენენ. თუ ყველამ, პოლიტიკოსებმა, ჟურნალისტებმა დაუსაბუთებლად ვიძახეთ, რომ ბიზნესი შეშინებულია, მაშინ, რა თქმა უნდა, ბიზნესი შეშინებული იქნება.

**ინტერპრესნიუსი**

# კალაძე ხელისუფლებისგან ივანიშვილის ბანკზე ზეწოლის შეწყვეტას მოითხოვს

შალვა ჯოხაძე

ბიძინა ივანიშვილის კუთვნილ ბანკზე ზეწოლა რომ გრძელდება, ამის შესახებ თავად ბანკის წარმომადგენლები აკეთებენ განცხადებას. ისინი ბანკზე განხორციელებული მორიგი შეტევის შესახებ დეტალურად საუბრობენ. ბიძინა ივანიშვილის ბანკს გუშინ კახა კალაძის ბანკმა სოლიდარობა გამოუცხადა.

— „პროგრეს ბანკის" ხელმძღვანელობა გამოხატავს სამართლიან აღშფოთებას სს „ქართუ ბანკში" მიმდინარე პროცესებზე. ჩვენ, ბანკის მთელი კოლექტივის სახელით უფლებამოსილნი ვართ განვაცხადოთ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შეწყვიტოს პირდაპირი თუ ვერბალური ზემოქმედება საბანკო სექტორის ლიდერზე, „ქართუ ბანკზე", რომელიც ხორციელდება ეროვნული ბანკის მეშვეობით.

ჩვენთვის, „პროგრეს ბანკისათვის", ნამდვილად არაა უცხო შემოწმების საბაბით ბანკში შემოსვლა და ამით ბანკის ფუნქციონირების ხელოვნურად შეფერხება თუ შეჩერება.



„პროგრეს ბანკის" ხელმძღვანელობა და თანამშრომლები ვუერთდებით „ქართუ ბანკის" ხელმძღვანელობის მიმართვას საქართველოს ხელისუფლებისადმი და ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ საბანკო სექტორის ხელოვნურად პარალიზება გამოიწვევს უკუპროცესებს, რომლებიც უარყოფითად აისახება ქართულ ეკონომიკაზე და ასევე ვერ მოხდება სათანადო, დამატებითი ინვესტიციების განხორციელება, — ნათქვამია კახა კალაძის კუთვნილი ბანკის მიერ გაკეთებულ განცხადებაში.

„ბანკ ქართუს" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათი ბანკის ირგვლივ უაღრესად შემაშფოთებელი სიტუაციაა შექმნილი.

— გასული კვირის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებამ განახორციელა უპრეცედენტო სადამსჯელო ოპერაცია, როდესაც ორი-სამი დღის განმავლობაში ოთხ ბიზნეს-ჯგუფს (14 იურიდიული და ფიზიკური პირი) 100 მლნ ლარის ღირებულების ქონება დაუყადაღა.

ამით, ფაქტობრივად, არაუზრუნველყოფილი დატოვა სს ,,ბანკი ქართუს" 70 მლნ ლარის საერთო მოცულობის საკრედიტო ვალდებულებები, რაც ბანკის საერთო საკრედიტო პორტფელის თითქმის 20 პროცენტია.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იმ კომპანიების ქონებაზე, რომლებზეც საგადასახადო ორგანოს არ შეეძლო ძველი რიცხვით (სს „ბანკი ქართუს" პირველადი იპოთეკის რეგისტრაციამდე) „აღმოეჩინა" საგადასახადო დავალიანება (მაგ: კომპანია ახალი დაფუძნებულია), გასულ დღეებში დაჩქარებული წესით განხორციელდა ხსენებული კომპანიების ქონების განვადებით გასხვისება ისეთ კომპანიებზე, რომლებსაც შემდგომში „აღმოუჩინეს" ან გააჩნდათ საგადასახადო დავალიანება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნასყიდობის ფასი არც ერთი ასეთი ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი არ არის და ის მყიდველმა უნდა გადაიხადოს მომავალში (მაგ: ერთი წლის შემდეგ). ეს ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებები თვალთმაქცურია და ისინი დაიდო მხოლოდ სს „ბანკი ქართუს" განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფინანსური ზარალის მიყენების მიზნით. ფაქტია ის გარემოებაც, რომ ხსენებული ნასყიდობის ხელშეკრულებები გაფორმდა ბიზნეს-ჯგუფებში შემავალ კომპანიებს შორის.

ასევე, ჩვენთვის ცნობილია, რომ გასულ კვირას ბანკის უმსხვილესი მსესხებელი ბიზნეს-ჯგუფის აქციონერმა მიაღწია შეთანხმებას ერთ-ერთ პირთან 2012 წლის მარტიდან იმ ქონების მიქირავებაზე, რომელიც მან მოლაპარაკებამდე გაასხვისა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე და რომლის რეალიზაციაც უახლოეს დღეებშია დაგეგმილი საჯარო აუქციონზე სახელმწიფოს სასარგებლოდ. ზემოაღნიშნული ფაქტი ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს იმაზე, რომ ხსენებულ აქციონერს „ჩამორთმეული" ქონების უპირობო დაბრუნების იმედი აქვს, — აცხადებენ „ბანკ ქართუს" წარმომადგენლები.

ბანკში, ასევე დასძენენ, რომ სამწუხაროდ, რეალობად იქცა მათი საფუძვლიანი ეჭვები, რომ ,,სააღსრულებო წარმოების შესახებ" კანონსა და „საგადასახადო კოდექსში" ბოლო პერიოდში შეტანილი ცვლილებები, რომლებზეც არც საქართველოს ეროვნულ ბანკს, არც საბანკო სისტემის რომელიმე სუბიექტს და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საქართველოში მოქმედ არც ერთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტს, არანაირი რეაქცია არ ჰქონია, გამოყენებული იქნებოდა სს ,,ბანკი ქართუს" წინააღმდეგ პოლიტიკურად მოტივირებული ანგარიშსწორებისთვის.

— ბანკის ინკასაციის მანქანის დაყაჩაღებამ და დიდი ოდენობით თანხის კონფისკაციამ, კლიენტებზე ფართომასშტაბიანმა ზემოქმედებამ, რამაც ბანკიდან 45 მლნ ლარის გადინება გამოიწვია, საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან ბანკის ადმინისტრაციაზე პირდაპირმა და პერმანენტულმა ზეწოლამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო; ამიტომაც ხელისუფლება გადავიდა აშკარა ეკონომიკურ ტერორზე, რათა ფინანსურად ყველაზე უზრუნველყოფილ ბანკს იძულებით დაარღვევინოს საზედამხედველო ნორმატივები და დაუნიშნოს ხელისუფლებისთვის ასე სასურველი, დროებითი ადმინისტრაცია.

ბანკი აფრთხილებს შესაძლო მყიდველებს, არ მიიღონ მონაწილეობა ისეთი სახის აუქციონებში, სადაც სს „ბანკი ქართუს" პირველი რიგის იპოთეკის მიუხედავად, ხორციელდება ბანკის მსესხებლების ქონებების გასხვისება საგადასახადო ვალდებულებების შესასრულებლად და უნებლიეთ არ გახდნენ ხელისუფლების უსამართლო ქმედებების თანამონაწილე.

სს ,,ბანკი ქართუს" ხელმძღვანელობა მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეწყვიტოს ბანკის მიმართ სადამსჯელო ოპერაციების განხორციელება და საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად მოგვცეს საშუალება, კეთილსინდისიერად ვემსახუროთ ქვეყნის ეკონომიკასა და ქართველ საზოგადოებას.

მივმართავთ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ საბანკო დაწესებულებებს, ადგილობრივ თუ საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციებსა და, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლობებს საქართველოში: ახლა მაინც, როდესაც დღესავით ნათელი გახდა სს ,,ბანკ ქართუს" წინააღმდეგ მიმართული და პოლიტიკურად მოტივირებული სახელისუფლებო ტერორი, ხმა აიმაღლონ უკანონობისა და უსამართლობის წინააღმდეგ, — აცხადებენ ბანკში.

# პეტრე მამრაძე: „შევარდნაძე კორუმპირებული არასდროს ყოფილა"

თამარ ნინიძე

## ინტერვიუ პარლამენტის წევრ პეტრე მამრაძესთან

***— „მოძრაობა სამართლიანი არჩევნებისთვის" რატომ აღარ ჩანს და მისი თავმჯდომარე ზურაბ ნოლაიდელი რატომ პასიურობს?***

— საზოგადოებამ კარგად იცის, რაც მოხდა, პარტიაში გამოჩნდნენ ადამიანები, აშკარად შემოგზავნილები, მე ტელევიზიით დავინახე ისინი პირველად. სერგო ჯავახიძის გარდა, დანარჩენებს არც ვიცნობდი. მაშინვე განვაცხადე, თუ ესენი არიან ჩვენი პარტიის წევრები, მაშინ დასახური ყოფილა პარტია-მეთქი. იუსტიციის სამინისტრომ ეს თვითმარქვია ადამიანები გაატარა რეგისტრაციაში, ჩვენ აღმოვჩნდით ამ პარტიის გარეთ, მას შემდეგ მე ვარ პარლამენტში, როგორც დეპუტატი და ვარ ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის" წევრი. მახსოვს, იმ პარტიის წარმომადგენელს, ვინმე ქალბატონ ხოხიაშვილს ეკითხებოდა კორესპონდენტი, როგორია თქვენი სამომავლო გეგმებიო, რაზეც მან თქვა, ახლა ვაპირებ აბაზანის მიღებასო- მას შემდეგ არაფერი ვიცი მათი საქმიანობის შესახებ. ბატონი ზურაბ ნოლაიდელი ბოლოს ვნახე მაისში, ვკითხე მის გეგმებზე, მან მითხრა, რომ ახალი პარტიის დარეგისტრირება მეტად პრობლემური ჩანსო. გასაკვირი არ არის ეს, რადგან შვიდი–რვა თვე დაგვჭირდა ჩვენი პარტიის რეგისტრირებისთვის 2009 წელს.

***— ბატონი ნოლაიდელი არსად ჩანს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოში არ იმყოფება?***

— ვერ გეტყვით. საქმიანი კონტაქტი არ მაქვს, თორემ ადამიანური ურთიერთობა არ შემცვლია მის მიმართ.

***— რა მიზეზით ხსნით პარტიაში შექმნილ მდგომარეობას?***

— სააკაშვილის რეჟიმმა დაინახა, რომ ჩვენი მოსყიდვა და დაშინება შეუძლებელია, შესაბამისად შეტევა განხორციელდა ასეთი ფორმით.

***— ბატონმა ნოლაიდელმა მოსკოვში ხელი მოაწერა ხელშეკრულებას „ედინაია როსიასთან" თანამშრომლობის შესახებ, რა ბედი ეწია ამ ხელშეკრულებას? რაიმეთი არის ვალდებული ნოლაიდელი პუტინის პარტიასთან?***

— არანაირად არ არის ვალდებული. ეს შეკითხვები კი უნდა დაუსვათ ქალბატონ ნატო ხოხიაშვილს, სერგო ჯავახიძეს და სხვებს. ჩვენ არ ვართ იმ პარტიის წევრები.

***— გამოდის, რომ ბატონი ნოლაიდელი პოლიტიკიდან წავიდა?***

— მე არ გამიგია მაისის შემდეგ მისი არც ერთი განცხადება. 26 მაისის მოვლენებზე ჩვენ, საინიციატივო ჯგუფის წევრებმა, წინასწარ გავავრცელეთ განცხადება, ამ განცხადებაში ვთქვით, რომ დაიღვრებოდა სისხლი.

***— როგორია თქვენი დამოკიდებულება სააკაშვილის ახალი პოლიტიკური მეტოქის ივანიშვილის მიმართ?***

— ბატონ ბიძინას მე ვიცნობ პირადად კარგად. ის არის საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი ქველმოქმედი, ჩვენთვის ლეგენდად იქცა ძმები ზუბალაშვილების, სარაჯიშვილის ქველმოქმედება, ბატონმა ბიძინამ ამ 15 წელიწადში საოცრება გააკეთა საქართველოსთვის, ეს უპრეცედენტო შემთხვევაა. ეს ადამიანი, ძალიანაც რომ სთხოვონ, ძალაუფლებას ხელში არ აიღებს, ამის წინააღმდეგია, მას უნდა, რომ თავისი წვლილი შეიტანოს ხალხის დახმარებაში, ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანაში, ეს არის ქველმოქმედების ყველაზე დიდი ნაბიჯი მისი მხრიდან. მან სპონტანურად, მოუმზადებლად გადადგა ეს ნაბიჯი. მე იმედით ვუყურებ ამას.

***— პრესაში გამოჩნდა სტატიები, რომლებშიც წერია, რომ ფსონს საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის ალასანიაზე კი არ დებს, არამედ პაატა შევარდნაძეზე, თქვენი აზრით, შესაძლებელია ივანიშვილმა ფსონი პაატა შევარდნაძეზე დადოს?***

— კატეგორიულად გამორიცხულია, რომ ამ ადამიანმა ფსონი ვინმეზე ან რამეზე გააკეთოს. მისი მრწამსია საკითხების დემოკრატიულად გადაწყვეტა. ასე მუშაობდა ბიზნესში. ბატონ პაატას კი არასოდეს ჰქონია შეხება პოლიტიკასთან, მას არც სურვილი და არც განმოცდილება აქვს. ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტს აქვს უფრო სიმბოლური ფუნქცია. უცხოელები წერენ სააკაშვილის ძალაუფლებაზე, დე გოლის მმართველობა ფერმკრთალია იმასთან, რა უფლებებიც სააკაშვილის აქვს. ძალაუფლების რეალური განაწილება კიდევ სხვა რამ არის — გილაურს და დავით ბაქრაძეს გაცილებით



ნაკლები გავლენა და ძალაუფლება აქვთ, ვიდრე მერაბიშვილის ნებისმიერ მოადგილეს.

***— თქვენი აზრით, სწორად შეარჩია ივანიშვილმა პარტნიორები პოლიტიკაში „რესპუბლიკელებისა" და „თავისუფალი დემოკრატების" სახით?***

— არ არის ეთიკური, მოქმედმა პოლიტიკოსმა, მით უმეტეს, პარლამენტარმა დაიწყოს პოლიტოლოგივით შეფასება კოლეგების, მაგრამ იმედი მინდა გამოვთქვა, რომ საქართველოში ყველა პოლიტიკური ძალა, რომელიც არ არის დისკრედიტირებული, გადადებს ამბიციებს, სიმპათია–ანტიპათიას და გაერთიანდება, რათა ჩვენი სახელმწიფოებრიობა გადარჩეს. არ მოხდეს კოლაფსი და დესტაბილიზაცია სოციალურ–ეკონომიკურ საფუძველზე.

***— დისკრედიტირებული პარტიები ახსენეთ, რომელ პარტიებს გულისხმობთ?***

— ვისზეც ხალხი მეუბნებოდა, 2009 წლის ზაფხულში, როცა საკნებით იყო გადაკეტილი რუსთაველი (ჩვენ მაშინ დავგმეთ ეს აქცია იმიტომ, რომ კონტრპროდუქტიული იყო, ის აძლიერებდა სააკაშვილის რეჟიმს), რომ ეს ოპოზიცია იმიტომ შეიკრიბა, რათა დაუმტკიცონ ხალხს, რომ ამ ოპოზიციას ისევ სააკაშვილის ხელისუფლების მოთმენა სჯობს. სახელი გაიტეხეს, არიან რეჟიმის მიერ მართვადი.

***— ივანიშვილმა განაცხადა, რომ ის დარწმუნებულია, პუტინის ხელისუფლება დემოკრატიულ რეფორმებს გაატარებს. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

— მე დარწმუნებული არა ვარ. დაკვირვებით ვადევნებ თვალს იმას, რაც ხდება რუსეთში, გამოჩენილი მეცნიერების აზრია რუსეთსა და დასავლეთში და მათ აზრს, როგორც თავად მეცნიერი, მეც ვიზიარებ, რომ პუტინის რეჟიმი არის ავტორიტარული, ე.წ. ავტორიტარული კლეპტოკრატია ანუ ხაზინის ქურდების რეჟიმია. წერენ, რომ ამაზე უფრო კორუმპირებული რეჟიმი რუსეთის ისტორიაში არ ყოფილა. ავტორიტარული კლეპტოკრატია იმიტაციურ დემოკრატიას ახორციელებს, რეალურად ერთპარტიულად მართავს რუსეთს (სააკაშვილი ბაძავს ამას საქართველოში). მეორე მხრივ ეკონომიკური ვითარება რუსეთში ისეთია, რომ თუ ძირფესვიანი მოდერნიზაცია არ დაიწყო, ქვეყანა ვერ გაძლებს. რუსეთის ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომლებსაც ესმით ეს საფრთხე და ცდილობენ, რომ რაღაც შეიცვალოს. მედვედევმა თავის დროზე პოლიტიკური განცხადება გააკეთა, სადაც ტოტალურ კორუფციაზე ილაპარაკა.

***— საინტერესოა, რომ მედვედევი ახსენებს ამ კორუფციას, რომელიც სათავეს იღებს სახელმწიფოს პირველი პირებიდან. ეს უცნაური არ არის?***

— დიახ, საყურადღებოა ეს განცხადება, რადგან ერთადერთი ისღა აკლდა ამ განცხადებას, რომ პუტინი დაესახელებინა.

***— როცა ტოტალურ კორუფციას ახსენებთ და პუტინს გულისხმობთ ამის სათავედ, მაშინ ხომ შეიძლებოდა ხელი შეგეშალათ ხელშეკრულების დადებამდე ნოლაიდელისთვის, რომ „ედინაია როსიასთან" ეს ხელშეკრულება არ დაედო?***

— ჩვენ ვიყავით ბრიუსელში, ნატოსა და ევროგაერთიანების შტაბბინაში, შევხვდით დიდი თანამდებობის პირებს, მათ კარგად იციან რა ხდება რუსეთში, მაგრამ ისინი ცდილობენ რუსეთთან დათმობის პოლიტიკა აწარმოონ, კომპრომისზე მიდიან, რასმუსენმა ბევრჯერ განაცხადა, რომ ყველაზე დიდი ამოცანა მისთვის არის რუსეთთან ურთიერთობის დაახლოება, ნატოსთან რუსეთის ინტეგრირება, რა არის ეს თუ არა რეალური პოლიტიკა? ჩვენ გვირჩიეს, ნუ დავუშვებთ იმას, რომ სააკაშვილის დანაშაულის გამო მთელი ერი დაისაჯოს. სხვა გზა, როგორც რუსეთის უშუალო მეზობელს, არ გაქვთ.

***— რუსეთის მმართველმა პარტიამ ტოტალური გაყალბებით მოახერხა 49%-ის შეგროვება, საკონსტიტუციო უმრავლესობას ვერ შეაგროვებს, მაგრამ სატელიტი პარტიები გაიყვანა რუსეთის სათათბიროში. როგორ შეაფასებთ ამ არჩევნებს?***

— რეალურად არის იმიტაციური დემოკრატია და ყოველი ახალი არჩევნები ამის კიდევ ერთი დასტურია. სატელიტური პარტიები იმიტაციური დემოკრატიის შემადგენელი ნაწილია რუსეთშიც და საქართველოშიც. სადაც ავტორიტარული რეჟიმი კონტროლის ასეთ დონეს აღწევს, იქ ოპოზიციის წინაშე ორი გზაა, იყოს თვინიერი და მართვადი ან გაირიყოს პოლიტიკური ცხოვრებიდან და გახდეს მარგინალი. მთელი ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსი მმართველი რეჟიმის ხელშია.

***— საქართველოში საპარლამენტო არჩევნები როგორ წარიმართება?***

— ჩვენთან დაიწყო საინტერესო პროცესი. რეჟიმის სიმყარე ყოველთვის დამოკიდებულია ხალხის განწყობაზე. საკმარისია ხალხი ფეხზე დადგეს, რომ რეჟიმი დასრულდება. არაბეთის გაზაფხულმა ეს დაამტკიცა.

***— 2003 წლის ვარდების რევოლუცია არ იყო არაბული რევოლუციის მსგავსი?***

— ვარდების რევოლუციის მიზეზი იყო მასობრივი კორუფცია და არა დიქტატურა. ეს იყო ნამდვილი სახალხო მოძრაობა. მე ამაზე ღიად ვსაუბრობდი, ბატონი ედუარდი არასოდეს გაკარებია კორუფციას, ასკეტურად ცხოვრობდა და ახლაც ასე ცხოვრობს, წიგნების ჰონორარით აქვს შემოსავალი და ხალხსაც ეხმარებოდა. რევოლუცია იყო უსისხლო, შევარდნაძემ მოახერხა, რომ არც ერთი წვეთი სისხლი არ დაღვრილა და წავიდა სახლში. სააკაშვილი 2003 წლის შემდეგ სამი წელი მართავდა ქვეყანას ისე, რომ არ იყო ელიტური კორუფცია, მაგრამ მერე ვიხილეთ იმედის ტელევიზიით ჭოპორტში მისი და ბიძამისის აგარაკები, თავისი მერე თვითონვე დაანგრია, იმიტომ, რომ ამაზე ხმაური ატყდა. 2007 წლის 7 ნოემბრამდე ქვეყანაში ინსტიტუციონალური რეფორმები განხორციელდა, ამან ქვეყნის სახე შეცვალა. 2007 წლის შემდეგ იფეთქა ელიტურმა კორუფციამ.

***— საპარლამენტო არჩევნების შემდეგ როგორ გგონიათ, სააკაშვილი მიიღებს საკონსტიტუციო უმრავლესობას და გახდება პრემიერმინისტრი?***

— ძნელი სათქმელია, ყოველი ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის და აგიჟებს აბსოლუტურად. პირველ წლებში ეკონომკლასით დადიოდა ვიზიტებზე სააკაშვილი, ახლა კი ძვირადღირებულ თვითმფრინავებს ყიდულობს. დიდი იმედი მაქვს, ხალხი ფეხზე დადგება და არჩევნების გაყალბებას ხელს შეუშლის.

# მანანა მანჯგალაძე: „ახალი ქალაქი აუცილებლად აშენდება!“

ნათია ხურცილავა

პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ გარიგებით, რომელიც ებრაულ მხარესთან დაიდო, ქართულმა მხარემ 70 მილიონი დოლარი დაზოგა. ამის შესახებ მან ებრაელი ბიზნესმენების შეწყალების კომენტირებისას განაცხადა.

მისივე თქმით, ეს არის საქმე, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში დანაშაულებრივი კორუფციული გარიგების შედეგად შედგა და დღემდე მძიმე ტვირთად აწვა ქვეყანას. – ამის გამო, ჯამური სახით, სახელმწიფოს 110 მილიონი დოლარი ჰქონდა გადასახდელი საურავების ჩათვლით. 70 მილიონი დოლარის დაზოგვა ადასტურებს, რომ საქართველოს ხელისუფლების ქმედებები და გადადგმული ნაბიჯი იყო სწორი. – განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი ქართველმა სამართალდამცველებმა ქრთამის მიცემის ბრალდებით დააკავეს. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ებრაელ ბიზნესმენებს შვიდი და ექვსნახევარი წლით პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი, თუმცა 2 დეკემბერს ისინი საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა.

ამასთან, იმავე დღეს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომ მიაღწია ქვეყნისთვის ხელსაყრელ შეთანხმებას კომპანია თრამექს ინტერნაციონალთან. ებრაელი ბიზნესმენების სახელი სწორედ ამ კომპანიას უკავშირდება. კერძოდ, დავა შეეხებოდა 1992 წლის 3 მარტს საქართველოს მაშინდელი მთავრობის უკანონო გადაწყვეტილებას, რომლითაც სახელმწიფო კომპანია „საქნავთობმა“ გააფორმა კაბალური ხელშეკრულება კომპანია თრამექს ინტერნაციონალის წარმომადგენლებთან. – საერთაშორისო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით, თრამექს ინტერნაციონალის წილის მფლობელების სასარგებლოდ საქართველოს დაეკისრა 98 მილიონი დოლარის გადახდა, რომელმაც მზარდი პროცენტის გამო 110 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია.

საქართველოს მთავრობამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ქვეყანას თავიდან აეცილებინა მძიმე ფინანსური სანქციები, რომელიც გამოწვეული იყო წინამორბედი ხელისუფლების უკანონო ქმედებებითა და ქვეყანაში იმ დროს არსებული კორუფციით. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობამ მაღალი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე საერთაშორისო იურიდიულ კომპანიებთან ერთად აწარმოა მოლაპარაკებები და მიღწეულია შეთანხმება, რომლის საფუძველზეც დასრულდა მრავალწლიანი დავა. საბოლოოდ, საქართველო გადაიხდის დაკისრებული თანხის მხოლოდ 1/3, შესაბამისად ბიუჯეტიდან დაიზოგა 70 მილიონი აშშ დოლარი, რაც ფინანსური თვალსაზრისით საქართველოსთვის სასარგებლოა, – განმარტეს იუსტიციის სამინისტროში.

ებრაელი ბიზნესმენების დაკავების ფაქტი, მათი დაკავების წუთიდან, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოლიტიზირებული გახდა. საქართველოს ეს ფაქტი ლამის ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის ფასად დაუჯდა.



როგორც ცნობილია, ამ საქმეში მაღალი დონის საერთაშორისო უწყებები და დიპლომატები იყვნენ ჩართულნი.

ერთ-ერთი, ვინც ამ საქმეში იყო ჩართული და პრეზიდენტ სააკაშვილთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი იყო.

საქართველოს პრეზიდენტთან მოლაპარაკებებს ისრაელის პრეზიდენტი შიმონ პერესიც აწარმოებდა. ის ბიზნესმენების განთავისუფლებას ითხოვდა.

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა შეიწყალა ბიზნესმენები, როგორც ცნობილი გახდა, ისრაელის პრეზიდენტი სააკაშვილს ტელეფონით პირადად დაუკავშირდა.

ისრაელის პრეზიდენტი შიმონ პერესი ებრაელი ბიზნესმენების რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის შეწყალების გამო მიხეილ სააკაშვილს მადლობას უხდის.

ამის შესახებ ერთ-ერთი ებრაული გამოცემა წერს. ისრაელის გამოცემის ინფორმაციით, შიმონ პერესი მიხეილ სააკაშვილს ტელეფონით ესაუბრა.

– მინდა, მთელი გულით გადაგიხადოთ მადლობა ბიზნესმენების შეწყალებისთვის. მე ვიცი, რომ ეს თქვენი პირადი გადაწყვეტილებაა. ეს კეთილშობილი ჟესტი იყო და მე მას უზომოდ პატივს ვცემ, – განაცხადა პერესმა სააკაშვილთან საუბარში.

მისივე თქმით, ეპიზოდი ამოწურულია და ისრაელსა და საქართველოს შეუძლიათ ძველ ურთიერთობებს დაუბრუნდნენ, რომელიც ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანია. თავის მხრივ, მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ მომხდარი ორივე მხარისთვის მძიმე და არასასიამოვნო ფაქტი იყო და ის „ბედნიერია, რომ ყველაფერი დასრულდა“.

ფუქსი და ფრენკელი ქართველმა სამართალდამცველებმა დააკავეს. მათ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილისთვის ქრთამის მიცემა ბრალდებოდათ. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ებრაელ ბიზნესმენებს შვიდი და ექვსნახევარი წლით პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი.

პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ ტარდიციულ პრესკონფერენციაზე ასევე ისაუბრა ჰოსპიტალური სექტორის განვითარებაზე, რომელიც მისი თქმით, 2011 წელს მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველა რეგიონში ამოქმედდება. საუბარია სამედიცინო დაწესებულებებზე.

ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმები, რომელის ჰოსპიტალურ სფეროს ეხება, არის ხელისუფლების დანაპირები და მანჯგალაძის განცხადებით ის შესრულდება.

– სამედიცინო დაწესებულებები გახსნის პროცესშია. დეკემბერი და იანვარი ამ მხრივ გამორჩეული იქნება. მხოლოდ მიმდინარე თვეში 30 ახალი საავადმყოფო გაიხსნება. უკვე ექსპლუატაციაშია შესული ხონის, თერჯოლის, ტყიბულის, ლაგოდეხისა და წალკის სამედიცინო დაწესებულებები. მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში ახალი კლინიკები დაიწყებს ფუნქციონირებას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი დაპირება, რომელიც საქართველოს მთავრობამ 100 ახალი საავადმყოფოს თაობაზე გასცა. ხედავთ, რომ დანაპირები სრულდება, 2011-2012 წლების განმავლობაში ექსპლუატაციაში შევა ახალი, თანამედროვე სამედიცინო დაწესებულებები, – განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერმა ტრადიციულ ბრიფინგზე ახალი ქალაქის ლაზიკას მშენებლობაზე ისაუბრა.

მანანა მანჯგალაძის განცხადებით, შავი ზღვის სანაპიროზე, ფოთსა და ანაკლიას შორის გაშენდება ქალაქი ლაზიკა. პრესსპიკერის განცხადებით, ლაზიკა არ არის შემთხვევითი სახელი და ისტორიულ სინამდვილეს ეფუძნება.

– ეს არის სავაჭრო-ეკონომიკური და კომერციული ცენტრი, რომელიც იფუნქციონირებს არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, არამედ – მთელი ქვეყნისთვის, – განაცახადა მანანა მანჯგალაძემ.

მისივე თქმით, ლაზიკა იქნება თანამედროვე ქალაქი, რომლის კონცეფციის დონეზე მუშაობა უკვე დაწყებულია და ხედვა უკვე არსებობს. მანჯგალაძის განცხადებით, ეს არის სულ მცირე 10–წლიანი გეგმა.

– ეს იქნება თანამედროვე ქალაქი, რომელზე მუშაობა, კონცეფციის დონეზე უკვე დაწყებილია. ეს არის მინიმუმ ათწლიანი გეგმა. არავის აქვს ილუზია, რომ ქალაქი ერთ დღეში ან თუნდაც ერთ წელიწადში აშენდება. ამ ადგილის მთავარი ხიბლი არის იმ ბუნებრივ მდებარეობაში, რომელიც საკმაოდ მიმზიდველია, – განაცხადა მანჯგალაძემ.

მისივე თქმით, 2012 წლის გაზაფხულზე დაიწყება სამშენებლო სამუშაოები. 2012-2013 წლები ძირითადად ინფრასტრუქტურულ სამუშოებს დაეთმობა, ხოლო 2015 წლისათვის ხელისუფლება გეგმავს, რომ ქალაქის ნაწილი უკვე აშენებული იყოს.

მანანა მანჯგალაძის განცხადებით, განსაზღვრულია ასევე ახალი პორტის მშენებლობაც.

პრეზიდენტის პრესსპიკერის განცხადებით, ამ ხელისუფლებას ქალაქის აშენების გამოცდილება უკვე აქვს, ამის მაგალითად მანჯგალაძეს ანაკლია მოჰყავს, რომელიც საკმაოდ მალე აშენდა.

– მნიშვნელოვანია, რომ ფოთში აშენდება ასევე აეროპორტი,. უკვე მუშაობს ქართველ და უცხოელ არქიტექტორტთა ჯგუფი. განსაზღვრულია სახელმწიფო ინვესტიციების ჩადება, მოზიდული იქნება უცხოური ინვესტიციებიც. – აღნიშნა მანჯგალაძემ.

მისივე თქმით, ლაზიკაში ნაწილობრივ დასახლდება სოფლის მოსახლეობა, ასევე იცხოვრებს ის მოსახლეობა, რომელიც უკვე დაბრუნდა და დაბრუნდება საქართველოში.

ახალი ქალაქის ლაზიკას მშენებლობის შესახებ განცხადება 4 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა. – გადავწყვიტეთ, ანაკლიასა და ყულევს შორის დავაფუძნოთ დიდი ქალაქი, რომელსაც დავარქმევთ ლაზიკას. 10 წელიწადში ამ ქალაქში მინიმუმ ნახევარი მილიონი მცხოვრები იქნება. ეს იქნება სიდიდით მეორე ქალაქი საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შემდეგ. ეს იქნება მთავარი სავაჭრო, ეკონომიკური ცენტრი დასავლეთ საქართველოში და საქართველოსთვის მთავარი ცენტრი შავ ზღვაზე. ჩვენ უკვე დავიწყეთ მოლაპარაკებები რამდენიმე მსხვილ საინვესტიციო ჯგუფთან აზიასა და ევროპაში, რათა მათ ჩადონ ფული ამ ახალი ქალაქის მშენებლობაში. მინდა მოვუწოდო ყველა ქართველს, იფიქროს ამაზე სერიოზულად. მინდა მოვუწოდო საქართველოდან წასულ ხალხს, აფხაზეთიდან წასულ დევნილ ხალხს, დაბრუნდნენ და ჩვენთან ერთად ააშენონ ახალი ქალაქი, ჩვენ წინ გვაქვს დიდი მშენებლობები და ჩვენ წინ გვაქვს ძალიან თავზეხელაღებული გეგმები, – განაცხადა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

## „დემოკრატიულმა მოძრაობამ“ ხელისუფლებას 10 პუნქტიანი გეგმა დაუწუნა

ნათია ხურცილავა

„დემოკრატიული მოძრაობა“ საქართველოს მთავრობის სამოქმედო 10-პუნქტიან გეგმას ეხმაურება და დოკუმენტს ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ არამდგრად და გაუაზრებელ ხედვად მიიჩნევს.



ამის შესახებ პარტიის გენერალურმა მდივანმა ვახტანგ ყოლბაიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ყოლბაია აცხადებს, რომ აღნიშნული გეგმა წინასაარჩევნო პიარკამპანიის საწარმოებლად მომზადდა და ხელისუფლების მოქმედება არა რეალურად პრობლემის მოსაგვარებლად, არამედ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა გულის მოსაგებად და ამომრჩეველთა ხმების მიღების მოსაპოვებლადაა მიმართული.

– მთავრობის მიერ წარმოდგენილი 10-პუნქტიანი გეგმა სხვა არაფერია, თუ არა ხელისუფლების ტრადიციული ვირტუალური ხედვა ქვეყნის ეკონომიკის სამომავლო განვითარებაზე და კიდევ ერთი, წინასაარჩევნო, ცრუ დაპირებების კრებული, რაზედაც მეტყველებს ისიც, რომ არც ერთი მათგანი არ გვიჩვენებს რეალურ გზას და არ გვაძლევს იმის მიღწევის შესაძლებლობას, რომ მოქალაქე უზრუნველყოფილი იქნება ღირსეული საცხოვრებელი გარემოთი და ექნება საშუალება, გახდეს მსოფლიო საზოგადოების წარმატებული და მდიდარი წევრი, როგორც ეს დეკლარირებულია აღნიშნულ დოკუმენტში, – განაცხადა ყოლბაიამ.

მისივე თქმით, მაშინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობის 2/3 სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება და ღარიბ-ლატაკია, ქვეყანას კი უზარმაზარი საგარეო ვალი აქვს, საგანგაშოა დღევანდელი ხელისუფლების ქმედებები, რომლის მთავარი საზრუნავი ამ ვალების გადავადებაა და არა მათი გასტუმრებისათვის საჭირო აუცილებელი ეკონომიკური ცვლილებების გატარება და ბიუჯეტის სწორი დაგეგმვა.

ყოლბაია ამ გეგმაში ხელისუფლების უდიერ და ცინიკურ დამოკიდებულებასაც ხედავს სოციალურად დაუცველი ადამიანებისდამი.

მისი განცხადებით, აღნიშნულ გეგმაში საერთოდ არ ჩანს რიგითი მოქალაქის ოჯახის პირადი ბიუჯეტის შევსების, მოქალაქისა და მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაცვის, მათი შვილების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ყოლბაია ხელისუფლებას ურჩევს, რომ უმჯობესი იქნება, საგადასახადო ადმინისტრირების ჰუმანური ჩარჩოების მოქცევაზე, სტაბილურ საგადასახადო სისტემის შექმნაზე, ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში გამეფებული კორუფციის ალაგმვაზე იზრუნოს, რაზეც, მისი თქმით, არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნაშია საუბარი, მათ შორის, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნაშიც.

## პარლამენტმა 45-დან 60 წლამდე ასაკის პირების დასაქმების ხელშეწყობის გადაწყვეტილება მიიღო

პარლამენტმა 45-დან 60 წლამდე ასაკის პირების დასაქმების ხელშეწყობის გადაწყვეტილება მიიღო. „საგადასახადო კოდექსში“ შესაბამისი ცვლილება პარლამენტმა დღეს დაამტკიცა.

მიღებული გადაწყვეტილებით, საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდება 45-დან 60-წლამდე ასაკის პირის მიერ კერძო სამართლის იურიდიული ან ფიზიკური პირისაგან ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი ახალ სამუშაო ადგილზე დაქირავებით მუშაობის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში, თუ მან ახალ სამუშაო ადგილზე დაქირავებით მუშაობა დაიწყო 2012 წლის 1-ელი იანვრიდან 2012 წლის 1-ელ ივლისამდე და მუშაობის დაწყებამდე 3 თვის განმავლობაში იყო უმუშევარი.

ეს წესი არ გამოიყენება, თუ პირი დასაქმდება ზემოაღნიშნულ დამქირავებელთან იმავე სამუშაო ადგილზე უკვე დაქირავებული პირის გათავისუფლების შემთხვევაში.

ცვლილებების ინიციატორი საქართველოს მთავრობა იყო.

ინტერპრესნიუსი

## თბილისში ხანძარს დედა-შვილის სიცოცხლე ემსხვერპლა

ფანასკერტელის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ კორპუსში გაჩენილ ხანძარს დედა-შვილის სიცოცხლე ემსხვერპლა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის სამაშველო სამსახურიდან აცნობეს, ფანასკერტელის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ კორპუსში ცეცხლის ჩასაქრობად 4 სახანძრო და 1 სამაშველო ბრიგადა გავიდა. შემთხვევის ადგილზე, ფანასკერტელის ქ. №15ა-ს II სადარბაზოს V სართულზე მეხანძრეებს დედა-შვილი გარდაცვლილი დახვდათ. მეხანძრეთა ინფორმაციით, ცეცხლი საცხოვრებელ ბინას, სავარაუდოდ, სიგარეტის ნამწვით გაუჩნდა.

ინტერპრესნიუსი

## „თავისუფალი საქართველო“ ონიშჩენკოს განცხადებას მიესალმება

„თავისუფალი საქართველო“ მიესალმება რუსული მხარის მზადყოფნას საექსპორტო პროდუქციის შესასწავლად საქართველოში ექსპერტების გამოგზავნის შესახებ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიიდან აცნობეს, „როსპოტრებნადზორის“ ხელმძღვანელმა გენადი ონიშჩენკომ განაცხადა, რომ რუსული მხარე მზად არის, საქართველოში გამოგზავნოს ექსპერტები, რომელბიც შეისწავლიან რუსულ ბაზარზე საექსპორტო პროდუქციას.

მათივე განცხადებით, რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის ექსპორტის განახლების ინიციატივა „თავისუფალმა საქართველომ“ ჯერ კიდევ გაზაფხულზე წამოაყენა და ამ მხრივ უამრავი სამუშაო იქნა გაწეული.

„თავისუფალი საქართველოს“ ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით, ქართული ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანიების დიდი უმრავლესობა მზად არის, განაახლოს სავაჭრო ურთიერთობები რუსეთთან. რამდენიმე თვიანი მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული იქნა შეთანხმება რუსულ მხარესთან არსებული შეზღუდვების მოხსნაზე.

„ოქტომბრიდან „როსპოტრებნადზორთან“ უშუალო მოლაპარაკებებს აწარმოებს „საქართველოს ექსპორტიორთა ასოციაცია“, სადაც გაერთიანებულნი არიან ქართული მწარმოებელი კომპანიები. გენადი ონიშჩენკოს ბოლო განცხადება ცხადყობს, რომ ალკოჰოლური სასმელების ექსპორტის პროცესი რუსულ ბაზარზე წარმატებით დასრულდება და ამის შემდეგ, დღის წესრიგში დადგება ხილის, ჩაის და ციტრუსების ექსპორტის განახლების საკითხი. „თავისუფალი საქართველო“ ულოცავს ქართულ საზოგადოებას შუალედურ წარმატებას ქართული სოფლის გადარჩენისეროვნულ საქმეში“,-ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

## ხე-ტყის მოპოვებასთან დაკავშირებული ჯარიმების ნაწილზე ამნისტია გამოცხადდა

ხე-ტყის მოპოვებასთან დაკავშირებული ჯარიმების ნაწილზე ამნისტია გამოცხადდა. „ზოგიერთი ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ კანონი პარლამენტმა დღეს დაამტკიცა.

პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, გადაუხდელი ჯარიმებისგან გათავისუფლდებიან პირები, რომელთაც კონკრეტული სამართალდარვევები 2011 წლის 1-ელ ნოემბრამდე ჩაიდინეს. კერძოდ, ამნისტია შეეხო დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების საზღვრებში მერქნიან მცენარეთა უკანონო გაჩეხვისა და დაზიანების მუხლს.

ასევე, ჯარიმისგან გათავისუფლება შეეხოთ ტყითსარგებლობის წესებისა და მოთხოვნების დარღვევისთვის; უკანონო ტყითსარგებლობისთვის; გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების დარღვევისთვის; ხე-ტყის პირველადი გადამუშავების, ხე-ტყის ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის მოთხოვნათა დარღვევისთვის; ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევისთვის დაჯარიმებულ პირებს.

ინტერპრესნიუსი

# ირმა სოხაძემ კონცერტების დადგმა დაიწყო

ეკა ირემაშვილი

მომღერალმა ირმა სოხაძემ ბოლო პერიოდში შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას მიჰყო ხელი. როგორც თავად მომღერალი აცხადებს, ამ ეტაპზე სხვადასხვა კომპოზიტორის შემოქმედებით საღამოებს აწყობს, პარალელურად სოლოკონცერტისთვის ემზადება და ამით სრულიად კმაყოფილია.

ქართულმა საზოგადოებამ უკვე შეაფასა მომღერლის მიერ ჩატარებული შოთა მილორავას, კონსტანტინე პევზნერის და მიხეილ ტარივერდიევის შემოქმედებითი საღამოები. ამჯერად ირმა სოხაძემ საბავშვო მუსიკის თაყვანისმცემლები რუსთაველის თეატრში შეკრიბა და კომპოზიტორ მერი დავითაშვილის შემოქმედებითი საღამო წარუდგინა.

მინიმალური ბიუჯეტით განხორციელებული ღონისძიების მთავარი სტუმრები პატარა მსმენელები იყვნენ. მათთვის და არამარტო მათთვის კონცერტზე ყველასთვის კარგად ნაცნობი და საყვარელი მელოდიები აჟღერდა. კონცერტში მონაწილეობდნენ ანსამბლი „მზიური“, „ბასტი ბუბუს“ ბავშვები, საბავშვო სტუდია „მხიარული ნოტები“, დები ჭოხონელიძეების სტუდიის აღსაზრდელები. მათთან ერთად კი სცენაზე იდგნენ ქართული ესტრადის ცნობილი წარმომადგენლები – დათო გომართელი, ია შუღლიაშვილი, ნატო მეტონიძე, ლიზა ბაგრატიონი, მაია ჯაბუა, ეკა კახიანი, ზუკა ხუციშვილი, ლაშა რამიშვილი, ნოდიკო ტატიშვილი, ნეკა სებისკვერაძე, მარიამ როინიშვილი, „შვიდკაცა“. მომღერლებთან ერთად სცენაზე წარდგა მანანა – რუსთაველის თეატრის მსახიობი ნანული სარაჯიშვილი, რომელმაც ყველასთან ერთად „მანანას სიმღერა“ შეასრულა. საღამოს ორგანიზატორობის გარდა, ირმა სოხაძემ მისი წამყვანობაც შეითავსა და რამდენიმე სიმღერაც შეასრულა.

საბავშვო რეპერტუარის წარდგინებასთან ერთად, საღამოს ორგანიზატორებმა რუსთაველის თეატრში შეკრებილ მსმენელს კომპოზიტორის მრავალფეროვანი შემოქმედება წარუდგინეს და მერი დავითაშვილის მიერ შექმნილი კამერული ნაწარმოებებიც შესთავაზეს. პიანისტმა თამარ ლიჩელმა, საოპერო მომღერალმა ირმა რატიანმა, პიანისტმა ელენე შავერზაშვილმა კომპოზიტორის მიერ შექმნილი კამერული ნაწარმოებები შეასრულეს. მათ შორის იყო „სავიოლინო პოემა“. ყველაზე ამაღელვებელი სცენაზე მერი დავითაშვილის შვილიშვილის – გივიკო დოლიძის გამოჩენა გახდა, რომელმაც ბებიას მიერ სპეციალურად მისთვის დაწერილი არია იმღერა. საღამოს დასასრულს კი პრემიერა შედგა – „შვიდკაცამ“ და მარიამ როინიშვილმა საზოგადოებას შესთავაზეს საგანგებოდ ამ დღისთვის შექმნილი ნაწარმოები „საგალობელი“. მთელი კონცერტის განმავლობაში რუსთაველის თეატრის სცენაზე დამონტაჟებულ ეკრანზე იმ ფილმებისა და ანიმაციის ნაწყვეტები გადიოდა, რომლისთვისაც კომპოზიტორმა ნაწარმოებები შექმნა. საღამოს საგანგებო სტუმრებიც ჰყავდა – რუსთავიდან ჩამოვიდა ბავშვთა გუნდი, რომელმაც კომპოზიტორის ორი ნაწარმოები შეასრულა. ნიჭიერ ბავშვთა ათწლედის კამერულმა ორკეტრმა კი მერი დავითაშვილის ნაწარმოებების პოპური დაუკრა. მთელი საღამოს განმავლობაში სცენაზე „მულტი-პულტის“ გმირები დახტოდნენ და დარბაზში მყოფ პატარებს ართობდნენ.


ირმა სოხაძე

„მანანას სიმღერა“, „ჩიტო ჩიტო ნაცარა“, „ეს საწყალი კურდღელი“, „ჭუპა-ჭუპა“, „ჩემო პატარა გუგულო“, „დავიბანე პირი“, „თეთრი ციდან ფიფქრი ცვივა“, მელოდიები ანიმაციური ფილმებიდან „მტრობა“, „ჩხიკვთა ქორწილი“, „წუნა და წრუწუნა“ – ეს იმ სიმღერების მცირე ჩამონათვალია, რომელიც ქალბატონი მერი დავითაშვილის შემოქმედების ნაწილია და რუსთაველის თეატრში გამართულ საღამოზე შესრულდა. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვანი იანვარში 88 წლის ხდება, ის დღესაც ენერგიულად აგრძელებს მოღვაწეობას – ქმნის ახალ ნაწარმოებებს და ასწავლის მომავალ თაობებს ნიჭიერთა ათწლედში.

მერი დავითაშვილის შემოქმედებითი საღამოს ორგანიზატორი და წამყვანი მომღერალი ირმა სოხაძე იყო, საღამოს რეჟისორი – ნუგზარ ჩხაიძე, არანჟირებები კი თემურ მაისაშვილმა გააკეთა. შემოქმედებითი საღამოს დამაგვირგვინებელი აკორდი სიმღერა „ჩიტო ჩიტო ნაცარა“ აღმოჩნდა, რომელიც სცენაზე მდგარმა ყველა მომღერალმა დარბაზთან ერთად იმღერა.

**ირმა სოხაძე, მომღერალი:**

– მიმაჩნია, რომ ეს საღამო ნამდვილად დროული და საჭირო იყო. მერი დავითაშვილი არის ის კომპოზიტორი, რომელმაც თაობები გაზარდა. ეს საღამო კი იმიტომ გავაკეთეთ, რომ ჩვენი შვილების თაობამ და მომავალმა თაობებმაც მუსიკალური აზროვნება სწორედ მერი დავითაშვილის შემოქმედებით და სიმღერებით დაიწყოს. რაც მსგავს საღამოებს ვაკეთებ, მივხვდი – რა კარგი ყოფილა, რომ არ დავდივარ ყოველდღიურ სამსახურში. ახლა მეტი თავისუფალი დრო მაქვს შემოქმედებისთვის და ეს ძალიან მომწონს.

***– რატომ მოუხშირეთ ამ საღამოების ჩატარებას?***

– ხომ გაგიგიათ, ზოგი ჭირი მარგებელიაო, თუმცა ჩემს შემთხვევაში ასე ნამდვილად არ აღმოჩნდა. 25 წელზე მეტი მქონდა მუდმივი სამსახური. შიგადაშიგ კი ვაწყობდი კონცერტებს, მაგრამ ასე აქტიურად – ვერა. შესანიშნავია, როცა შემოქმედი ადამიანი თავის ძირითად დროს განკარგავს თვითონ და არის თავისუფალი. იმდენად მიყვარს ასეთი საღამოების გაკეთება და იმდენად ჩემი საქმეა, ციკლივით გამოვიდა – 5 წლის წინ გავაკეთე ტარივერდიევი, მერე კონსტანტინე პევზნერი, მერე შოთა მილორავა, 5 წლის შემდეგ ისევ ტარივერდიევი, ახლა გავაკეთე მერი დავითაშვილი, გაზაფხულზე მინდა სულხან ცინცაძის საღამო გავაკეთო, ვოცნებობ, ისე მინდა. უკვე მოფიქრებული მაქვს ყველაფერი. ძალიან მინდა გოგი ცაბაძის საღამოც ჩავატარო. იანვარში უკვე გვაქვს შეკვეთა, ვაკეთებთ ძალიან საინტერესო საღამოს, ერთი სიტყვით, ძალიან ბევრი საქმე გვაქვს.

***– ვინ გიკვეთავთ ამ საღამოებს?***

– გრიბოედოვის თეატრის დაკვეთა იყო ტარივერდიევის საღამო. არსებობს რუსული კლუბი, რომელიც კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრია და ნდობას რომ მიცხადებენ, ამით ბედნიერი და მადლობელი ვარ.

***– რატომ შეარჩიეთ კომპოზიტორი მერი დავითაშვილი?***

– რაც შეეხება მერი დავითაშვილს, ეს ჩემი იდეა იყო, მე მოვიგონე და მოვიფიქრე. მერიკო არის ყველაზე საოცარი კომპოზიტორი. ბავშვების 80 პროცენტი პირველად სწორედ მერი დავითაშვილის სიმღერას მღერის – ან ჩიტო ჩიტო ნაცარას, ან ეს საწყალი კურდღელი, ან თეთრი ციდან ფიფქი ცვივა, ან მანანას სიმღერა. ეგეთი სიმღერები, დეიდა მერის რომ აქვს, არ აქვს არავის. დიდების კომპოზიტორები ბევრნი არიან, ბავშვებისაც არიან, მაგრამ ნამდვილი საბავშვო კომპოზიტორი, რომელიც დღემდე მოღვაწეობს, მერი დავითაშვილია. ეს ადამიანი მალე 88 წლის ხდება, შვიდი ათეული წელია მისი მუსიკა გვესმის. ბავშვების უმრავლესობა მისი სიმღერებით იდგამს ენას. ჩემი პირველი სიმღერა იცით რა ყოფილა? ტელევიზორში მიმღერია 4 წლის ასაკში მანანას სიმღერა და თბილისის დილა. ორივე სიმღერა მერი დავითაშვილისაა. მეორე დღეს გავხდი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორკესტრის სოლისტი. ჩემი მუსიკალური ნათლობა სწორედ მერი დავითაშვილს ეკუთვნის. როგორ შეიძლება ასეთ ადამიანს არ მოეფერო? მერიის კულტურის სამსახურმა ამ საღამოზე მხოლოდ დარბაზის უზრუნველყოფაში გაგვიწია დახმარება, რაც თავისთავად უკვე დიდი საქმეა. დღეს დარბაზი არ არის ადვილი მოსაპოვებელი. დანარჩენი მახსენდება ძველი დრო, იმიტომ, რომ პრაქტიკულად უსპონსოროდ გავაკეთეთ ყველაფერი. მხოლოდ ვითიბი ბანკი და ბორჯომი დაგვიდგა გვერდში. თუმცა, თუ გული გულობს, უბიუჯეტოდაც შეიძლება თბილი და ლამაზი საღამოს გაკეთება. ეს იყო საათნახევრიანი კონცერტი, სადაც ყველამ ვიგრძენით თავი ბავშვებად, რადგან იმ დროში დავბრუნდით, როცა ყველანი ბავშვები ვიყავით.

***– მონაწილეები როგორ შეარჩიეთ?***

– მონაწილეებიდან იყო ბევრი

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## გიორგი ცაგარეიშვილი: „ხელისუფლება კომუნიკაციების კომისიის დამოუკიდებლობის ყლორტებს ჩანასახშივე სპობს“

ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლებს: ტელევიზიებს, რადიოებს, ინტერნეტპროვაიდერებს, სატელეფონო კავშირებსა და ა.შ. კომპანიებს მთავრობის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტით დადგენილი ვალდებულებების შესრულებაც დაეკისრებათ. ამას ელექტრონულიო კომუნიკაციების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს, რომელიც პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო.


გიორგი ცაგარეიშვილი

კანონპროექტის ინიციატორები დეპუტატები: კახა ანჯაფარიძე და ზვიად კუკავა არიან.

მოქმედი კანონმდებლობით, ავტორიზებულ პირებს: ტელევიზიებს, რადიოებს თუ ინტერნეტპროვაიდერებს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში არსებული კანონმდებლობისა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილებების და გადაწყვეტილებების შესრულების ვალდებულება აქვთ. წარმოდგენილი კანონპროექტით კი, მათ მთავრობის ნორმატიული აქტით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაც მოუწევთ.

ფრაქციის –– „ერთობა სამართლიანობისთვის“ –– თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილი ვარაუდობს, რომ ხელისუფლება კომუნიკაციების მარეგულირებული ეროვნული კომისიის „გადაზღვევას ახორციელებს“.

როგორც მან ჟურნალისტებს განუმარტა, ეს იმას ნიშნავს, რომ სამომავლოდ საქართველოს მთავრობა მარეგულირებელთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე საკუთარი ინიციატივით ისეთ რეგულაციებს დააწესებს, რომელიც მარეგულირებლისა და ავტორიზებული პირების, ანუ ტელევიზიების, რადიოებისა და ასე შემდეგ კომპანიებისათვის შესასრულებლად სავალდებულო იქნება.

„როგორც ჩანს, მოახლოებული არჩევნების პირობებში ხელისუფლება მარეგულირებელ კომისიას და მის შემადგენლობას ბოლომდე აღარ ენდობა და აპირებს, ე.წ. დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიის საქმიანოში უხეშად ჩარევის უფლება დაიტოვოს. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ის ეფემერული დამოუკიდებლობა, რომელიც, ერთი შეხედვით, მარეგულირებელს აქამდე ჰქონდა, მხოლოდ ფიქციაა. საქართველოს ხელისუფლებამაც გადადგა ნაბიჯი, რომელიც მისი ბუნებიდან გამომდინარეობს, ანუ მარეგულირებელი კომისიის დამოუკიდებლობის პატარა ყლორტებს ჩანასახშივე სპობს“, –– განაცხადა გიორგი ცაგარეიშვილმა.

**მედიანიუსი**

## ნასას სპეციალისტებმა დედამიწის ორეული ახალი პლანეტა აღმოაჩინეს

ნასას სპეციალისტების განცხადებით, მათ მზის სისტემის გარეთ ახალი პლანეტა აღმოაჩინეს, რომელზე არსებული პირობებიც დედამიწის თითქმის იდენტურია.

– პლანეტა მზის მსგავსი ვარსკვლავის გარშემო ბრუნავს. მისი ორბიტის ვარსკვლავიდან დაშორების მანძილი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ პლანეტაზე წყალი როგორც თხევად, ასევე გაყინულ მდგომარეობაში არსებობს, – აცხადებენ ნასაში.

აღმოჩენა ტელესკოპ „კეპლერის“ დახმარებით გახდა შესაძლებელი.

რა მანძილითაა დაშორებული ახალი პლანეტა დედამიწისგან, ჯერჯერობით ცნობილი არაა. საუბარია ასევე კოსმოსის სიღრმეში ათას ოთხმოცდათოთხმეტი ობიექტის აღმოჩენაზე, რომლებზეც შეიძლება სიცოცხლე არსებობდეს. ნასა აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოა აშშ-ში. იგი დაარსდა 1958 წლის 29 ივლისს.



ამ 50 წლის მანძილზე ნასას ბევრი დამარცხება და ბევრად უფრო მეტი გამარჯვება ხვდა წილად. ის იყო ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი იარაღი დაა ფლაგმანი კოსმოსურ რბოლაში საბჭოთა კავშირთან. კოსმოსის კვლევისა და ათვისების საკითხებში საბჭოეთის პიონერობა და წარმატებები აღმოჩნდა ის კატალიზატორი ამერიკისთვის, რომელმაც სათავე დაუდო დღეისათვის ისეთ ძლიერ სამეცნიერო-კვლევით ცენტრს, როგორიცაა ნასა, რომელსაც თავისი მასშტაბურობითა და პროექტების გრანდიოზულობით ვერც ერთი ევრაზიული კოსმოსური ცენტრი ვერ შეედრება.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## იაპონიაში მსოფლიოს ყველაზე ხანდაზმული ძაღლი მოკვდა



იაპონიაში მსოფლიოს ყველაზე ასაკოვანი ძაღლი, სახელად პუსკე მოკვდა. ის 26 წლის და 8 თვის იყო. თუ რუსული ტრადიციით ერთ „ძაღლურ წელიწადს“ შვიდ „ადამიანურს“ გავუტოლებთ, გამოდის, რომ პუსკე 182 წლის იყო, – აღნიშნავს „იტარტასი“.

თუმცა, იაპონელი სპეციალისტები ძაღლის ასაკს უფრო მოკრძალებულად ითვლიან: მათი გათვლებით, პუსკე ადამიანი რომ ყოფილიყო, მხოლოდ 125 წელი შეუსრულდებოდა.

მომავალი რეკორდსმენი 1985 წლის მარტში ტოტიგის პრეფექტურაში დაიბადა. 2010 წლის დეკემბერში ჟღალბეწვიანი პუსკე, როგორც მსოფლიოში ყველაზე ასაკოვანი ძაღლი, გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა.

– ძაღლი პატრონის ხელებში „ბუნებრივი მიზეზებით“ მოკვდა, – აცხადებენ ვეტერინარები.

– ბოლო 26 წელი ერთად ვცხოვრობდით, ის ჩემთვის საკუთარი შვილივით გახდა. მადლიერი ვარ მთელი იმ ბედნიერებისა და სიხარულის, რაც მან მაჩუქა, – ამბობს 42 წლის სინოჰარა იუმი.

ბოლო წუთებამდე პუსკე თავს კარგად გრძნობდა, – აღნიშნავს „რია ნოვოსტი“.

2008 წელს ის მანქანის ქვეშ აღმოჩნდა, მაგრამ გადარჩა და ჯანმრთელობას არ უჩიოდა.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## ცესკოს თავმჯდომარე კოალიციის „არჩევანის თავისუფლებისთვის“ წარმომადგენლებს შეხვდა

ცესკოს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი კოალიციის „არჩევანის თავისუფლებისთვის“ წარმომადგენლებს შეხვდა.

ორგანიზაცია, რომელიც მიმდინარე წლის 17 ნოემბერს შეიქმნა, რვა არასამთავრობო ორგანიზაციას და ორ დამოუკიდებელ ექსპერტს აერთიანებს)

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მხარეებმა, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების სხვადასხვა გზებზე ისაუბრეს; კოალიციის წარმომადგენლებმა ცესკოს თავმჯდომარეს საკუთარი ინიციატივები გააცნეს, თავის მხრივ კი კომისიის ხელმძღვანელმა შეხვედრის მონაწილეებს გასული წლის საქმიანობის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და 2011-2015 წლებზე გათვლილი სტრატეგიული გეგმის პროექტიც წარუდგინა. შეხვედრის მონაწილეები ურთიერთთანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

**მედიანიუსი**

## „ღია საზოგადოება-საქართველო“ ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების წლიურ ანგარიშს წარადგენს

დღეს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“ ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების წლიურ ანგარიშს წარადგენს. გამოცემაში გაანალიზებულია საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში განხორციელებული ცვლილებები და განხილულია 2009-2010 წლების განმავლობაში დეცენტრალიზაციის პროცესის მიმდინარეობა. მსგავსი ანგარიშები ფონდმა 2006, 2007 და 2008 წლებშიც მოამზადა.

დეცენტრალიზაციის პროცესთან დაკავშირებით ანგარიშში შეფასებული და გაანალიზებულია: 2009-2010 წლებში ადგილობრივი მმართველობის სფეროში მიღებული კანონმდებლობა და მისი აღსრულება; თვითმმართველობის სფეროში ხელისუფლების საქმიანობა, ადგილობრივი პროგრამები და პროექტები; ნაჩვენებია დეცენტრალიზაციის პროცესის დინამიკა;

„ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ კვლევით და ანალიზით გავიგებთ, მიიჩნევს თუ არა მოსახლეობა ადგილობრივ თვითმმართველობას მნიშვნელოვან ინსტიტუტად. აინტერესებს თუ არა საზოგადოებას ამ ინსტიტუტების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები? რამდენად ინფორმირებულები არიან ისინი ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის შესახებ. ენდობიან თუ არა ისინი ადგილობრივ დონეზე არჩეულ წარმომადგენლებს და აკმაყოფილებთ თუ არა მათი საქმიანობის ხარისხი. ასევე მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა სახის კომუნიკაციაა ადგილობრივ მოსახლეობასა და მოქალაქეებს შორის და როგორია მოქალაქეების ჩართულობის ხარისხი ადგილობრივ საზოგადოებრივ საქმიანობაში“– ამბობს პროექტის კოორდინატორი, თინიკო ბოლქვაძე.

**მედიანიუსი**

# ქეთი მელუა მილიონერთა სიაშია

ეკა ირემაშვილი

ქართველი მომღერალი ქეთი მელუა, რომელიც წლების წინ საცხოვრებლად საზღვარგარეთ გადავიდა და დიდი ბრიტანეთის დედოფლის ერთ-ერთი საყვარელი მომღერალია, ბრიტანული გამოცემის შედეგების მიხედვით ახალგაზრდა მილიონერთა სიაშია. შედეგებს ყოველი წლის ბოლოს ბრიტანელი საზოგადოებისთვის სხვადასხვა გამოცემები აქვეყნებენ.

ქართველი ხელოვანი პირველ ათეულში მერვე ადგილს იკავებს. ბრიტანელ ახალგაზრდა მილიონერთა ასაკი 30 წლამდეა. ყველაზე მდიდარი ვარსკვლავების სიის სათავეში დენიელ რედკლიფია, რომელიც „ჰარი პოტერში" მთავარ როლს ასრულებს. 2011 წელს მისმა შემოსავალმა გასული წლების შემოსავლებს 1,6 მილიონი ფუნტი სტერლინგით გაუსწრო და დღეისთვის უკვე 52 მილიონ ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

პირველ სამეულში ლიდერობა არავის დაუთმეს „ჰარი პოტერის" დანარჩენი გმირების შემსრულებელმა მსახიობებმა – ემა უოტსონმა და რუპერტ გრინმა. ხუთეულში კი პოტერიანას გმირებთან ერთად გაერთიანდნენ მსახიობები კირა ნაითლი და რობერტ პატინსონი.

ყველაზე ახალგაზრდა ბრიტანელ მილიონერთა სიაში ქართველი მომღერალი ქეთი მელუა მერვე ადგილზეა. 27 წლის ქართველი მომღერლის შემოსავალი 10,76 მლნ გირვანქა სტერლინგია.

წელს გამოქვეყნებულ ახალგაზრდა მილიონერთა სიაში უმეტესობა მომღერლები არიან. გამოკითხვის შედეგად მილიონერთა სიაში მოხვდნენ ლეონა ლიუისი, კრეიგ დევიდსი, მიკა, დაფი, ლილი ალენი და სხვა პოპულარული ბრიტანელი მომღერლები.

ქეთი მელუამ უკვე ჩაწერა თავისი მორიგი ახალი ალბომი სახელწოდებით „საიდუმლო სიმფონია" და 2012 წლის ტურნეც გაწერილი აქვს. როგორც მომღერალი ჟურნალისტებს გამოუტყდა, რიგით მეხუთე ალბომი საკმაოდ ინტიმური, პირადული და რომანტიკული გამოვიდა. ალბომის გამოსვლის და რეალიზაციის ოფიციალურ თარიღად 2012 წლის 5 მარტი დასახელდა.

ქართველ მომღერალს წილად ხვდა პატივი ფრანკფურტის აეროპორტში განთავსებული უზარმაზარი ნაძვის ხე აენთო. მან გერმანიაში შეკრებილი მსმენელისთვის რამდენიმე ახალი კომპოზიციაც შეასრულა ახალი ალბომიდან. ახალი ალბომის საპრეზენტაციო ტურნეს ქართველი მომღერალი სწორედ გერმანიიდან დაიწყებს. მისი კონცერტები დაგეგმილია შტუტგარტში, ბერლინში, რეგენსბურგში, მიუნხენსა და დრეზდენში. ახალი ალბომის საპრეზენტაციო ტურნეს პირველი კონცერტი გერმანიაში ჯაზ ფესტივალის გახსნას დაემთხვევა.


ქეთი მელუა

# „ყვითელი მთვარე" რუსთაველის თეატრშია

ეკა ირემაშვილი

რუსთაველის თეატრში საპრემიერო დღეებია. თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე სპექტაკლის პრემიერა გაიმართება. „ყვითელი მთვარე" – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელიც ბრიტანელმა რეჟისორმა როშინ მაკბირნმა ქართველ მსახიობებთან ერთად დადგა. სპექტაკლი მსოფლიოში ცნობილი შოტლანდიელი დრამატურგის დეივიდ გრეგის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით განხორციელდა. ეს არის ლეილასა და ლის ბალადა ერთ მოქმედებად. პიესის თარგმანი დავით გაბუნიას ეკუთვნის, მხატვრობა – ქეთი ნადიბაიძეს, რეჟისორის თანაშემწე კი ნათია კუპატაძეა. სპექტაკლი 80 წუთს გრძელდება და მასში რუსთაველის თეატრის 4 მსახიობი მონაწილეობს – ბაჩო ჩაჩიბაია, ნინუცა მაყაშვილი, დავით დარჩია და ნინო არსენიშვილი.

– „ყვითელი მთვარე" ეს არის ბალადა ლეილასა და ლიზე, რომელიც თანამედროვე ბონისა და კლაიდის ისტორიას ჰგავს. ორი ახალგაზრდის ცხოვრება შემთხვევით გადაეჯაჭვება ერთმანეთს. მორიდებული ლეილა საკუთარ თავში ჩაკეტილი მუსლიმანი გოგონაა, რომელსაც ძალიან იტაცებს ჟურნალების კითხვა. სტეგ ლი მაკალინდელი კი, რომლის მეტსახელია ქორბუდა, ცხოვრებამობეზრებული, ყოყოჩი ახალგაზრდაა, რომელიც პატარა ქალაქის მიყრუებულ რაიონში ცხოვრობს და მუდამ ხიფათის ძიებაშია. არც ერთი მათგანი არ გეგმავდა მკვლელობაში გარევას. თავის გადასარჩენად თინეიჯერები შოტლანდიის მაღალ მთებში გაქცევას გადაწყვეტენ. როდესაც წყვილს თავი დაცული ჰგონია, სწორედ მაშინ გამოჩნდებიან დაუპატიჟებელი სტუმრები, – ნათქვამია რუსთაველის თეატრის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

დეივიდ გრეგის „ყვითელი მთვარე" – ბალადა ლეილასა და ლიზე პირველად გლაზგოში დაიდგა 2006 წლის სექტემბერში და ის სეზონის ყველაზე მნიშვნელოვან წარმოდგენად ითვლებოდა. თბილისურ პრემიერაზე კი ბრიტანელი რეჟისორი საოგადოებას შესთავაზებს უცნაურად მშვენიერ და სასტიკ ისტორიას სიყვარულზე, რომელსაც ქართველი მსახიობები გაითამაშებენ.

როგორც სპექტაკლში დაკავებული მსახიობები აღნიშნავენ, ბრიტანელი რეჟისორი ქართველი რეჟისორებისგან რადიკალურად განსხვავდება და ის კონკურენტულად მაყურებელზე მუშაობს. რეპეტიციები დაახლოებით ერთი თვეა გრძელდება. სპექტაკლი რუსთაველის თეატრისა და ბრიტანეთის ნაციონალურ თეატრებს შორის ურთიერთშეთანხმების ფარგლებში ეწყობა. რუსთაველის თეატრი ბრიტანეთის ნაციონალურ თეატრთან თანამშრომლობს, რომელიც რეჟისორთა გაცვლას ითვალისწინებს. ამჯერად თბილისში რეჟისორი როშინ მაკბრინი იმყოფება. ბრიტანელი რეჟისორისა და ქართველ მსახიობთა საპრემიერო სპექტაკლზე დასასწრები ბილეთის ფასი 10 ლარია.

# ირმა სოხაძემ კონცერტების დადგმა დაიწყო

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ბავშვი და ბევრი ყოფილი ბავშვი – მზიურელები, ბასტი- ბუბუს წინა თაობელები, ზუკა ხუციშვილი, ცნობილი ყოფილი ბავშვები. მათ ასე ვეძახი და ძალიან მომწონს ეს გამოთქმა. მეც ყოფილი ბავშვი ვარ. ყაზახეთში იყო საბავშვო ფესტივალი, ორგანიზატორებმა დამპატიჟეს მე და მიიწვიეს რობერტინო ლორეტი. რომ ჩავედით, ასე გვითხრეს, თქვენ იმიტომ დაგპატიჟეთ, რომ ყოფილი ბავშვები ხართო. ეს გამოთქმა ძალიან მომეწონა. ამ კონცერტისთვის შევარჩიე ბევრი კარგი მომღერალი. ყველამ თქვა, რომ დავალებულია სამაგიერო სიყვარული გამოუხატონ ჩვენთვის საყვარელ ადამიანს. მე ხომ ვინერვიულე, მაგრამ იცით თვითონ როგორ ინერვიულა? ორ წელიწადში დიდი იუბილე უნდა გადავიხადოთ – მერი დეიდა 90 წლის ხდება. ეს საღამო იყო ერთგვარი მოსაფერებელი საღამო, სადაც ჩვენი სიყვარული და მადლიერება გამოვხატეთ.

***– ამ საღამოს დიდხანს ამზადებდით?***

– 3 კვირა დაგვჭირდა. დიდი ხანია მინდოდა ჩამეტარებინა ეს საღამო. მერიაში მითხრეს, რომ სხვები აკეთებენო, ამიტომ გავჩერდი, მაგრამ ალარ დაადგა საშველი. ბოლოს ისევ მე გავაკეთე. როცა ტარივერდიევი დავამთავრე, ერთი კვირის მერე გაირკვა, რომ მერია მაძლევდა დარბაზს და დავიწყეთ მუშაობა. თავიდან კი ვიუარე, მაინც დიდი შრომაა საჭირო, მაგრამ მერი დავითაშვილი იმდენად მიყვარს, რომ მისი საღამოს ორგანიზებაზე უარს ნამდვილად ვერ ვიტყოდი. ჩემს საყვარელ მერი დეიდას და კონცერტზე მოსულ პატარებს, ვაჩუქეთ დიდი სითბო და სიყვარული.

***– ადვილად დაითანხმეთ ქალბატონი მერი, რომ მისი საღამო ჩატარებულიყო?***

– ძალიან ადვილად დავითანხმე. ვიცი, რომ მას ასეთი რამეები უხერხულ მდგომარეობაში აგდებს, მაგრამ ამ შემთხვევაში უარი არ უთქვამს. წელს მერი დეიდა გახდა თბილისის საპატიო მოქალაქე, ესეც მისალოცია. მოკლედ, ამ კონცერტის ჩასატარებლად ბევრი მიზეზი დაგროვდა, თუმცა უმთავრესი ჩვენი სითბოსა და სიყვარულის გამოხატვა იყო. ისე მომწონს ასეთი საღამოების კეთება, გაჩერებას არ ვაპირებ. ყველა ის საქმე მიყვარს, რომელსაც ვაკეთებ. ბავშვთა თეატრი რომ მქონდა, მაშინაც ჩემი საქმე მქონდა ნაპოვნი, როცა ტელევიზიაში ვიყავი, არავიზე ნაკლები არ იყო ჩემი გადაცემები.

***– კარგია ტელევიზიის გარეშე?***

– ამ ეტაპზე კი. დღეს ნამდვილად არ მინდა არც ერთ ტელევიზიაში მუშაობა. არსად არ არის ჩემი საკეთებელი საქმე და ადგილი. როცა საქართველოში იქნება ნორმალური სიტუაცია და ნორმალური ტელევიზიები, დიდი სიამოვნებით ვიმუშავებ, რადგან ეგეც ჩემი საქმეა.

***– საავტორო გადაცემაზე არ გიფიქრიათ?***

– მე ყველაფერზე მიფიქრია, მაგრამ ამ ტელევიზიებში რომ ვიბლოკები, ვერ ხედავთ?

***– სოლოკონცერტს როდის ჩაატარებთ?***

– გაზაფხულზე მინდა ჩავატარო სოლოკონცერტი. „25 ქართული მარგალიტი" – ასე ერქმევა საღამოს, რომელიც მოიცავს გენიალურ ქართველ კომპოზიტორებს – გიორგი ჩუბინიშვილიდან დაწყებული, ლილიკო ნემსაძით დამთავრებული.

***– რა გიშლით ხელს?***

– დაფინანსება არ არის. დარბაზი რომ მომცეს მერიამ, ელემენტარულად ფონოგრამებს ხომ უნდა გაკეთება? იმდენად მზად ვარ, ღამე რომ გამაღვიძოთ, 25-ვე მარგალიტს გიმღერებთ, მაგრამ როცა მომცემენ დარბაზს, მაშინ გავაკეთებ.

**მერი დავითაშვილი, კომპოზიტორი:**

– დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ საღამოს ორგანიზება გადაწყვიტა. მთელი ჩემი ცხოვრება ბავშვებს მივუძღვენი და ისინიც ჩემი ერთგულები აღმოჩნდნენ – მთელი სიცოცხლე გვერდში მიდგანან და არ მტოვებენ. თან ბავშვები ყველაზე გულწრფელები არიან – თუ მოსწონთ შენი სიმღერები, იმღერებენ, თუ არადა – არა.

**ნანული სარაჯიშვილი, მსახიობი:**

– ჩემი ბავშვობა და წარმატების პირველი ნაბიჯები სწორედ ქალბატონ მერი დავითაშვილთან არის დაკავშირებული. როდესაც ფილმს „მანანა" იღებდნენ, მე არ ვმღეროდი, ამ სიმღერას სხვა ბავშვი ასრულებდა, მე მხოლოდ პირს ვაღებდი. ერთხელაც მოვიდა ქალბატონი მერი და თქვა, კი, მაგრამ, რატომ უნდა იმღეროს სხვა ბავშვმა, როცა ნანულის მშვენიერი სმენა აქვსო. ამ სიტყვებისთვის ქალბატონ მერის დღემდე უდიდეს მადლობას ვეუბნები. მიხარია, რომ ამდენი წლის შემდეგ მისი სიმღერები ასეთი პოპულარულია და უკვე არაერთი თაობა გაიზარდა. იმედი მაქვს, ამ დიდებული კომპოზიტორის სიმღერები მომავალშიც დიდი პოპულარობით ისარგებლებს და კიდევ არაერთ თაობას აღზრდის.

**ლაშა რამიშვილი, მომღერალი, მუსკომედიის თეატრის მსახიობი:**

– ულრმესი მადლობა ქალბატონ მერის ასეთი ლამაზი წამებისთვის, ასეთი ულამაზესი ნაწარმოებების შექმნისთვის. ამ კონცერტზე მომიწია ყველა პატარასთვის საყვარელი სიმღერის „ეს საწყალი კურდღელი" შესრულება. ბედნიერი ვარ, რომ ამდენი წელია ბავშვების უმრავლესობა სწორედ ქალბატონი მერის სიმღერებით საზრდოობს. ღმერთმა დიდხანს მისცეს შემართება, რომ კიდევ არაერთი ლამაზი სიმღერა შექმნას.

**ეკა კახიანი, მომღერალი:**

– დიდი მადლობა ქალბატონ მერის, იმისთვის, რომ ასეთი კარგი საბავშვო სიმღერები შექმნა. საკმაოდ რთულია წერო ბავშვებისთვის და თანაც შექმნა უკვდავი სიმღერები. ქალბატონმა მერიმ ეს ნამდვილად მოახერხა. ჩვენი ანსამბლის „მზიურის" რეპერტუარი მერი დავითაშვილის სიმღერებით იყო ალსავსე. მისმა სიმღერებმა საკმაოდ დიდი წარმატებები მოგვიტანა. კიდევ ერთხელ ქედს ვიხრი მისი ნიჭის წინაშე და ვეფერები.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. დაგვიკავშირდნენ მხოლოდ მკურნალობის ახლავე დაწყების მსურველები. მომავლისათვის მკურნალობის მსურველები დაგვიკავშირდით მხოლოდ მომავალში. მიღება წინასწარი ჩაწერით. მისამართი: ქ.თბილისი, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. ტელ: 551-254-535 ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● სახის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, გამონაყარი (ასაკობრივი, პათოლოგიური) ფერისმჭამელა, ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება უმტკივნეულოდ, ბიომალამოთი, შედეგი 100%. ტელ: 899-96-44-94; 234-02-38 ქ-ნი ექიმი სპეციალისტი სალომე.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# ბაგაცკისმა დაგვზვერა და გვაღიარა

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ერთ-ერთი მეტოქე ლატვიის ნაკრებია, რომლის მთავარი მწვრთნელი აინარს ბაგაცკისი ქართულ კალათბურთს კარგად იცნობს. ბაგაცკისი სუპერლიგაში მოასპარეზე „სოხუმს“ წვრთნიდა და ჩვენს შიდაჩემპიონატში მიმდინარე მოვლენები ზეპირად იცის. ლატვიელთა დამრიგებელმა კენჭისყრის შემდეგ კომენტარი გააკეთა, რომელიც ლატვიის კალათბურთის ფედერაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა:

– იოლი მეტოქეები ნამდვილად არ შეგვხვდა, თუმცა, არც იმ „სიკვდილის ჯგუფს“ ჰგავს, რომელშიც წინა შესარჩევში მოვხვდით. ახლა ყველაზე ძლიერად ფ ჯგუფი მიმაჩნია, სადაც კენჭისყრამ იტალია და თურქეთი გაამწესა. ჩვენი მოწინააღმდეგეებიდან საქართველოს ნაკრების შესახებ ყველაფერი ვიცი. ბოსნიელებს გამოცდილი გუნდი ჰყავთ და ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, მათი ლიდერები შესარჩევ ტურნირს როგორ ფორმაში შეხვდებიან. რუმინელებს მხოლოდ უნივერსიადის დონეზე დავპირისპირებივარ და ვიცი, რომ ხშირად პროვოკაციებს მიმართავენ, ჰოლანდიელთა შესახებ კი ინფორმაცია ნაკლებად მაქვს. დღესდღეობით ჯგუფში საუკეთესო შანსები საქართველოს აქვს. შეიძლება, დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, თუმცა, ამ ქვეყანაში ფეხბურთს წამყვანი სპორტის როლი კარგა ხანია აღარ უჭირავს. კალათბურთი ძალიან პოპულარული გახდა, რასაც ხელს უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერაც უწყობს. ქართველმა კალათბურთელებმა ევროპის ჩემპიონატზე წარმატებული თამაშისთვის მილიონ დოლარამდე მიიღეს და, დარწმუნებული ვარ, ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის ახლაც მაქსიმუმს გააკეთებენ. მართალია, საქართველოს ნაკრებში თაობათა ცვლაა მოსალოდნელი, თუმცა, საინტერესო მოთამაშეები ახალგაზრდებშიც ჰყავთ. ცხადია, ყველაფერი ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ მოედანზე მათთან წასაგებად გავალთ. საკუთარი ძლიერი მხარეები ლატვიის ნაკრებსაც გააჩნია, ამდენად, არა მარტო საქართველოსთან, არამედ ნებისმიერ სხვა მეტოქესთანაც მხოლოდდამხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ.

# რონალდინიოს მიზანი მუნდიალზე მოხვედრაა

იტალიურ სპორტულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბრაზილიელი ფეხბურთელი, რონალდინიო, შესაძლოა, ისევ ევროპაში დაბრუნდეს. როგორც იცით, რონალდინიო ბრაზილიურ „ფლამენგოში“ თამაშობს, თუმცა „მილანის“ საკუთრებაა და, როგორც აღმოჩნდა, იტალიაში დაბრუნების სურვილი დღემდე აქვს.

რონის ზედმეტი წონა აწუხებდა, თუმცა, მისი მოკლება მოახერხა და სამშობლოში ბურთის გორებაც მოსწყინდა. გავრცელებული ინფორმაციით, ბრაზილიელი ფეხბურთელი ახალი კლუბის ძიებაშია.

თავად „მილანი“ ფეხბურთელთან ხელშეკრულების გახანგრძლივებას არ აპირებს და, სავარაუდოდ, სრულიად უსასყიდლოდ შეელევა. ბოლო ინფორმაციით, რონალდინიოთი დაინტერესება უკვე გამოთქვეს „პარმამ“ და „ბოლონიამ“. თუმცა, იტალიელი ჟურნალისტები წინასწარმეტყველებენ, რომ უახლოეს პერიოდში მათ რიცხვს სხვებიც შეუერთდებიან.

თავად ფეხბურთელს კი ჯერ ვერ გადაუწყვეტია, სად გააგრძელოს კარიერა.

– შესაძლოა, კარიერა სამშობლოში გავაგრძელო, შეიძლება, კვლავაც ევროპას მივაშურო. ჩემი სურვილი 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრაა და მიზნის მისაღწევად ყველაფერს გავაკეთებ. შესაძლოა, ბევრს ეს უტოპიად მიაჩნია, მაგრამ მე ოპტიმიზმით ვარ აღსავსე – ჯერ მხოლოდ 31 წლის ვარ და უმაღლეს დონეზე თამაში კიდევ დიდ ხანს შემიძლია, – აცხადებს რონალდინიო.

# ბექჰემი არ ჩქარობს, პსჟ უკვე ბენიტესს ელოდება

ადრე ვწერდით, რომ ინგლისელ ფეხბურთელ დევიდ ბექჰემით ფრანგული „პარი სენ-ჟერმენია“ დაინტერესებული და მისი იქ გადასვლა დროის საკითხი იყო. ამაზე ის ფაქტი მეტყველებდა, რომ ბექჰემსა და მის მეუღლე ვიქტორიას პარიზში სახლის ძიებაც ჰქონდათ დაგეგმილი. თუმცა, ბექჰემი საბოლოო პასუხს ჯერ არ იძლევა. ამ დღეებში მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ არ იცის, რა გადაწყვეტილებას მიიღებს.

– კარიერასთან დაკავშირებით რას გადავწყვეტ, ჯერ არ ვიცი. აქამდე თავისუფალი დრო პრაქტიკულად არც მქონია. ყველაფერს შვებულებაში გასვლის შემდეგ ვიტყვი, – აცხადებს ბექჰემი.

გეტყვით იმასაც, რომ ინგლისელი ფეხბურთელის გარდა, „პარი სენ-ჟერმენს“ „მანჩესტერ სიტიდან“ კოლო ტურეს შეძენაც სურს. ივუარელი ცენტრალური მცველი უკმაყოფილოა იმით, რომ რობერტო მანჩინი მას პრაქტიკულად არ ათამაშებს. „ქალაქელების“ რიგების დატოვება მას იანვარშივე სურს. მოგეხსენებათ, კოლო ტურემ დოპინგთან დაკავშირებული სკანდალის გამო ნახევარწლიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა, რის გამოც კლუბმა ის თვე-ნახევრის ხელფასით დააჯარიმა. ჟურნალისტების ვარაუდით, კლუბები ფეხბურთელის ტრანსფერზე იოლად მოილაპარაკებენ.

გარდა ამისა, ირკვევა, რომ ფრანგული კლუბმა გუნდის მთავარ მწვრთნელ ანტუან კომბუარეს კარისკენ მიუთითა და თანამდებობაზე უახლოეს დღეებში თუ არა, ახალ წლამდე რაფა ბენიტესს წარადგენს.

შეგახსენებთ, რომ ესპანელი სპეციალისტი უკვე ერთი წელია უმუშევარია. შარშან დეკემბერში ის თანამდებობიდან „ინტერმა“ დაითხოვა. გავრცელებული ინფორმაციით, კლუბის დირექტორთა საბჭოს სხდომა პსჟ-ოსერის მატჩის დასრულებისთანავე დაიწყო და მოსალოდნელზე მეტ ხანს გაგრძელდა. როგორც ჩანს, შეკრების ბოლოს დირექტორები საერთო გადაწყვეტილებამდე მივიდნენ.

არადა, თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ იანვარში გუნდს გასაწვრთნელად კლოდ მაკელელე ჩაიბარებდა.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**
ფულემი-ლივერპული .................. 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**
სევილია-ხეტაფე ........................ 3:0

**იტალია. სერია ა**
ლაციო-ნოვარა ........................ 3:0

**იტალია. სერია ბ**
ბარი-ჩიტადელა ........................ 2:2

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**
დუისბურგი-ფორტუნა ................ 0:2

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**
რეიმსი-ნანტი ............................ 3:1

**პორტუგალია. თასი**
სპორტინგი-ბელენენსეში ............ 2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**
ბეშიქთაში-ორდუ ...................... 2:1

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**
სლოვაცკო-ბოლესლავი .............. 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**
ზაგლებიე-ლეგია ...................... 0:4

**უკრაინა. პრემიერლიგა**
დინამო-მეტალურგი(დ) ............... 1:0

**დანია. სუპერლიგა**
სონდერიისკე-ოდენსე ................. 0:4

**არგენტინა. აპერტურა**
სან ლორენცო-ტიგრე .................. 1:0

**ხელბურთი**

**მსოფლიო ჩემპიონატი**
**ქალები**
რუმინეთი-კუბა ....................... 33:27
შვედეთი-კოტ დივუარი ........... 28:25
საფრანგეთი-ტუნისი ............... 25:17
დანია-არგენტინა ..................... 31:13
ბრაზილია-იაპონია .................. 32:24
ხორვატია-ურუგვაი ................ 45:15

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**
პიტსბურგი-ბოსტონი ................. 1:3
რეინჯერსი-ტორონტო ................ 2:4
ოტავა-ტამპა ბეი ....................... 4:2
ფლორიდა-ვაშინგტონი ............... 5:4
ჩიკაგო-ფინიქსი .................. 3:3(0:1ბ)

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# სანიკიძე არ დადის, სანიკიძე – დაფრინავს

„ეარ ჯორჯიად“ წოდებული ვიქტორ სანიკიძის ბენეფისი იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში შედგა. საქართველოს ნაკრების ფორვარდმა იტალიის ჩემპიონატში სამწლიანი კარიერის მანძილზე საუკეთესო მატჩი ჩაატარა. სანიკიძის „კანადიან სოლარი“ კიდევ ერთი ქართველის – ნიკა მეტრეველის „დინამო სასარის“ შეხვდა და 85:80 რომ დაამარცხა, პირადად სანიკიძის დამსახურებაა.

ვიქტორმა მეტოქეს 36 წუთში 27 ქულა ჩაუდო და 16 მოხსნა განახორციელა. სანიკიძისთვის ორივე ეს შედეგი იტალიურ კარიერაში საუკეთესოა. სანიკიძის საერთო სარგებლიანობის კოეფიციენტმა 42 შეადგინა, რაც ტურში საუკეთესო აღმოჩნდა.

სანიკიძემ შესაშური სიზუსტე გამოიჩინა. მის მიერ შესრულებული 9 ორქულიანიდან მიზანს რვამ მიაღწია, ხოლო 5 საჯარიმოდან ვიქტორმა ყველა ჩააგდო. ქართველმა ფორვარდმა 5 სამქულიანიდან 2 მიითვალა და მთლიანობაში 27 ქულა დააგროვა. მან 12 ბურთი მარტო საკუთარ ფარზე მოხსნა, რასაც 4 მეტოქისაზეც მოაყოლა და ჯამში მოგროვებული 16 მოხსნით მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო შედეგი დააფიქსირა. პლუს ამას ვიქტორს 3 ჩაჭრა და 1 პასიც ჰქონდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ვიქტორ სანიკიძე იტალიის ჩემპიონატის მე-9 ტურის ყველაზე ღირებულ კალათბურთელად (მვპ) დაასახელეს. ქართველმა ფორვარდმა დიდი უპირატესობით გაუსწრო მეორეზე გასულ „ტერამოს“ ჩერნოგორიელ ლეგიონერ მილოშ ბორისოვს.



საუკეთესო მოთამაშე მატჩის სტატისტიკური მაჩვენებლების გამაერთიანებელი კოეფიციენტით ვლინდება. სანიკიძეს ეს კოეფიციენტი გასულ ტურში საუკეთესო ჰქონდა და მან 42 შეადგინა, ბორისოვისამ კი – 33.

სანიკიძემ ანალოგიურ მაჩვენებელში ბოლოსწინა ტურში მესამე შედეგი აჩვენა, ხოლო იმის წინ – მეორე. ბოლო სამი მატჩია ქართველი ფორვარდი მოედნიდან ორმაგი დუბლის გარეშე არ გამოდის, თუმცა გასულ მე-9 ტურში ვიქტორმა „დინამო სასარის“ წინააღმდეგ მართლაც შთამბეჭდავი შედეგი დააფიქსირა.

როგორც გითხარით, სანიკიძე იტალიის ჩემპიონატში მესამე სეზონს ატარებს და აქამდე ასეთი შედეგიანობა არ გამოუჩენია: 27 ქულაც და 16 მოხსნაც მისთვის სარეკორდოა. აქვე დავძენთ, რომ იტალიის ჩემპიონატის მიმდინარე გათამაშებაში სანიკიძის მიერ მოგროვებული სარგებლიანობის კოეფიციენტი (42) საუკეთესო შედეგია. ზუსტად ამდენი აქვს მოგროვებული სკავოლინელ ჯეიმს უაიტს მეორე ტურში „ვარეზეს“ წინააღმდეგ.

ცხადია, ქართველის თამაში უყურადღებო არც მედიისთვის დარჩენილა.

– 25 წლის ვიქტორ სანიკიძემ ბოლო ტურში შესანიშნავად ითამაშა და კვირის მოთამაშის ტიტულიც დაიმსახურა. მის ანგარიშზე ორმაგი დუბლი (27 ქულა და 16 მოხსნა) და შთამბეჭდავი მარგი ქმედების კოეფიციენტია – 42. ქართველი ფორვარდი „ვირტუსს“ „დინამო სასარის“ ძლევაში დაეხმარა (85:80) და სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზე აინაცვლა. სარდინიელებთან ვიქტორმა ორქულიანები 88.9-პროცენტიანი სიზუსტით ისროლა. იგი ლიგაშიც გამორჩეულია: საშუალოდ 9.9 მოხსნა აქვს და ერთი მეათედით ჩამორჩება ჯარედ ჰოუმანს, რომელიც „ვირტუსში“ ირიცხებოდა, მაგრამ მწვრთნელთან უთანხმოების გამო იტალიაში აღარ თამაშობს, – წერია საკალათბურთო ვებგვერდ „ევრობასკეტზე“.

ვიქტორის გვარი არაერთი იტალიური გაზეთის სათაურში მოხვდა, ხოლო ტურის მიმოხილვები ქართველზე საუბრით იწყება.

„სუპერ-სანიკიძე, „ვირტუსმა“ „სასარი დაამარცხა“, – ასეთი სათაური გვხვდება გაზეთ „ილ რესტო დელ კარლინოში“, რომელიც ჩვენებურს ნბა-ში გადასვლას უწინასწარმეტყველებს.

– ბოლონიურმა კლუბმა ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო. ეს უმთავრესად ვიქტორ სანიკიძის დამსახურებაა, რომელიც სწრაფი ნაბიჯებით მიიწევს ნბა-სკენ, – წერს გაზეთი.

# ხუან რომან რიკელმე: „ინიესტა ხედავს და ესმის ის, რასაც სხვები ვერ ხედავენ და ამჩნევენ“

არგენტინაში გაირკვა ჩემპიონის ვინაობა – „ბოკა ხუნიორსი“ ჩემპიონია! ეს „ბოკას“ 24-ე ჩემპიონობაა ისტორიაში.

კლუბის ფანები მთელ კვირას ელოდნენ ამ მატჩს. ლიდერს მხოლოდ ერთი ქულა ესაჭიროებოდა აუტსაიდერ „ბანფილდთან“ და კონკურენტთათვის მიუწვდომელი ხდებოდა. „ბოკამ“ გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, „ბომბონერაზე“ დიდი ანგარიშით მოიგო – 3:0.

მეორე ტაიმის დასაწყისში, როდესაც დიეგო რივერომ ანგარიში გამანადგურებელი გახადა, „ბომბონერა“ აგუგუნდა: „რიკელმეეე, რიკელმეეე!“ – ითხოვდნენ ტრიბუნები და 65-ე წუთზე 20 მილიონი ინჩასის კერპი სათამაშოდ შევიდა, როლანდო სკიავიმ მაშინვე გაუკეთა კაპიტნის სამკლავური ხუან რომან რიკელმეს.

– შევასრულე, რაც დავიქადნე, სიტყვას კი შესრულება უნდა – გუნდის გაჩემპიონებაში ჩემი წვლილი შევიტანე. ჩვენ საუკეთესოები ვართ და მე ბედნიერი ვარ, – განაცხადა რიკელმემ, რომლის ინტერვიუ არგენტინულ მედიაში გამოქვეყნდა.

***– როდესაც თამაშს ტრიბუნიდან ან ტელევიზორით უყურებთ, რას აქცევთ ყურადღებას?***

– ფეხბურთს ძალიან ხშირად ვუყურებ. თვალს ვადევნებ მატჩებს, რომლებშიც, სახელგანთქმული ვარსკვლავების გარდა, ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელები მონაწილეობენ. სხვისი თამაშის ყურების დროს ყოველთვის რაღაც ახალს ვსწავლობ.

***– მსოფლიო ფეხბურთში არსებობს ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც შეუძლია, გაგაოცოთ?***

– ლიონელ მესის არა მხოლოდ ჩემი, არამედ ნებისმიერის გაოცება შეუძლია. მას წარმოუდგენლად ბევრი გოლი გააქვს და იმავეს აკეთებს რონალდუც, ხოლო ინიესტას თამაში მის გუნდს, უბრალოდ, აკეთილშობილებს. ეს ფეხბურთელები სხვებისგან განსხვავდებიან – მათ თამაშს შეგიძლიათ ხშირად უყუროთ, მაგრამ ვერასოდეს მიხვდებით, მომდევნო ეპიზოდში რას გააკეთებენ. ისინი გაცილებით ადრე წყვეტენ, რა მოუხერხონ ბურთს, ვიდრე თქვენ ამის შესახებ გაიფიქრებთ. ისინი უნიკუმები არიან.

***– ინიესტას თანდაყოლილი ნიჭი აქვს თუ შეძენილი ოსტატობა?***

– ფეხბურთში შეიძლება ბევრი რამ ისწავლო – ბურთის კონტროლი, ორივე ფეხით დარტყმა, მაგრამ ამ ყველაფერში მთავარი მაინც პოტენციალია. ინიესტა ფიზიკურად ძლიერი არ არის, სწრაფადაც ვერ დარბის, მაგრამ ხედავს და ესმის ის, რასაც სხვები ვერ ხედავენ და ამჩნევენ.

***– როდესაც მოედანზე უბურთოდ ხართ, რაზე ფიქრობთ?***

– ამ დროს ჩემი გუნდის მცველებისა და იმ ნახევარმცველების მჯერა, რომლებიც დაცვით ფუნქციებს ასრულებენ. ვცდილობ, წინასწარ გავთვალო ის მომენტი, როდესაც ბურთი ჩვენს გუნდს ექნება.

***– თქვენი გუნდის მიერ ჩატარებულ მატჩებს თუ უყურებთ?***

– ძალიან იშვიათად. ისედაც ყველაფერი მახსოვს, რაც თამაშის მსვლელობისას ხდება. მატჩის შემდეგ ძალიან გვიან ვიძინებ, რადგან თითოეულ მომენტზე ვფიქრობ.

***– ძალიან ხშირად მატჩის მსვლელობისას უკმაყოფილო გამომეტყველება გაქვთ. ეს რაზე მიუთითებს?***

– მინდორზე საკმაოდ მშვიდი ვარ და, უბრალოდ, კარგი ფეხბურთის თამაშს ვცდილობ. ზოგჯერ, როდესაც საქმე კარგად არ მიდის, ყვირილი და ხელების შლა მიწევს. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამ დროს გაბოროტებული ვარ, სიმართლეს არ შეესაბამება. საბედნიეროდ, გუნდში გაგებული ფეხბურთელები გვყავს და ეს ამა თუ იმ საკითხის სწრაფად გადაწყვეტის საშუალებას გვაძლევს. რაც უფრო მეტი ურთიერთობა გაქვს მოედანზე პარტნიორებთან, მის ფარგლებს გარეთ გაცილებით ნაკლები პრობლემები იქმნება. ჩემი მეგობრები იცინიან, როდესაც მკაცრი გამომეტყველება მაქვს, რადგან იციან, რომ ბოროტი არ ვარ და, უბრალოდ, ღირსეულ დონეზე თამაში მიყვარს.

***– გაღიზიანებთ, როდესაც თქვენზე უფროსი ასაკის ხალხი გაკრიტიკებთ?***

– არა, რადგან მიჩვეული ვარ. მამაჩემს ყოველთვის მიაჩნია, რომ უკეთ შემეძლო თამაში, ვიდრე ვითამაშე. ჯერ კიდევ ბავშვობაში ვიცოდი, რომ ის გაცილებით მეტს მომთხოვდა, ვიდრე ვაკეთებდი. მისი მადლობელი ვარ, რომ ახლაც სრულყოფილებისკენ ვისწრაფვი.

***– ოდესმე ვინმესთვის მაისურის გაცვლა გითხოვიათ? თუ არიან ისეთი მოთამაშეები, რომლებთანაც მაისურის გაცვლა გსურთ? არსებობენ ისეთები, ვისაც არასოდეს გაუცვლიდით?***

– არგენტინის ჩემპიონატის საწყისი ორი მატჩის მაისურს ყოველთვის ვინახავ. ზოგჯერ რომელიმე მატჩის წინ მეგობრები მთხოვენ, რომ ამა თუ იმ ფეხბურთელს მაისური გამოვართვა. ყველაზე მეტად ის მახარებს, როდესაც ჯერ კიდევ მატჩის მსვლელობისას მეტოქე გუნდის რომელიმე ფეხბურთელი მითანხმდება, რომ თამაშის შემდეგ მაისური გავუცვალო.

***– ამ საფეხბურთო რიტუალთან დაკავშირებით რაიმე განსაკუთრებული თუ გახსენდებათ?***

– მახსოვს, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ზინედინ ზიდანის მიერ ჩატარებული ბოლო მატჩის შემდეგ მისი მაისური სწორედ მე შემხვდა. ამჟამად ჩემი შვილისთვის ის დიდ ფასეულობას წარმოადგენს.

***– თავად სხვა მოთამაშეებისთვის მაისური გითხოვიათ?***

– ზოგჯერ მაისურებს ჩემს თანაგუნდელებს ვთხოვ ხოლმე. მაგალითად, რივერო ერვიტას ვთხოვე, მოეცა მაისური, რომლითაც „ბოკაში“ პირველი გოლი გაიტანა. „რასინგთან“ მატჩის შესვენების დროს გასახდელში ვიჯექი, მატეს ვსვამდი და ბიჭების საუბარს ვუსმენდი. ამ დროს რივერო მოვიდა და თავისი მაისური გადმომცა.

***– კარიერის დასრულებას „ბოკა ხუნიორსში“ გეგმავთ?***

– დიახ. კლუბთან კონტრაქტი გავახანგრძლივე და თამაშის დრო კიდევ მაქვს.

***– ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ თამაში 40 წლამდე გსურთ.***

– იმდენ ხანს ვითამაშებ, რამდენსაც შევძლებ. თითოეულ მოვლენას კეთილი დასასრული უნდა ჰქონდეს. ახლა ვგრძნობ, რომ საკუთარი გუნდის დახმარება შემიძლია. ამის შესახებ ყოველთვის მარტივად ვფიქრობდი. როგორც კი ვარჯიშებისა და თამაშების რიტმს ვეღარ გავუძლებ, სახლიდან სავარჯიშოდ ან სათამაშოდ აღარ გავალ.

***– კარიერის დასრულების შემდეგ დაბრუნდებით იქ, სადაც გაიზარდეთ?***

– დიახ, ვაპირებ, იქ დავბრუნდე, სადაც დღემდე ჩემი მეგობრები და ძმები ცხოვრობენ. ჩვენ ერთად ვთამაშობთ ფეხბურთს და შემდეგ ხორცისგან რაიმე კერძს ვამზადებთ.

***– კარგი ორატორი ხართ თუ საუცხოო მსმენელი?***

– მახსოვს, 16 წლის რომ ვიყავი, ჩემი მეგობრები გამუდმებით ფეხბურთზე საუბრობდნენ, ხოლო ამ დროს მე მათ ვუსმენდი. დასკვნა თქვენთვის მომინდვია.

***– ალბათ, მაშინ თავად ოცნებობდით მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრას.***

– იმ დროს ჩვენთვის მსოფლიო ჩემპიონატი რაღაც წარმოუდგენელი მოვლენა იყო. ვისაც შეეძლო, ყველა მხარს მიჭერდა. „ვილიარეალის“ ფეხბურთელები და პრეზიდენტი გერმანიაში არგენტინის ნაკრების თამაშების სანახავად ჩამოდიოდნენ და შემდეგ ესპანეთში ბრუნდებოდნენ. კლუბის პრეზიდენტი გერმანიაში ჩარტერულ რეისებს აწყობდა.

***– მალე ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონატი იქნება.***

– რაც არ უნდა მოხდეს, მსოფლიოს ჩემპიონატს დავესწრები. გუნდის შემადგენლობაში თუ მაყურებლის რანგში, ბრაზილიაში მაინც ვიქნები. ჩემს შვილს ამ დღესასწაულზე მოხვედრა ძალიან სურს. როდესაც ვკითხე, თუ სად სურდა, შვებულება გაგვეტარებინა, მაშინვე მიპასუხა, ბრაზილიაშიო. თუ სათანადო დონეზე ვითამაშებ, იქ გამგზავრება ფეხბურთელის რანგში ძალიან კარგი იქნება. თუ სათამაშო ფორმა მაღალ დონეზე ვერ შევინარჩუნე, მაშინ მოვლენებს თვალს ტრიბუნებიდან მივადევნებ.

# ავღანეთის პრეზიდენტმა შეიწყალა ქალი, რომელიც ნათესავმა გააუპატიურა

**ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ შეიწყალა ქალი, რომელსაც 12 წელი ჰქონდა მისჯილი. ის თავის დროზე იმის გამო გაასამართლეს, რომ ნათესავმა გააუპატიურა.**

**შეწყალების გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც 21 წლის გულნაზის მხარდასაჭერად 6 ათასზე მეტმა ადამიანმა ხელი მოაწერა, იტყობინება „როიტერი“.**

ეს კონსერვატიულ-მუსლიმანური ავღანეთისთვის იშვიათი შემთხვევაა, რომელიც მართლმსაჯულების გამარჯვებას დაადასტურებდა, – აღნიშნავს „ნიუ იორკ ტაიმსი“.

ყარზაის პრეს-მდივანი ირწმუნება, რომ მსჯავრდებულის განთავისუფლებისთვის ხელისუფლებას არანაირი წინაპირობები არ წამოუყენებია.

თუმცა, სხვა მონაცემებით, ჩინოვნიკები მოითხოვენ, რომ „შერცხვენილი“ მსხვერპლი მოძალადეს ცოლად გაჰყვეს – ბიძაშვილის ქმარს, რომელიც ასევე ციხეში იმყოფება, სადაც დანაშაულის ჩადენისთვის შვიდწლიან ვადას იხდის.

ამ დროისთვის უცნობია, შედგება თუ არა ეს ქორწინება. ჩინოვნიკების თქმით, გოგონამ ამაზე თანხმობა უკვე განაცხადა. მოძალადე მამაკაცის გადაწყვეტილება ჯერ უცნობია.

ამასობაში, აღნიშნავენ, რომ ასეთი გადაწყვეტილება დაზარალებულისთვის უაღრესად სახიფათო შეიძლება იყოს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ახლად გამოჩეკილმა მეუღლემ შეიძლება მას სამაგიერო გადაუხადოს და მოკლას კიდეც, სისხლის სამართლებრივი დევნის რისკის მიუხედავად.

ამას გარდა, გოგონა შეიძლება მოძალადის ნათესავებმაც მოკლან, რომელთა აზრითაც, მან მამაკაცს ცხოვრება დაუნგრია.

თავდასაცავად გულნაზი მოითხოვს, რომ მოძალადის და მის ძმას გაჰყვეს ცოლად. ის თვლის, რომ ამ შემთხვევაში მოძალადეს მისთვის ზიანის მიყენების შეეშინდება.

მისი სხვა განცხადებებიდან კი გამოდის, რომ მოძალადესთან ქორწინება გარდაუვლად მიაჩნია. ადგილობრივი ტრადიციებით, ქორწინებაზე უარის თქმით, ის და მისი შვილი საზოგადოებისგან გარიყულები იქნებიან, ხოლო ოჯახი პატივისცემას დაკარგავს.

გულნაზთან დაკავშირებული ინცინდენტი ორი წლის წინ მოხდა, როდესაც ის 19 წლის იყო. თავდაპირველად გოგონამ მომხდარის შესახებ არავის უთხრა. ყველაფრის აღიარება მოუწია მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ მოძალადისგან ორსულადაა. გოგონა გულნაზმა უკვე ციხეში გააჩინა.

თავიდან მას ორწლიანი სასჯელი მიუსაჯეს. თუმცა, შემდეგ სასჯელი 12 წლამდე გაუზარდეს. ამასთან ჩინოვნიკები არჩევანს სთავაზობდნენ – ციხე ან მოძალადესთან ქორწინება.

გულნაზის საქმემ საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება მიიპყრო მას შემდეგ, რაც მასზე დოკუმენტური ფილმი გადაიღეს, ეს ევროკავშირის შეკვეთით მოხდა. მოგვიანებით ფირის ჩვენება აკრძალეს იმ მოტივით, რომ მასში მონაწილე ავღანელი ქალების უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ.

გასულ წელს ფართო რეზონანსი გამოიწვია 18 წლის ავღანელი გოგონას, ბიბი აიშას ისტორიამ, რომელსაც თალიბმა მეუღლემ გაქცევის მცდელობისთვის ყურები და ცხვირი მოაჭრა. მას შემდეგ, რაც ეს ისტორია ფართოდ გავრცელდა, ავღანეთში ქალების თავშესაფრის წინააღმდეგ კამპანია დაიწყო. ერთ-ერთი მათგანი აიშას ეხმარებოდა. მსგავსი დაწესებულებები დახურვის წინაშე აღმოჩნდნენ, რაც ქალებისთვის უდიდესი დანაკარგი იქნებოდა. ძალადობის მსხვერპლ ქალებს სხვა თავშესაფარი უბრალოდ არ გააჩნიათ.

უფრო მეტიც, მილიარდობით დოლარის საერთაშორისი დახმარების მიუხედავად, ბოლო დროს ავღანეთში ქალების მიმართ ძალადობა მატულობს.

ავღანელი ქალების დაახლოებით 87% ამბობს, რომ ფიზიკურ, სექსუალურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას განიცდის ანდა იძულებით ქორწინდებიან, ნათქვამია საქველმოქმედო ორგანიზაცია „ოქსფამის“ მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვროკავშირმა დოკუმენტური ფილმი დააფინანსა, რომელიც ასახავს, თუ როგორ იხდიან სასჯელს ავღანეთის ციხეებში „მორალური დანაშაულისთვის“ დაჭერილი ქალები. ფილმში მოცემული ინფორმაციით, ქალების ნაწილი სწორედ სექსუალური, ნაწილი კი ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია.



მიუხედავად იმისა, რომ ფილმზე მუშაობა დასრულებულია, ევროკავშირი მისი ფართო მასებში გავრცელებისგან თავს იკავებს.

საინფორმაციო სააგენტო „ასოშეიტედ პრესის“ ინფორმაციით, ამის მიზეზად ფილმში ნაჩვენები ქალების უსაფრთხოება და ავღანეთის სასამართლო სისტემასთან ევროკავშირის არსებული კონსტრუქციული ურთიერთობის შენარჩუნების სურვილი სახელდება.

საგარეო პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი კომისარი კეტრინ ეშტონის წარმომადგენელი მაიკლ მანი უარყოფს განცხადებას იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილების მიღებაში პოლიტიკურმა ფაქტორებმა იქონია გავლენა.

ერთადერთი გასათვალისწინებელი ასპექტი იმ ქალების უსაფრთხოება, რომლებიც ფილმში არიან წარმოდგენილი:

– ნებისმიერი მინიშნება იმაზე, რომ ჩვენ ამ ქალბატონების გასაჭირის საზოგადოებისგან დაფარვას ვცდილობთ, აბსოლუტური სიცრუეა. მათი პრობლემების საზოგადოებისთვის გაცნობა იყო თავდაპირველი მიზეზი ჩვენ მიერ ფილმის დაფინანსებისა. ჩვენ ამ პრობლემაზე საუბარი უდავოდ გვინდა.

საერთაშორისო ორგანიზაცია „ჰუმან რაიტს უოჩის“ წარმომადგენელი ჰედერ ბარი აცხადებს, რომ ავღანეთის ციხეებში ამჟამად ათასობით ქალი იხდის სასჯელს, ე.წ. მორალური დანაშაულისთვის.

ორგანიზაცია ფილმთან დაკავშირებით დაწყებულ პოლიტიკურ დავაზე კომენტარს არ აკეთებს, თუმცა, ბარის თქმით, დოკუმენტურ მასალაში გადმოცემული ისტორიები ავღანეთის რეალობაში საკმაოდ გავრცელებულია:

– დაპატიმრებულ ავღანელ ქალებთან საუბრისას ირკვევა, რომ ნაწილი მათგანი იმის გამოა ციხეში, რომ გაიქცა ქმრის სახლიდან, სადაც მას ოჯახის წევრები სცემდნენ. ეს ავღანეთის კანონმდებლობით სამართალდარღვევა არ არის, მაგრამ ქალებს მაინც აპატიმრებენ მორალური დანაშაულის ჩადენის გამო. ნაწილ მათგანს ზინაში – ანუ ქორწინების გარეშე სქესობრივ კავშირში ედებათ ბრალი.

მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნის წინ ავღანეთის პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი, რომლის თანახმადაც ფიზიკური და სექსუალური ძალადობა ქალების წინააღმდეგ სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება, პატიმარი ქალების რაოდენობამ მკვეთრად მოიმატა.

ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, თუ რა ელით მათ ციხიდან გათავისუფლების შემდეგ:

– მათი უმრავლესობა ფიქრობს, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ ისევ იმ სიტუაციაში აღმოჩნდება, რომელიც მათი ციხეში მოხვედრის მიზეზი გახდა. დანარჩენები კი ამბობენ, რომ ოჯახში დაბრუნების შემდეგ ნათესავები მოკლავენ იმის გამო, რომ ციხეში მოხვედრით ოჯახი შეარცხვინეს.

ავღანეთი საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მიმდინარე თვეში იქნება, როცა გერმანია ქვეყნის მომავალთან დაკავშირებით კონფერენციას უმასპინძლებს. ბარის განცხადებით, ავღანელი ქალების უფლებების დამცველი ორგანიზაციები კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლას ითხოვენ, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ:

– ჩემი აზრით, კონფერენციაზე ქალების უფლებებზე არავინ ისაუბრებს და იმ ფაქტს, რომ ასობით ქალი სასჯელს იხდის იმის გამო, რომ ძალადობის მსხვერპლია, ყურადღებას არავინ მიაქცევს.

თუმცა, მაიკლ მანი აცხადებს, რომ ევროკავშირი ქალების უფლებების დაცვით და ავღანეთში სასამართლო სისტემის რეფორმით უაღრესად დაინტერესებულია:

– ევროკავშირი უდიდეს ყურადღებას აქცევს ადამიანის უფლებებს და გვჯერა, რომ ის ქალები, რომლებიც მორალური დანაშაულისთვის იხდიან სასჯელს, თანასწორუფლებიანობის პრინციპით უნდა სარგებლობდნენ. ამ გზავნილის გავრცელებას ჩვენ აქტიურად ვცდილობთ.

მანის განცხადებით, ევროკავშირი ცდილობს დოკუმენტური ფილმი ფართო საზოგადოებას გააცნოს, თუცა ამისთვის აუცილებელი პირობა იმ ქალების ვინაობისა და უსაფრთხოების დაცვაა, რომლებიც ფილმში მონაწილეობენ.

ერთი სიტყვით, ავღანეთის ტიპის ქვეყნებში ქალის დისკრიმინაცია, ძალადობა მის მიმართ და უფლებების იგნორირება ჩვეულებრივი საქმეა.

გოგონებს ათხოვებენ მეტისმეტად ადრე, რაც მათ არჩევანის საშუალებას ართმევს. ისინი ორსულდებიან მეტისმეტად ადრე. ძალიან ხშირია შიდსის შემთხვევები ამ დროს. ასეთ ქვეყნებში ყოველი მე-10 ქალი სწორედ მშობიარობის დროს...იღუპება.

აქვე წარმოგიდგენთ 10 ქვეყანას, სადა ქალი ყველაზე მეტად არის დაუცველი. ესენია:

1. ავღანეთი; 2. კონგო; 3. ერაყი; 4. ნეპალი; 5. სუდანი; 6. გვატემალა; 7 მალი; 8. პაკისტანი; 9. საუდის არაბეთი; 10 სომალი.

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ განათლების, ცხოვრების დონით და სხვადასხვა პრივილეგიების მიხედვით, ქალბატონებისთვის 10 ყველაზე სასურველი ქვეყანა გახლავთ: 1. ისლანდია; 2. ნორვეგია; 3. ავსტრალია; 4. კანადა; 5. ირლანდია; 6. შვეცია; 7. შვეიცარია; 8. იაპონია; 9. ნიდერლანდები; 10. საფრანგეთი

ცნობისთვის, ავღანეთის სტრატეგიულმა მდებარეობამ განაპირობა ის, რომ ქვეყნისთვის იბრძოდნენ საუკუნეების განმავლობაში, მათ შორის ისტორიის თანამედროვე ეტაპზე. მან გადაიტანა კონფლიქტებისა და არასტაბილურობის ხანგრძლივი პერიოდი, რამაც მთლიანად მოშალა ეკონომიკა და სახელმწიფო სისტემა, მილიონობით ავღანელი ლტოლვილად აქცია.

თავისი როლი შეასრულა სტიქიურმა უბედურებებმაც – მიწისძვრებმა და გვალვებმა.

XX ს. – სრული დამოუკიდებლობა ქვეყანამ მიიღო 1919 წელს ინგლისთან მესამე ომის შედეგად. კონსტიტუციური მონარქია დამყარდა 1963 წელს, დაემხო 1973 წელს.

სსრკ-სთან გაფორმდა ხელშეკრულება მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ 1978 წელს. ქვეყანაში დაიწყო რეფორმები, რამაც გამოიწვია კონსერვატორული ისლამური ოპოზიციის წინააღმდეგობა.

სამხედრო დაპირისპირების გაძლიერებას მოჰყვა საბჭოთა ჯარების მიერ ავღანეთის ოკუპაცია 1979-1989 წლებში.

უკანასკნელ წლებში კი ქვეყანა სამოქალაქო ომის ასპარეზად იქცა. ხელისუფლება პერიოდულად სხვადასხვა დაჯგუფებების ხელშია. 1998 წლიდან ქაბულს და ქვეყანის უდიდეს ნაწილს თალიბები აკონტროლებდნენ.

XXI ს. – 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ ავღანეთში თავშესაფარი ჰპოვა ოსამა ბინ ლადენმა, რომელიც აშშ-ს მიერ დადანაშაულებული იყო ამ და სხვა ტერაქტების ორგანიზებაში.

ავღანეთის ე.წ. ჩრდილოეთის ალიანსის ოპოზიციურმა ძალებმა აშშ-სა და მისი მოკავშირეების სამხედრო მხარდაჭერით დაამხეს თალიბანის რეჟიმი. 2001 წლის ბოლოს შეიქმნა ჰამიდ ყარზაის დროებითი მთავრობა.

2004 წელს ჩატარდა პირველი საპრეზიდენტო არჩევნები. ხელისუფლებამ ჯერჯერობით ვერ მოახერხა ქვეყნის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში ადგილობრივ საველე მეთაურთა წინააღმდეგობების დაძლევა.

***მოამზადა გერა მამულაშვილმა***

## რამდენად ხართ ადაპტირებული სამსახურთან?




**ტესტის შეკითხვებს უპასუხეთ ა. დიახ. (1) ბ. ნაწილობრივ (2) ბ. არა (3)**

1. სამსახურში, როგორც წესი, კარგი განწყობილება მაქვს.
2. სამსახურში კარგად ვფიქრობ.
3. კოლეგები საკმაოდ სიმპათიური ხალხია.
4. ჩემი უფროსი კარგი ადამიანია.
5. კოლეგებთან ხანდახან არაფორმალურ თემებზე ვლაპარაკობთ.
6. კმაყოფილი ვარ ჩემი ახლობლებით.
7. ჩემი ოჯახი მაღიზიანებს.
8. ჩემი სამუშაო მაინტერესებს.
9. სამსახურში ინიციატივას ხშირად ვავლენ.
10. ბოლო დროს ჯანმრთელობას არ ვუჩივი.

### პასუხები

**10-16 ქულა:** ადაპტაციის უნარი საკმაოდ კარგად გაქვთ განვითარებული. ნებისმიერ სიტუაციაში თავიდანვე სიტუაციის პატრონად გრძნობთ თავს და ყველას მალე უშინაურდებით. ამას ისე აკეთებთ, რომ არავის გაღიზიანებას არ იწვევთ.

**17-23 ქულა**: საშუალო ადაპტაციური უნარი გახასიათებთ. შეგიძლიათ, საკმაოდ მშვიდად შეეთვისოთ ახალ კოლექტივს. თუმცა, ხშირად გაფიქრებთ წარსული წარუმატებლობების გამეორების შესაძლებლობა. ახალ ადგილზე მშვიდად რომ იგრძნოთ თავი, მინიმუმ 6 თვე გესაჭიროებათ

**24-30 ქულა:** ადაპტაციის უნარი საკმაოდ დაქვეითებული გაქვთ. იგი კრიტიკული არ არის, მაგრამ თქვენს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით გარკვეულ შეშფოთებას იწვევს. განეკუთვნებით იმ ადამიანთა კატეგორიას, რომლებსაც ახალ სიტუაციაში ფსიქოლოგიური დახმარება ესაჭიროებათ.

## იუმორი



მოსამართლემ განსასჯელს 25 წელი მიუსაჯა.
– ნამუსი გაქვთ? მე ხომ 83 წლისა ვარ!
– ჩვენ თქვენგან შეუძლებელს არ მოვითხოვთ, რამდენსაც შეძლებთ, იმდენი მოიხადეთ...

***

გუშინ ჩემს შეყვარებულს ცოლობა ვთხოვე. ბედნიერებისაგან მეშვიდე თვეზეა...

***

– ჩემი ხელფასი უკვე ათასობით დოლარით იზომება.
– ყოჩაღ. რამდენს იღებ?
– ამ თვეში მეათედი ათასი დოლარი ავიღე...

***

წარწერა ჰემოროიდალური სანთლების კოლოფზე – „გაუფრთხილდი შანდალს“...

***

– რა მოხდა?
– ვარდი დამიტოვა, წავიდა და მითხრა, რომ სანამ ვარდი არ დაჭკნებოდა, არ მოვიდოდა.
– მერე, რა პრობლემაა?
– ვარდი პლასტმასისაა...

**გ. თ.**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ბერნარდ შოუს პიესა; 2. კაშკაშა მთვარიანი ღამე; 3. მჭედლის სამუშაო იარაღი; 4. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 5. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 6. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 7. ცხვრის ფარას მცველი დიდი ქოფაკი; 9. ქვიანი გრუნტის დამაქუცმაცებელი მანქანა; 13. გიორგი ერისთავის კომედიური პიესა; 17. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 18. კორეული მსუბუქი ავტომობილი.

**თარაზულად**: 1. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 3. ძველი გერმანული ტომი; 8. გია დანელიას კინოკომედია; 10. უდიდესი ბუნებრივი ნაკრძალი კანადაში; 11. ქალაქი ესტონეთში; 12. კავკასიონის ალპურ ზონაში ბინადარი კლდის თხა; 12. სასტუმროს შვეიცრების მოსირმული, ფორმის ტანსაცმელი; 15. გურამ ფანჯიკიძის რომანი; 16. მომკილი პურის ღეროები; 19. ორგანიზმის აგებულების უმარტივესი ერთეული; 20. მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი სახელმწიფო აფრიკაში; 21. ტროპიკული ხილი.

***შეადგინა თ.კოპალეიშვილმა***

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სერფინგი; 2. „ოსასუნა“; 3. ალუჩა; 4. თაღლითი; 5. სექვოია; 10. დუმპკარი; 11. სუბლიმაცია; 12. „სპრაიტი“; 15. ფენოლოგია; 16. ღვინიო; 17. ესტრადა; 20. მამნე.

**თარაზულად:** 6. მეფისტოფელი; 7. ზაგრები; 8. დიაფანი; 9. ანგინა; 13. ტაბუ; 14. ჯულეპი; 18. პარანომია; 19. ფსოვი; 21. თართი; 22. კონცხი; 23. კარბონადო; 24. სპანიელი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „ვინჩესტერი“; 2. დავითი; 3. მადიარი; 4. თარჯი; 5. ვილნიუსი; 6. ფლუსი; 7. მესხეთი; 9. ბუხარა; 13. განგი; 17. რომი; 18. შჩი.

**თარაზულად:** 1. „ვეჯვუდი“; 3. მახათა; 8. ფიულკე; 10. დიონისე; 11. შეიხი; 12. სინდიყი; 14. შტორმი; 15. ბაიკალი; 16. სარფი; 19. ჩოგორი; 20. სირტაკი; 21. „ნარიტა“.

# „ძვირფასო ვლად, არაბული გაზაფხული გიახლოვდებათ“

**აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი აცხადებს, რომ აშშ რუსეთში ჩატარებულ არჩევნებს არც სამართლიანად და არც თავისუფლად არ მიიჩნევს. სახელმწიფო მდივანმა ეს განცხადება ვილნიუსში საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე გააკეთა.**

შეერთებული შტატები საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ეუთო-სა და სხვა დამკვირვებლების მიერ წარმოდგენილი დასკვნებით ასევე შეშფოთებულია. ამის შესახებ თეთრი სახლის პრეს-მდივანმა ჯეი კერნიმ განაცხადა.

– 4 დეკემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამო შეშფოთებას გამოვთქვამთ. ამის მიზეზი ის დასკვნებია, რომლებიც ეუთო-ს დამკვირვებლებმა წარადგინეს. საუბარია ბიულეტენების გაყალბებაზე, ამომრჩეველთა სიების გაზრდასა და სხვა დეტალებზე. ასევე საყურადღებოა რუსი დამოუკიდებელი დამკვირვებლების ანგარიში. ამასთან, შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ დამოუკიდებელი მედიასაშუალებები კიბერთავდასხმების ობიექტნი გახდნენ, – განაცხადა კერნიმ.

თავის მხრივ, ამერიკელმა სენატორმა ჯონ მაკკეინმა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შედეგებში „არაბული გაზაფხულის“ ნიშნები დაინახა.

მაკკეინმა ტვიტერის საკუთარ გვერდზე რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინს მიმართა: „ძვირფასო ვლად, არაბული გაზაფხული გიახლოვდებათ“.

ამასთან, მაკკეინი პუტინს ურჩევს, „უახლოეს პერიოდში ხელისუფლების ისეთივე შეცვლას ელოდოს, როგორც ეს ტუნისში, ეგვიპტესა და ლიბიაში მოხდა“.

პუტინის პრეს-მდივანმა დიმიტრი პესკოვმა კი ამერიკელი სენატორის მიმართვის კომენტირებისას განაცხადა, რომ, „როგორც ჩანს, მაკკეინი ძალიან დაიღალა“.

– სამწუხაროდ, მის გამონათქვამებში ჯანსაღი აზრი სულ უფრო და უფრო მცირდება, – დასძინა პესკოვმა.

მოსკოვი ასევე აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონს ურჩევს, „ყურადღება აშშ-ის არჩევნებს დაუთმოს“.

განსხვავებული მოსაზრებები აქვთ რუს უფლებადამცველებს.

– ისინი, ვინც 4 დეკემბერს საპარლამენტო არჩევნებში თავიანთი ხმა „ედინაია როსიას“, ზიუგანოვის ან ჟირინოვსკის პარტიებს მისცეს, ხალხი კი არა, შავი მოსამსახურეები არიან, – აცხადებს ჟურნალისტი და დისიდენტი ვალერია ნოვოდვორსკაია:

– ჩვენთან დღეს ავტორიტარიზმიც კი არ არის – ჩვენთან ფეოდალიზმია, რასაც არჩევნების შედეგებიც



ჯონ მაკკეინი

ადასტურებს. ხელისუფლებაში „ედინაია როსიასა“ და პუტინი-მედვედევის ტანდემის ყოფნა პოლიტიკური სტაბილურობა კი არ არის, ეს პოლიტიკური ღრმა და სამუდამო ძილია.

– ისინი, ვინც 4 დეკემბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში თავიანთი ხმა „ედინაია როსიას“, ზიუგანოვის კომუნისტურ პარტიას ან ჟირინოვსკის ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიას მისცეს, ხალხი კი არა, შავი მოსამსახურეები არიან! მათი მთავარი ლოზუნგია: თუნდაც დაგვამონეთ, მხოლოდ საჭმელი მოგვეცით, – აცხადებს ნოვოდვორსკაია.

უფლებადამცველისთვის მედვედევზე, როგორც ლიბერალური ღირებულებების მქონე ადამიანზე, საუბრები მიუღებელია.

– სწორედ ე.წ. ლიბერალი მედვედევის დროს მოხდა შეჭრა საქართველოში, – აცხადებს ჟურნალისტი და დისიდენტი მათთვის, ვინც რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს ვლადიმერ პუტინთან შედარებით უფრო რბილ და ლიბერალურ ადამიანად მიიჩნევს.

– მედვედევი რომ დეკორაციაა, ცხადია და არ არის საჭირო, მასზე იფიქრო, რომ ის ლიბერალია. მედვედევი არ იყო, სულ ახლახან კბილების ღრჭენით რომ განაცხადა, რუსეთი განიარაღებას შეწყვეტს, კალინინგრადის ოლქში რადიოლოკაციურ სადგურს განათავსებს და „ისკანდერებს“ დააყენებსო.

სწორედ ამ „ლიბერალის“ დროს მოხდა საქართველოში შეჭრა. ასე რომ, არავინ შეიყვანოს შეცდომაში თამაშმა „კეთილი და ბოროტი გამომძიებლის“ შესახებ, – აცხადებს ვალერია ნოვოდვორსკაია.

მოსკოვში მიმდინარე საპროტესტო აქციების ფონზე, „საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად“ დედაქალაქისკენ რუსეთის შინაგანი ჯარის ნაწილები დაიძრნენ. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.

– დედაქალაქში შინაგანი ჯარის ნაწილების შეყვანა რუსეთის შს სამინისტროს მთავარი სამმართველოს მოთხოვნით განხორციელდა და მას ერთი მიზანი აქვს: მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვა, – აცხადებს რუსეთის შს სამინისტროს შინაგანი ჯარის პრესსამსახურის უფროსი, პოლკოვნიკი ვასილი პანჩენკოვი და აღნიშნავს, რომ „შინაგანი ჯარების სამხედრო მოსამსახურეები შესაძლოა ჩართული იყვნენ საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვაში. პირადი შემადგენლობის ჩართვას ღონისძიებებში და მათ რაოდენობას რუსეთის შს სამინისტროს მოსკოვის მიმართულების მთავარი სამმართველო განსაზღვრავს“, – აცხადებს პოლკოვნიკი.

მისივე თქმით, სამხედრო მოსამსახურეები სხვა რეგიონებიდან მოსკოვში გადმოყვანილი არ იქნებიან და იქ წესრიგს მხოლოდ ძერჟინსკის სახელობის დივიზია დაიცავს.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები გუშინ გაიმართა. წინასწარი მონაცემებით, რუსეთის მმართველი პარტია „ედინაია როსია“ პარლამენტში კონსტიტუციურ უმრავლესობას კარგავს.

რუსეთის ცსკ-ის ხელმძღვანელ ვლადიმერ ჩუროვის განცხადებით, „ბიულეტენების უმრავლესობის გადამუშავების შედეგად სახელმწიფო სათათბიროში ოთხი პარტია – „ედინაია როსია“, რუსეთის კომუნისტური პარტია, „სპრავედლივაია როსია“ და „ლიბერალ-დემოკრატიული პარტია“ შევლენ“.

წინასწარი მონაცემებით, „ედინაია როსია“ – 49,54%-ს, (2007 წლის არჩევნებზე „ედინაია როსიამ“ 64,3% მოიპოვა და პარლამენტში 315 ადგილი მიიღო), კომუნისტური პარტია – 19,16%-ს (2007 წელს – 11,57% და 57 ადგილი), „სპრავედლივაია როსია“ – 13,22%-ს, (2007 წელს – 7,74% და 38 ადგილი), ლიბერალ-დემოკრატები კი 11,66%-ს (2007 წელს – 8,14%, 40 ადგილი) აგროვებენ.

კომუნისტებს, სავარაუდოდ, 92 ადგილი ერგებათ, ხოლო „სპრავედლივაია როსიას“ – 64.

ჟირინოვსკის ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიას დუმაში 56 ადგილი ერგება.

შესაბამისი პროგნოზი ბიულეტენების 96%-ის დამუშავების საფუძველზე გაკეთდა.

„ედინაია როსიას“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის ანდრეი ვორობიოვის განცხადებით, პარტია, რომელმაც არჩევნებში, წინასწარი მონაცემებით, 49,54% მოიპოვა, მზად არის, ოპოზიციასთან ითანამშრომლოს.

– დიახ, ჩვენ გვექნება ბლოკი, დიახ, ჩვენ შევქმნით კოალიციას როგორც ცალკეულ საკითხებზე, ასევე ჩვენი საქმიანობის სხვა მიმართულებითაც, – განაცხადა ვორობიოვმა.

პარტიის პრეზიდიუმის მდივანმა სერგეი ნევეროვმა კი განაცხადა, რომ „ედინაია როსიას“ დუმის სპიკერად კვლავინდებურად აწყობს სერგეი გრიზლოვის კანდიდატურა.

პარტიის ლიდერები აცხადებენ, რომ „ედიანაი როსიას“ აქვს „მორალური უფლება“ პრეზიდენტ მედვედევისა და პრემიერ პუტინის კურსის გასაგრძელებლად.

## სამგლოვიარო განცხადებები

ქვაშვეთის ტაძრის დეკანოზს, მამა გიორგი გეთიაშვილს სამძიმარს ვუცხადებთ დედის
**მერი ალექსის ასულ გეთიაშვილის**
გარდაცვალების გამო
*მრევლი*

მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა
**ოთარ რამიშვილი**
და თანაგრძნობას ვუცხადებთ ოჯახს.
*სკოლის მეგობრები*

სს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა მედიცინის დოქტორი, ბავშვთა დერმატოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი, წლების განმავლობაში სოხუმის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტ „ეგისის“ პროფესორი, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და მეთოდური რეკომენდაციების ავტორი და რეცენზენტი, ქალბატონი
**ქეთევან დავითის ასული შველიძე**
და თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.



სს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ ინსტიტუტეს თანამშრომელს, მედიცინის დოქტორ ცირა ლეონიძეს გარდაეცვალა დედა, პროფესორი
**ქეთევან დავითის ასული შველიძე-ლეონიძე**
სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახის წევრებს, ნათესავებს, ახლობლებსა და კოლეგებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## ქაბულში თვითმკვლელმა ტერორისტმა 48 ადამიანი მოკლა, ასზე მეტი დაჭრილია

თვითმკვლელმა ტერორისტმა ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში ერთ-ერთ შიიტურ სიწმინდესთან თავი აიფეთქა, შედეგად დაიღუპა 48 მომლოცველი, მათ შორის ქალები და ბავშვები, – ინფორმაციას რია „ნოვოსტი“ „აფრ-ზე“ დაყრდნობით ავრცელებს.



ქაბულის პოლიციაში განაცხადეს, რომ წინასწარი ციფრები კიდევ გაიზრდება. აფეთქება აშურას სამგლოვიარო ცერემონიალისას მოხდა, რომელიც იმამ ჰუსეინის მოწამეობრივი დაღუპვის ხსოვნას ეძღვნება.

აფეთქების მომენტში შიიტურ მავზოლეუმში ასეულობით ადამიანი იმყოფებოდა.

კიდევ ერთი აფეთქება ავღანეთის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ მაზარი-შარიფში მოხდა.

როგორც „როიტერი“ ადგილობრივ პოლიციაზე დაყრდნობით გადმოგვცემს, ბომბი ერთ-ერთ მეჩეთთან გაჩერებულ ველოსიპედზე იყო დამაგრებული. დაიღუპა არანაკლებ ოთხი ადამიანი, მინიმუმ ორი დაიჭრა. დაღუპულებს შორის ადგილობრივი არმიის ჯარისკაცია.

აშურას დღესასწაული ბოლო რამდენიმე წელია სისხლიანი ტერაქტებით აღინიშნება. ერაყში ამ დღეს სუნიტები შიიტების წინააღმდეგ, ტრადიციულად, სხვადასხვა სახის შეტევებს ახორციელებენ.

ამ დროისთვის ავღანეთის მოსახლეობის თითქმის 99% ისლამის მიმდევარია, რესპუბლიკის მოქალაქეთა სამი მეოთხედი – სუნიტები, 25% შიიტები არიან.

აშურა არაბული სიტყვაა და ქართულად „მეათეს“ ნიშნავს. წელს აშურას დღე მუსლიმანებმა 5 დეკემბერს აღნიშნეს.

საერთოდ, აშურა ჰიჯრის კალენდრის პირველ თვეს, მუჰარრემის მეათე დღეს აღინიშნება. ყურანის თანახმად, ამ დღეს შეიქნა სამყარო, დედამიწა, ამ დღეს გაჩნდნენ პირველი ანგელოზები.

ამავე დღეს მოევლინა ქვეყანას პირველი ადამიანი – ადამი. აპოკალიფსს – ქვეყნის აღსასრულსაც ამავე დღეს ელიან.

მუსლიმანების რწმენით, ამ დღეს მიიღო ღმერთმა ადამის მონანიება, რის შემდეგაც ადამი სამოთხეში მოხვდა. ამ დღეს უკავშირებენ სხვა სასწაულებსაც:

– წმინდა მოსე შუამავლის სასწაული – ფარაონის ჯარი ზღვამ შთანთქა;

– აშურას დღეს წმინდა ნუჰ შუამავლის გემი მიადგა ჯუდის მთას;

– წმინდა ინუს შუამავალი ამ დღეს გადაურჩა თევზის მუცელს;

– ამ დღეს ამოიყვანეს წმინდა იუსუფ შუამავალი ჭიდან, რომელშიც საკუთარმა ძმებმა ჩააგდეს;

– აშურას დღეს დაიბადა იესო და ამ დღეს ამაღლდა ცად;

– ამ დღეს მიიღო ღმერთმა წმინდა დაუდ შუამავლის მონანიება;

– აშურას დღეს დაიბადა წმინდა იბრაჰიმ შუამავლის შვილი, წმინდა ისმაილი;

– ამ დღეს დაუბრუნდა მხედველობა წმინდა იაკობ შუამავალს;

– ამ დღეს გამოჯანმრთელდა წმინდა ეიუბ შუამავალი. ...

აშურას აღსანიშნავად 2-3 დღიან მარხვას ინახავენ. ეს ტრადიცია მუჰამედის მექადან მედინაზე გადასვლის შემდეგ დაწესდა.

მოგვიანებით, როდესაც რამადანის მარხვა დააწესეს, აშურის მარხვა სუნიტი მუსლიმანებისთვის ნებაყოფლობითი, თუმცა, ამავდროულად, სასურველი გახდა.

ამ რელიგიურ დღესასწაულს სხვაგვარად აღნიშნავენ შიიტები.

აშურა შიიტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღესასწაულია. კარბალაში აშურას აღსანიშნავად დაახლოებით 2 მილიონი შიიტი იკრიბება.

რიტუალის მიხედვით, მამაკაცები კარბალას ქუჩებში მსვლელობისას მოთქვამენ, რკინის ჯაჭვებით, ზოგჯერ კი ცივი იარაღით თვითგვემას ეწევიან და ამით სიმბოლურად იმ ტანჯვას განიცდიან, რომელიც ევროპული კალენდრის მიხედვით 680 წელს წმინდა მუჰამედ შუამავლის შვილიშვილმა, ჰუსეინმა გადაიტანა.

ეს ერთგვარი გლოვის დღეა.

ზოგიერთ მუსლიმანურ ქვეყანაში აშურას დღეს ისრაელის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და სხვა მათთვის არაკეთილმოსურნე ქვეყნების დროშებს წვავენ.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი**
**7 დეკემბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** ცხოვრება მშვენიერია **13.50** ვაშინგტონი დღეს **14.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **15.00** სერ. "**ნიკიტა**" **17.00** **ფეხბურთი**. საქ. თასის განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი. **19.05** სერ. "**მეორე შანსი**" **21.00** სერ. "**ნიკიტა**" **22.00** ევროპული არჩევანი **23.00** ევროკავშირი და საქართველო **23.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. **01.30** მოამბე **01.50** მხ. ფილმი "**ბოულინგის მეფე**" (15) (პ. ფარელი) **03.50** მხ. ფილმი "**მედგარი გული**" (12) (ა. ჯოლი)

**08.00, 00.40** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** სერ."**ელიტარული უბანი**" **20.00** მხ. ფილმი "**ორმაგი შეცდომა**" **01.00** მხ.ფ."**დიკი როქერტსი: ვარსკვლავთბიჭუნა**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**როსალინდა**" **11.00** სერ. "**კლონი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** კომედი შოუ **17.00** სერ. "**ავრორა**" **18.45** სერ."**მიყვარხარ ლოლა**" **19.45** სერ."**სახლი მეზობლად**" **22.00** იღბლიანი ბორბალი **23.40** **ჩემპიონთა ლიგა**. **01.40** შუა დღე **03.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **03.30** პატრული **04.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**მოპარული ბედნიერება**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.20** ქრონიკა **11.40** სერ. "**ქალის სიტყვა**" **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. "**ყავა და ლუდი**" **16.00** სერ. "**შურისძიების საფასური**" **17.40** სერ. "**ევა ლუნა**" **19.05** სერ."**ბედისწერის ძალა**" **21.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **22.00** "ფორმაში" **23.00** თბილისი ლაივი **00.00** ფლეშმობშოუ **01.30** მხ. ფილმი "**თაფლობის თვე**" (ს. მილერი) (სუბტ.) **03.25** მხ. ფილმი "**საბედისწერო მოგზაურობა**" (18) (სუბტ.) **06.30** სერ. "**მარინა**"

**08.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **08.55** სერ."**ჩემი შეყვარებული**" **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. "**მერლინი**" **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. "**ტყუპები**" **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. "**დონ კიხოტი**" **21.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა (გან.) **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** სერ. "**ექიმი ქმორი**" **10.00** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.10** სერ. **12.50, 19.35** სერ. **15.15** სერ. "**ექიმი ქმორი**" **16.00** დოკ. ფილმი **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** სცენა **23.40** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** 08.30 განთიადი **10.35** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **10.55** მგზავრები წუთისოფლისა **11.25** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი "**თვალი პატისოანი**" **13.40** კონცერტი – "შვიდკაცა" **14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** მხ. ფილმი "**ნიურნბერგის პროცესი**" 1-ლი ს. **16.45** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი "**განგაში**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გზა, რომლითაც ვიარე **22.20** ქართული ალბომი **22.40** მოკლ. ფილმი "**პიესა ოთხი ხელისთვის**" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პერსპექტივა **00.40** პერსპექტივა **01.00** განთიადის სტუმარი **01.20** მხ. ფილმი "**გვირაბი**" მე-2ნ.

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

7 დეკემბერი

აშშ დოლარი — 1,6613

ევრო —2,2702

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,057

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 7–10, ღამით — 1–3

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა, დღისით — 11–13, ღამით — 5–8

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა, დღისით — -1–6, ღამით — -10–0




ამინდის პროგნოზი 7 დეკემბრისთვის




# 30 ნოემბრიდან

## გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

## „ისტორია და ამოუცნობი სამყარო“

### პირველი ტომი - ტირანები

ისტორიის 100 ყველაზე სასტიკი დესპოტი და დიქტატორი

გამოსაცემად მზადდება:

- 100 გამოჩენილი მხედართმთავარი
- უდიდესი ბრძოლები
- 100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია
- კანიბალიზმის ისტორია
- 100 გამოჩენილი მეცნიერი
- მასონები – იდუმალი საძმო
- მაფიის ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

## ასტროპროგნოზი 7 დეკემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
წარმატებული დღეა

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ლომი** — ახალი სამსახური მოგეწონებათ, საქმე სარფიანია. **ქალწული** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **სასწორი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ღრიანკალი** — თქვენი საქმე წინ მიდის, შემოთავაზება გელით. **მშვილდოსანი** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამ კუთხით. **თხის რქა** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მერწყული** — მშვენიერი დღეა, საწადელს აისრულებთ. **თევზები** — სახლში სიახლეა, ძვირფას ავეჯს შეიძენთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. პოპულარული ირლანდიური ჯინი; 2. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 3. კურკოვანი ხილი; 4. ამერიკული ფარმაცევტული კომპანია; 5. ნიკოტინის შემცველი ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე; 10. რაიმე წარმატებული საქმის აღსანიშნავი პურმარილი; 11. ძველებური ასტროლოგიური წიგნი; 12. სამრეწველო რაიონი პოლონეთის სამხრეთში; 15. მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ყველა პარტიის ერთობლიობა; 16. პატარა, იუმორისტული საესტრადო პიესა; 17. იაპონური თოჯინების თეატრი; 20. მეცნიერული კვლევის საერთაშორისო ცენტრი შვეიცარიაში.

**თარაზულად**: 6. მადნეულის გამდიდრების შედეგად მიღებული პროდუქტი; 7. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 8. ქართლში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 9. რუმინელი კომპოზიტორი; 13. ქათმის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. გია დანელიას კინოკომედია; 18. თეატრალური სცენის მოწყობილობა; 19. აეროპორტი პარიზში; 21. ზოდიაქოს ნიშანი; 22. შხამიანი გველი; 23. სერბი კინორეჟისორი; 24. სხეულის მოხდენილი, რიტმული მოძრაობის ხელოვნება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## ანანიძე „არსენალს“ მოსწონებია



რუსული ვებგვერდების ცნობით, საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის“ 19 წლის შემტევი ნახევარმცველის, ჯანო ანანიძის გადაბირება ერთდროულად სამ ევროპულ კლუბს სურს – ჩვენებურით, ინგლისური „არსენალი“, გერმანული „ჰამბურგი“ და ბერძნული „ოლიმპიაკოსი“ ინტერესდებიან.

ანანიძეს „სპარტაკთან“ კონტრაქტი 2015 წლის დეკემბერში ეწურება. მიმდინარე სეზონში ჯანომ „სახალხო გუნდის“ შემადგენლობაში 10 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა.

ასევე რუსულმა ვებგვერდმა სპორტ.რუ-მ გამოაქვეყნა იმ 16 ფეხბურთელის სია, რომელიც, მათი აზრით, ევრო-2012 დააკლდება. საუბარია 1990 წელს დაბადებულ და უმცროს ფეხბურთელებზე. აღსანიშნავია, რომ სიაში მოხვდა 3 ქართველი ფეხბურთელი – ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე, გიორგი მაკარიძე.

სრული სია კი ასეთია: მეჰმედ ბეშიჩი (ბოსნია, ჰამბურგი), მირალემ პიანიჩი (ბოსნია, რომა), რენე კრჰინი (სლოვენია, ბოლონია), რადოსლავ პეტროვიჩი (სერბეთი, ბლექბერნი), ნევენ სუბოტიჩი (სერბეთი, დორტმუნდი), ადამ ლიაიჩი (სერბეთი, ფიორენტინა), სლობოდან რაიკოვიჩი (სერბეთი, ჩელსი), გიოქჰან თიორე (თურქეთი, ჰამბურგი), კრისტიან ბენკეტე (ბელგია, გენკი), რომელუ ლუკაკუ (ბელგია, ჩელსი), ედენ აზარი (ბელგია, ლილი), აარონ რემზი (უელსი, არსენალი), სტეფან სავიჩი (ჩერნოგორია, სიტი), გიორგი მაკარიძე (საქართველო, ლე მანი), ლევან ყენია (საქართველო, შალკე), ლევან მჭედლიძე (საქართველო, ემპოლი).

მ. ჟ.

## ყოფილი „მის რუსეთი“ კვლავ ნიუ იორკის ციხეში აღმოჩნდა



ნიუ იორკის სასამართლომ სილამაზის კონკურს „მის რუსეთი-98“-ის გამარჯვებული ანა მალოვა ციხეში ხელმეორედ მას შემდეგ გაუშვა, რაც ის სარეაბილიტაციო კლინიკიდან გარიცხეს, სადაც ის ნარკოტიკულ დამოკიდებულებაზე მკურნალობას გადიოდა.

39 წლის რუსის წინააღმდეგ საქმე მიმდინარე წლის გაზაფხულზე აღიძრა. მას ტკივილგამაყუჩებელი და სხვა წამლების შეძენის მიზნით რეცეპტების გაყალბების ბრალდება წაუყენეს.

მალოვამ ცოტა ხანი ციხეში გაატარა, თუმცა, შემდეგში, ადვოკატის თხოვნით, სასამართლომ პატიმრობა ნარკოტიკულ დამოკიდებულებაზე მკურნალობით შეუცვალა. ახლა კი ქცევის ნორმების დარღვევებისთვის რუსი ნიუ იორკის ბრონქსის რაიონის სარეაბილიტაციო კლინიკიდან გარიცხეს, – იტყობინება „იტარ-ტასი“.

ადგილობრივი მედიის ვერსიით, მან მეორე პაციენტს დაარტყა.

5 დეკემბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე მალოვას ადვოკატი, რობერტ გოტლიბი, ცდილობდა, მოსამართლე დაერწმუნებინა, რომ დაცვის ქვეშ მყოფის ქცევაზე გავლენა ანტინარკოტიკულმა მკურნალობამ მოახდინა, რომელსაც „თავისი პლუსები და მინუსები“ აქვს.

ადვოკატმა ითხოვა, რომ რუსი კვლავ ციხეში არ გაეშვათ.

თუმცა, მოსამართლე შეუვალი იყო და განაცხადა, რომ მალოვას ციხეში „ჩადენილი სამართალდარღვევის“ გააზრება შეუძლია.

ამ საქმესთან დაკავშირებით მორიგი სხდომა 13 დეკემბერს გაიმართება.

მოამზადა გერა მამულაშვილმა